ალექსანდრე კალანდაძე

ქართველ მწერალთა სახლ-მუზეუმებში

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1959

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის
რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი

ალექსანდრე კალანდაძე

ქართველ მწერალთა სახლ-მუზეუმებში

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თ ბ ი ლ ი ს ი
1959

ინვენტარი 0-2500

ავტორისაგან

ეს წიგნი დაწერილია კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის [illegible] სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის დავალებით, მწერალთა სახლების დამთვალიერებელთა და მუზეუმების მუშაკთა დასახმარებლად.

რამდენადაც ნაშრომის მოცულობა ნებას გვაძლევდა, შევეცადეთ მკითხველისათვის გაგვეცნო ალექსანდრე ჭავჭავაძის, რაფიელ ერისთავის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა ფშაველასა და ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმების ისტორია და მუშაობის გამოცდილება.

შეძლებისდაგვარად, ყურადღება გავამახვილეთ აღნიშნულ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების იმ მომენტებზე, რომლებიც მათ მშობლიურ კარმიდამოსთანაა დაკავშირებული.

მკითხველთა შენიშვნები, რომლებსაც მადლობით მივიღებთ, დაგვეხმარება შემდგომ მუშაობაში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში

წერაში თმაგათეთრებული მამანი შორეულ სავანეებში, ამა სოფლისაგან განშორებით ქმნიდნენ უკვდავ ხელნაწერებს. განდეგილთა გაყვითლებული თითები თრთოლვით სვამდა მტკიცე ყდაში წიგნს, რომ მშობლიური ლიტერატურის საგანძური შეეკვა. მიუღგომელი იყო სამყოფელი მათი. ვერ აღწევდა იქ ქვეყნის ყრიამული, მისი „ცოდვა და მადლი". მაგრამ მე-19 საუკუნეში ძველი დროის მყუდრო სავანეები შესცვალა ალ. ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის სიცოცხლით სავსე ლიტერატურულმა სალონებმა. ახლა ეს მოუსვენარი ადგილები გადაიქცნენ ქართული კულტურის ცენტრებად. ჩვენ შეგვიძლია სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ მათზე, რადგან ახალ სავანეთა ყარი ღია იყო ყველა გამოჩენილი ქართველის, რუსისა და უცხოელისათვის. და უკანასკნელთათვის არც თუ ისე ადვილად წარმოსათქმელი სახელი — „წინანდალი" თითქმის ყველა ენაზე გაისმა ბასული საუკუნის 30—40-ან წლებში. იგი გახდა სიმბოლო ქართული ლირიკის, გელგაშლილი სტუმარ-მასპინძლობის, რომანტიკული სიყვარულის, პოეტური შთაგონების და მღელვარე ლიტერატურული პაექრობისა.

შემონახულია 30-ანი წლების უცნობი მხატვრის აკვარელი — „ნადიმი წინანდალში"... მწვანეზე გაშლილი სუფრა, ღვინით სავსე ხელადები. ჰაერში ასროლილი ყანწი. წარმოსადეგი თამადა... ბანოვანთა სულის მიმტაცი ღიმილი...

აქ შთაგონებული სტრიქონები განსაკუთრებულ სურნელს აკმევდა. მგოსნები ერთმანეთს ეკიბრებოდნენ წინანდლის ქეიფში; და ღრმა მოხუცებულობაშიც უნეტარეს მოგონებად ჰქონდათ წინანდლის პოეტური საღამოები. გრ. ორბელიანი 1853 წელს სევდიანად სწერდა ბაბალე საგინაშვილს: „წინანდალში აღარავინ არის, რომ გავსულიყავ; დაობლდა ის მშვენიერი ადგილი, სადაც სიყმაწვილე ჩემი მიდიოდა უზრუნველად, დაუდევნელობით; დაყრუდა ყოველივე იგი არე სამოთხისა მსგავსი".

ალ. ჭავჭავაძის წინაპრები წინანდალში ხევსურეთიდან გადმოსულან და სამოსახლოდ ის ადგილი აურჩევიათ, სადაც ახლა პოეტის კარ-მიდამოა.

ალექსანდრეს მამას, გარსევან ჭავჭავაძეს (1757—1811) მდინარე კისისხევის ნაპირზე აუგია სახლი, რომლის ნანგრევი დღემდე შემორჩენილა. ერეკლე მეორემ გარსევანი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვა და 80-იან წლებში დესპანად დანიშნა რუსეთის სამეფო კარზე. ახალგაზრდა დიპლომატს, ოჯახთან ერთად, დიდხანს მოუხდა სამშობლოს გარეთ ყოფნა, ამიტომ შესაფერ ყურადღებას ვერ აქცევდა ერცელ მამა-პაპეულ სამფლობელოს, რომელიც მეფის წყალობით ბიანდათან ფართოვდებოდა. მაგალითად, 1797 წელს, ერეკლეს მისთვის უბოძებია სოფლები ნაფარეული და მუღანლო. მშობლიურ მიწაზე გარსევანმა მაინც ვერ გააშენა დიდი სახლ-კარი; 1811 წელს იგი პეტერბურგში გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს (ალექსანდრე ნეველის ლავრაში). არც მის ერთადერთ ვაჟს გაუტარებია ბავშვობა და ყრმობა წინანდლის მყუდროებაში. იგი პეტერბურგში დაიბადა 1786 წელს და ეკატერინე მეორემ მონათლა, მაგრამ ამან ვერ გაკაფა მისთვის დიდების გზა. ბაგრატიონთა სამეფოს აღსასრულმა მძიმედ იმოქმედა მომავალ პოეტზე. 1804 წელს იგი ფარნაოზ ბატონიშვილთან გაიქცა და აჯანყებულ მთიულებს შეუერთდა, მაგრამ მალე დაიჭირეს და სამი წლით ტამბოვში გადაასახლეს. მამის მუდარამ გასჭრა,—1806 წელს ალექსანდრეს დანაშაული აპატიეს და პაჟთა კორპუსში ჩარიცხეს. დაიწყო მოუსვენარი სამხედრო სამსახური: 1809 წელს ლეიბგვარდიის ჰუსართა პოლკი; 1811 წელს—სპარსელთა წინააღმდეგ გამგზავრება ერევანში; 1812 წელს—პაულიჩის ექსპედიციაში მონაწილეობა აჯანყებულ კახელთა „დასაწყნარებლად"; 1813—1814 წლებში ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპაში. ალ. ჭავჭავაძეს, რუსეთის ჯარების მთავარსარდლის—ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტს, „პარიზთან ბრძოლებში მონაწილეობისათვის" ებოძა ოქროს ხმალი, წარწერით: „მამაცობისათვის". 1817 წელს პოეტმა პოლკოვნიკის ჩინიც მიიღო და ლეიბჰუსართა პოლკიდან გადაყვანილი იქნა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც იდგა ყარაღაჯში, წინანდალთან ახლოს. ამის შემდეგ იგი დაუახლოვდა კავკასიაში მცხოვრებ რუს მწერლებს, თანაპოლკელ ოფიცრებს, რუსეთიდან ჩამოსულ სტუმრებს და ხშირად ეპატიჟებოდა მათ წინანდალში.

ამ პერიოდში მგოსანი რწმუნდება, რომ აუცილებელია მამისეული სახლ-კარისა და მამულის უკეთესად მოწყობა. საპატიო სტუმ-

რების მისაღებად საჭირო იყო კომფორტი, ბაღის გაშენება, შემოსავლის გადიდება; ალ. ჭავჭავაძემ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და თითქმის ორი ათეული წელი მოახმარა მას.

20-ან წლებში პოეტი ცხოვრობდა ძველ სახლში, რომელიც არსებობდა 30-ანი წლების დასაწყისშიც. როცა ახალი სახლის აგება მთავრდებოდა. ალ. ჭავჭავაძის ძველი სახლის შესახებ მიხ. ლერმონტოვი წერდა: ჭავჭავაძიანთ ციხედარბაზი მდინარე კისისხევის დამრეც ნაპირზე დგას და განიერი აივნიდან გადაშლილია ალაზნის ველიო.

სახლი, რომელშიც მოთავსებულია ალ. ჭავჭავაძის მუზეუმი, რამდენიმე წელიწადს შენდებოდა. 1831 წელს აქ სტუმრად იყო ვახტანგ ორბელიანი. მაშინ ახალი შენობა დაუმთავრებელი ყოფილა, ძველი ჯერ კიდევ არსებობდა. პოეტმა ლექსში—„ორი შენობა“ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა.

როცა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ალ. ჭავჭავაძეს ტამბოვში ოთხი წლით გადასახლება მიუსაჯეს, მან სთხოვა მთავრობას სასჯელის მოხდის ვადა გადაედოთ. რადგან წინანდლის მამულის მოწყობა და სახლის აგება დამთავრებული არ ჰქონდა; მართლაც, 1833 წელი თითქმის მოლიანად მშობლიურ სოფელში გაატარა, სახლის მორთვაც დაამთავრა და. ჩანს, მეტად კმაყოფილი იყო შედეგით. რადგან 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა საქმეების საგამომძიებლო კომისიის ერთი წევრისადმი წარდგენილ მოხსენებაში წერს: „ჩემი შემოსავალი მალე გაიზრდება, რადგან ამ ბოლო ორი წლის მანძილზე დიდი თანხები მოვახმარე მეურნეობის გაუმჯობესებას“.

ორსართულიანი სასახლის მოსართავად ალ. ჭავჭავაძემ ძვირფასი ავეჯი გამოიწერა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან. ამასთანავე. დიდ ყურადღებას აქცევდა მეურნეობის გაუმჯობესებას. 1835 წელს დიდი თანხა ისესხა ბანკიდან ოცი წლის ვადით. ამ ფულით გააშენა ახალი ვენახები. გახსნა ღვინის სარდაფები თბილისსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. პირველად მან მოაწყო ამ მხარეში ორთქლის არაყსახდელი ქარხანა და შორს გაუთქვა სახელი კახურ ვაზს.

პოეტს უპირველესად აინტერესებდა თავისი სავანის სიმშვენიერე, ამიტომ მამულის შემოსავლის დიდ ნაწილს კარ-მიდამოს მორთვა-მოკაზმვას ახმარდა. ამ გულმოდგინებისა და ნატიფი გემოვნების შედეგია წინანდლის მდიდარი პარკი, რომელიც საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. ალ. ჭავჭავაძეს თავდავიწყებით უყვარდა ბუ-

ნება, მცენარეები. ლექსში — „ანზე სით მოხვალ“, იგი 70-ზე მეტ მცენარეს ასახელებს. თვითონვე იყო დეკორაციული პარკის მოსაწყობად უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტების საუკეთესო მრჩეველი და შემწე.

ალ. ჭავჭავაძის კარ-მიდამოს იმ დროს 10 ჰექტარი ეკავა. ჩრდილოეთით მას ჰქონდა მთავარი შემოსასვლელი—აგურის მაღალი ალაყაფის კარები ჩუქურთმიანი თაღით; სამხრეთით—სახნავი ადგილებით ეყოფოდა მუხიანის ტყეს; დასავლეთით—ესაზღვრებოდა მდინარე კისისხევის ფლატე, რომელიც მაშინ ვიწრო ყოფილა. ახლა მისი სიგანე ერთ კილომეტრს აღემატება და რიყის ქვითაა მოფენილი. ხევის ნაპირას შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი. ეს არის გარსევან ჭავჭავაძის კარის საყდარი, რომელიც 1865 წელს ჩაინგრა უკანასკნელად. იმავე დროს ჩაქცეულა სამ ჰექტარამდე ხეხილი და დეკორაციული ბაღი[1].

ჩრდილო შემოსასვლელიდან სასახლისაკენ მოემართებოდა განიერი გზა, რომელიც ორივე მხარეზე დამშვენებული იყო ბუჩქებითა და ყვავილებით.

სასახლის წინ მოედანი იყო. ჩრდილოეთიდან მომავალი გზა აქ დასავლეთით გვერდზე ჩაუვლიდა სასახლეს. ამ ადგილას შემონახულია ცაცხვების ხეივანი. ეკლესიასთან, გარსევანისეული შენობის ნანგრევებთან, დღესაც არსებობს ალ. ჭავჭავაძის ლვინის სარდაფი, რომელიც მთლიანად მიწაშია მოთავსებული. აქვე იყო მოწყობილი კასრების სახელოსნო და მარანი ვეება ქვევრებით. აქედან აღმოსავლეთით, პარკს ამშვენებდა მუდამ მჩქეფარე შადრევანი. აუზში აშენებდნენ თევზს.

წინანდლის პარკი ფრანგულ სტილზე დაიგეგმა და გაშენდა: მცენარეულობა განლაგებულია სიმეტრულად, მოწყობილია ხეივრები და ფანჩატურები. სწორხაზოვანი გზები და ბილიკები. გზას შემოვლებული აქვს დეკორაციული მცენარეები, თარგებ-შუა გაშენებულია ხეხილის ბაღი. თავისუფალ გაზონებზე სილამაზისთვის ითესებოდა კოინდარი და იონჯა.

პარიზიდან ჩამოსული მასწავლებელი ქალი დრანსე წერდა: „წინანდალში ჩამოსვლისა და დასვენების შემდეგ კნეინამ წამიყვანა თავის საუცხოო ბაღში. შესანიშნავ ვაზის ხეივნებს, უცვეთელას ფანჩატურებს. საუკეთესო ხეხილს აღტაცებაში მოვყავდი. ამიტ

---

[1]. ვსარგებლობთ სახლ-მუზეუმის ყოფილი დირექტორის ირაკლი ხმალაძის მასალებით.

დამტკბარმა შემდეგ ჩვენ ვნახეთ ლამაზად მოწყობილი ყვავილნარი. მე. როგორც ბავშვი. დავრბოდი ვარდთან, ბროწეულთან, ბროწეულიდან ლიმონთან. ფორთოხალთან. კაპრიფოლიასთან და სხვა ნარგავებთან. რომელნიც დამათრობელ სურნელებას ავრცელებდნენ ჰაერში. დიდი სიამოვნება განვიცადე ამ მომხიბლავ ბაღში".

ალ. ჭავჭავაძისეული პარკიდან დღესაც ცოცხალია ცაცხვი: მუხა, რცხილა. აკაკი. კაკალი. ბზა. იასამანი და სხვა ხეები.

ამჟამად წინანდლის პარკს უჭირავს 12 ჰექტარი და მასში დარგულია 300-დე ნაირსახეობის დეკორაციული და ბაღის ჰიბრიდების მერქნიანი მცენარეულობა. რომელთაგან 100-ზე მეტი უცხოურია: ჩინური, იაპონური. ამერიკული. ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული რაიონების. — იაპონური ზღმარტლი. ტკბილი ჰოვენია. იაპონური კომში. ზეთისხილი. იაპონური ხურმა. დრაცენი. დაფნა. ქაფურის ხე. სურნელოვანი ტეია და ა. შ.

ცნობილი დეკორატიული ირ. ხმალაძე წერს: „6000- მდე ხე და ბუჩქი დეკორატიული დაცვითაა გაანგარიშებული. რათა თვალსაჩინო ყოფილიყო მტირალა იაპონური სოფორას მუქი-მწვანე ფერის მელანქოლური სახე. ან ჰირქეშ ნაძვების მუქმწვანე ფონზე ნედიდური შუხეფულება ვერ ახლა კედარის. ან მოწითალო შეფერვა წიფლისა. ეს მცენარეები წლის ოვალი ფერის მიხედვით იძლევიან ერშეიათ ნიუანსებს".

წარმტაცი იყო წინანდლის სურნელოვანი ვარდ-ყვავილები, ნრქეფარე შაღრეკანი. ტანაშოლტილი ხეები: განთქმული იყო აქაური ღვინო და ხილი. სუფთა და გრილი ჰაერი. ახლთში იმ დროს მხოლოდ აქ შეიძლებოდა პიანინოს მოსმენა და ბილიარდის თამაში; გულს აღხენდა წალკოტში თავისუფლად გაშვებული ირემი და ფეხელი, მაგრამ მარტო ეს როდი იზიდავდა ეერაცხელ სტუმარს! — წინანდალს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ამშვენებდა.

ალ. ჭავჭავაძე დიდად განათლებული იყო, შესისხლხორცებული. ჰქონდა რუსულ-ევროპული კულტურა: კარგად იცოდა ქართული. რუსული, ფრანგული. გერმანული და თურქული ენები.—ისტორია, გეოგრაფია. სტატისტიკა. ფიზიკა. ლოგიკა, მათემატიკა და სამხედრო მეცნიერება. საფუძვლიანად იცნობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიტერატურას; მღეროდა და უკრავდა; ავაზაკურად მომხდურ მტერს თავზარს სცემდა მისი სახელი, მაგრამ მისი გულითადი მასპინძლობა სიხარულით ავსებდა წინანდლის სტუმარს.

სალომე იოანეს ასული ორბელიანი ღირსეული დიასახლისი იყო ამ შესანიშნავი სახლისა. პოეტები აქებდნენ მის სილამაზეს, სათნოებას, სტუმართმოყვარეობას.

ალექსანდრესა და სალომეს ჰყავდათ ოთხი შვილი: ნინო (1812—1857), ეკატერინე (1816—1882). დავითი (1818—1889) და სოფიო (1833—1862). წინანდლელი ქალები უკვდავჰყო მშვენიერებამ. პოეტის დედა, მეუღლე და სამივე ასული მწერლების, მხატვრებისა და მუსიკოსების მარადიულ შთაგონებად იქცნენ. ნინო ჭავჭავაძეზე მთელი ლიტერატურა არსებობს. მგოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის შემკობაში. გიორგი ერისთავი წერდა:

ნახეთ, ნინოს როს სპეტაკ გულს
ვით დაეცა თოვლი ქულად,
მას ეგონა სითეთრითა
ჰყოფდა ტურფას დაჩაგრულად, —
მაგრამ რა ნახა მალიად
ეს თვისი შეცდომილება
დადნა მეტისა სირცხვილით
და ცრემლად იწყო დინება.

გრიგოლ ორბელიანმა ოთხ სტრიქონში აღბეჭდა წინანდლის ფერიის ჰაეროვნება:

სიამო არს სახიელველად,
ოდეს ვიხილ ნინას ეპყრას,
მაგრამ ვინ ჰსცნობს, ვინა სუნავს, —
ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას.

ნინომ კარგად იცოდა უცხო ენები, უკრავდა როიალზე, ხატავდა, ცეკვავდა; ძნელი გადასაწყვეტი იყო ამოცანა: რომელი სჯობდა—ნინო თუ მისი უმცროსი და ეკატერინე. წინანდლის ხშირი სტუმარი ბარონი ტორნაუ საგონებელში ჩაუგდია არჩევანს: „მე ჯერაც ვერ გამოვრკვეულვარ, ნამდვილად რომელი უფრო მომწონდა. თუ ეკატერინეს სხივოსანი თვალები და მომხიბლავი ღიმილი გულს მწვავდა, ნინოს მიბნედილი სილამაზე მალამოდ მედებოდა“[1].

ეკატერინეს გასაოცარ სილამაზეს ბრწყინვალებას ჰმატებდა ნათელი ჭკუა და ხასიათის სიმტკიცე. მისი სიმღერა და ცეკვა გულს ნეტარებით ავსებდა. მასზე ოცნებით იწერებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები:

---

[1] ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1956.

ხმით მშვენიერით,
ტკბილი სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები.
თვალთ არონინებ,
გულს დაწყნარებ
და ღიმილითა ესალბუნები!
სადც ხარ, იმ არეს,
მოჰფენ სიამეს, —
უშენოდ მოპსცდეს მხიარულება!
შენის ენითა,
სავსე ლხენითა,
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!
მახსოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით,
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე
პირმცინარითა,
სინარნარითა
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფინარე!

ალ. ჭავჭავაძის შვილები გატაცებული იყვნენ ლიტერატურით; აფასებდნენ ძვირფასი მამის პოეტურ ნიჭს. სათუთად ინახავდნენ მის ნაწერებს. დიდ მწიგნობრად იცნობდნენ მგოსნის ერთადერთ ვაჟს—დავითს. ლიტერატურა და ხელოვნება აახლოებდა გულგაშლილი ოჯახის სტუმრებს. ალ. ჭავჭავაძის სალონში კითხულობდნენ ლექსებს გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, გიორგი ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. აქეთკენ ილტვოდენ რუსი მწერლები და მოღვაწეები. „მათ სადარბაზო ოთახში სტუმარი არ ილეოდა. — წერს ტორნაუ; — ...ალექსანდრე გარსევანის ძე კიდევ მისდევდა რუსულ-ქართულ სტუმართმოყვარეობას“.

ალ. ჭავჭავაძის მეუღლე ამბობდა: „ჩვენი სახლი ორმოცი წლის მანძილზე ღია იყო ყველასათვის, ჩვენი თანამემამულენი რუსებს აქ უმეგობრდებოდნენ“.

აქ შეიგრძნეს და შეიცნეს ქართული სული ალ. გრიბოედოვმა და ალ. პუშკინმა, მიხ. ლერმონტოვმა და კავკასიაში გადმოსახლებულმა დეკაბრისტებმა. ქართული ლიტერატურის წმინდა სავანეში განმტკიცდა ჩვენი სამშობლოსადმი მათი სიყვარული

საქართველო ალ. გრიბოედოვის მეორე სამშობლოდაა ცნობილი. პირველად 1819 წელს ესტუმრა იგი ჩვენს ქვეყანას და იმთავითვე დაუმეგობრდა ალ. ჭავჭავაძის ოჯახს. 1828 წელს მან ცოლად შეირთო პოეტის უფროსი ასული — 16 წლის ნინო, რო-

მელსაც პატარაობიდან იცნობდა და უწმინდესი გრძნობით უყვარდა. ამის შემდეგ მისთვის კიდევ უფრო ძვირფასი გახდა საქართველო, აქ გაატარა ხანმოკლე ბედნიერების უდიდესი ნაწილი. „არა ერთხელ ყოფილა ჩვენთან, წინანდალში,—იგონებს ალ. ჭავჭავაძის შვილიშვილი თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონისა,—წინანდალი მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ის დიდხანს გაჰყურებდა ალაზანსა და ალაზნის ველს, რომელიც კარგად მოჩანდა წინანდლის სასახლის აივნიდან“. წინანდლელები დღესაც უჩვენებენ თვალშეუდგამი ლამაზი ცაცხვის ქვეშ მოწყობილ ფიქალო ქვის განიერ ჩამოსაჯდომს—ჭავჭავაძიანთ კარის ეკლესიის მახლობლად, რომელიც, მათი გადმოცემით, გრიბოედოვის უსაყვარლესი ადგილი ყოფილა.

ალბათ, აქ მიღებულ შთაბეჭდილებათა ნაყოფია პოეტის სიტყვები:

მსუბუქ ნიავს მოაქვს შვება,
იქ, სადაც დის ალაზანი

წინანდლის უხეჩრდილიანი კაკლის ხეებისა და ვაზის ზღაპრული ხეივნების წალკოტში ფრთას ისხამდა მწერლის ფიქრი და აზრი. აქ შეიქმნა უკვდავი კომედიის—„ვაი ჭკუისაგან“,—მთელი თავები — „მწვავე, მრისხანე. აღშფოთების მღელვარე დითირამბული ნიაღვარი“. გრიბოედოვი ოცნებობდა სამუდამოდ დასახლებულიყო აქ და თავდავიწყებულ შემოქმედებითს მუშაობაში გაეტარებინა სიცოცხლე. „გადაეცით ნინოს, რომ არა უგვიანეს ორი წლისა, მე წინანდლის განდეგილი შევიქნები“, — სწერდა ირანის გზიდან.

ალ. გრიბოედოვს მთრთოლვარე გულით უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. იგი გაბედულად აკრიტიკებდა თვითმპყრობელური რუსეთის პოლიტიკას საქართველოში, ნიღაბს ხდიდა აქაური მმართველების ბარბაროსობას; ქართველებს რუსი ხალხის თანამოქალაქეებს უწოდებდა. ამიტომაც ასე გულწრფელად შეიყვარეს იგი ჩვენს ქვეყანაში. 1827 წელს მან შეადგინა „ბარათი ქ. თბილისის ახლად აშენების უმჯობეს ღონისძიებათა თაობაზე“; 1828 წ. დაამუშავა პროექტი ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების შესახებ. წინანდლის ზვრებმა და მომაჯადოებელმა ღვინოებმა შთააგონეს მას ამ პროექტში გამოთქმული აზრი: „კახეთის ღვინოს შეუძლია ნეტოქეობა გაუწიოს უცხოეთის ღვინოს, შეავიწროვოს და განდევნოს იგი რუსეთის ბაზრიდან“.

დიდი რუსი კომპოზიტორი გლინკა გვამცნობს: „გრიბოედოვმა გამაცნო თემა ქართული სიმღერისა, რომელზედაც შემდეგ პუშკინმა დაწერა რომანსი („ნუ მღერი, ტურფავ“)“. ქართული მუსიკის მოყვარულ გრიბოედოვს შემთხვევით არ ჩაუნიშნავს დღიურში: „ქართველების სადილის სიმღერა შეთენებულ არაგვზე“.

1829 წლის 31 მაისს წინანდალს ესტუმრა ალ. პუშკინი. მივიდა მგლოვიარე ოჯახში. რათა სამძიმარი ეთქვა ძაძით შემოსილი ჩვიდმეტი წლის ნინოსათვის, ენახა ადგილი, სადაც რვა წელი გაატარა ალ. გრიბოედოვმა.

წინანდალში ცხოვრობდა მიხ. ლერმონტოვის ნათესავი პრასკოვია ახვერდოვა. რომელიც უცხო ენებსა და მუსიკას ასწავლიდა ალ. ჭავჭავაძის შვილებს. 1837 წელს კავკასიაში გადმოგზავნილი მიხ. ლერმონტოვი ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცერთა მეშვეობით გაეცნო ქართველ პოეტს და ესტუმრა მას წინანდალში. იგი სიამოვნებით იგონებდა. რომ: „როგორც კი წინანდალში ნიჟეგოროდელები გამოჩნდებოდნენ. ჭავჭავაძის ტრამალივით გადაშლილი კარმიდამო სტუმრებით ივსებოდა“. თავის მეგობარ კ. ს. რაევსკის აცნობებდა: „რაც რუსეთიდან წამოველ, მერწმუნე, აქამდე განუწყვეტელ ხეტიალში ვარ... გადავიარე მთები... ვიყავი კახეთში ჩერქეზულად გამოწყობილი, მხარზე თოფით, მეძინა სუფთა მინდორში. ვჭამდი მჭადს დ ვსვამდი კახურს“...

ორ კვირას დარჩა წინანდალში ალ. პუშკინის ძმა — პოეტი ლევ სერგის ძე. სხვადასხვა დროს ქართველი მწერლის ოჯახში სტუმრად ყოფილან ოდოევსკი, კიუხელბეკერი, რაევსკი და მათი მრავალი ამხანაგი.

ალ. ჭავჭავაძის ოჯახი ზაფხულობით წინანდალში ცხოვრობდა, ზამთრობით — თბილისში. ხშირად. მათთან ერთად, თბილისიდან წინანდალში ზაფხულის გასატარებლად მოდიოდნენ ნაცნობ-მეგობრები, ნინოსა და ეკატერინეს ამხანაგები, ქართველი და რუსი მწერლები, მოღვაწეები, მუსიკოსები...

ოჯახის უფროსი სამართლიანად ამაყობდა კარგად მოწყობილი მეურნეობით. რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. სასიამოვნო იყო მისთვის ქედმაღალ უცხოელთა კომპლიმენტებიც. თბილისში საფრანგეთის კონსული გამბა თავის „მოგზაურობაში“ აღტაცებას გამოთქვამს ქართველთა სტუმართმოყვარეობით და ალ. ჭავჭავაძის წინანდლის სახლს ევროპის სახელმოხვეჭილ სასახლეებს ადარებს. „თავადი ჭავჭავაძე გულმოდგინედ ეწევა მევენახეობასა და ღვინის დამზადებას... კარგი მოსავლის დროს იგი 30 თუნგამდე ღვინოს

აყენებს... ჭავჭავაძეს პურის ყანებიც აქვს... მისი გლეხები, რიცხვით 1500 სულამდეა, წარმატებით იწყებენ თუთის ხის გაშენებასა და აბრეშუმის ჭიის ცოვლას[1].

ალ. ჭავჭავაძის ღვინო განთქმული იყო საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში. 1886 წლის „ივერიის" ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია ხალხური ლექსი:

ნეტავი ნატვრა მანატრა
ეს ნატვრა ამიხდინაო,
მუხრან ბატონი ყმად მომცა,
კახის ბატონის ბინაო,
მომცა ყაინის უღელი,
ხონთქართან გამადინაო
და ღვინო ჭავჭავაძისა
მილით შინ მაპიდინაო.

ალ. ჭავჭავაძის წინანდლის მამულს უსათუოდ ისიც მატებდა ღირსებას, რომ იგი მოსახლეობის სიყვარულით იყო გარემოცული. გლეხები პატივს სცემდნენ დიდებულ თანასოფლელს, რადგან „გენერლის მუნდირს ქვეშ პოეტის მგრძნობიარე გული ფეთქავდა". იგი ხომ წერდა:

მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველთ თვისებათ,
ცით მოვლენილთა შვენებასაც და გონებასაც
ის ასულმდგარებს...
...რომელნიც აჩწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას.
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

პოეტის ოჯახს მეტად ჰუმანური ურთიერთობა ჰქონდა გლეხებთან. ამ გულთბილობაზე დღესაც ლაპარაკობენ ალ. ჭავჭავაძის თანამემამულენი. ასოც წელს მიღწეული გიო გემაზაშვილი გადმოგვცემს „ჭავჭავაძეების სახლის გარშემო, ზევით მუხიანამდე იყო სახნავ-სათესი მიწები. ეკლესიის გარშემო ბაღი ჰქონდათ. იქით, ეკლესიიდან მოშორებით, ხეხილის ბაღი იყო. ამ ტრიალ მინდორზე ხუთი-ექვსი კაკლის ხე იდგა. მათ ქვეშ სკამები იყო გამართული.

---

[1]. ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები, 1956.

როცა გლეხები მუშაობდნენ, კბილაზი (ალ. ჭავჭავაძე—ა. კ.) იქ იჯდა და ესაუბრებოდა მათ".

მარიამ ბატიაშვილის სიტყვით, „ჭავჭავაძეების ეკლესიას, რომელიც ამჟამად ჩანგრეულია, წინ ფართო ეზო ჰქონდა. ევლოგიაობის დროს გარშემო ვუვლიდით. შემდეგ ხევის მხარეს სუფრას გავშლიდით და მთელ ღამეს სიმღერასა და მეიარულობაში ვატარებდით".

მასვე მშობლებისაგან გაგონილი ჰქონია, რომ „თავადი ალექსანდრე და კნეინა სალომე მეტად სათნო გულისა ყოფილან. გლეხები ჰყვარებიათ, არასოდეს სჯიდნენ და ხშირად ასაჩუქრებდნენ. ხველა მათთან მოდიოდა, როცა გაუჭირდებოდათო. არ ჰგვანდნენ კოზმანაშვილებს. რომლებიც მცირე დანაშაულისთვისაც ოჯფლს წაუსვამდნენ ყმა გლეხს, რომ ჰაპანაქებაში ბუზები დახვეოდნენო. ალექსანდრე ხშირად მიდიოდა გლეხებთან. ესაუბრებოდა და მათთან ერთად მხიარულობდა".

არსებობს გლეხებისადმი მწერლის გულმართალი დამოკიდებულების უეჭველი საბუთი: ალ. ჭავჭავაძემ ყმობიდან გაათავისუფლა და პეტერბურგის საბჭოთა აკადემიაში მოაწყო გრ.მაისურაძე. ამ დოკუმენტში აღნიშნულია: „გავაიაოისუფლე ჩემი საკუთარი გლეხი გრიგოლ ივანეს ძე მაისურაძე... როგორც ერთადერთი წახალისება იმ არაჩვეულებრივი წარმატებისა. რაც მან გამოიჩინა ორი წლის განმავლობაში სწავლისას ფერწერასა და ხატვაში. ვხედავ რა მის ნიჭსა და მონდომებას ამ დარგში და მსურს ამ ნიჭის განვითარება საერთო სარგებლობისა და მეატვრობის საკეთილდღეოდ. ვანიჭებ მას თავისუფლებას".

ალ. ჭავჭავაძის ოჯახმა სათნოებითა და კაცთმოყვარეობით საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა კახეთში. სიყვარულით მღეროდნენ ამ კუთხეში:

ბატონია, თავადია კახისა,
გამკითხავი ღარიბისა, გლახისა,
ალექსანდრე ჭავჭავაძე ქებული,
ხელმწიფისგან სახელგადიდებული.

1846 წლის ნოემბერში ქართული რომანტიზმის მამამთავარმა ტრაღიკულად დაასრულა სიცოცხლე. იგი დაიღუპა, როცა საპარადოდ გამოწყობილი ვორონცოვთან მიიჩქაროდა ეტლით. ახლანდელი ალ. ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში ცხენი დაფრთხა. პოეტმა სცადა მიშველებოდა მეეტლეს, მაგრამ შინელის კალთა ბორბალში მოჰყვა;

ეტლიდან გადმოვარდა და თავით ფილაქანზე დაეცა[1]. ალ. ჭავჭავა-ძე დაასაფლავეს შუამთის ტაძარში, სადაც დამარხულია დედამისიც.

წინანდლის მამული დარჩა პოეტის ვაჟს, დავით ჭავჭავაძეს. 40-ანი წლებიდან ამ სანუკვარმა ადგილმა თავისი დიდი ლიტერატურული მხიშვნელობა თანდათან დაჰკარგა. ეკატერინე 1839 წელს გათხოვდა და საცხოვრებლად თავის მეუღლესთან — დავით ციციანოვთან გადავიდა ზუგდიდში. მგლოვიარე ნინო იშვიათად ჩამოდიოდა მშობლიურ სოფელში. იგი ხან თბილისში ცხოვრობდა, ხან ეკატერინესთან იყო სამეგრელოში. უმცროსი და სოფიოც ადრე გათხოვდა, მის ქმარს, ბარონ ნიკოლაის, საქართველოს გარეთ უხდებოდა სამსახური.

დავით ჭავჭავაძე ოფიცერი იყო. 1844 წლიდან იგი მონაწილეობდა მთიელებთან ბრძოლაში. მამის მეურნეობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა. აკლდა გამჭრიახობა. ქეიფობდა და უყაირათობით ქონებას ანიავებდა. 1854 წელს ამას ზედ დაერთო შამილის თავდასხმა წინანდალზე, რამაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა პოეტის დიდებულ სავანეს—„კახეთის თვალსა და ჯავარს", როგორც თვითონ ამბობდა.

1854 წლის 18 ივნისს დავით ჭავჭავაძის ოჯახი თბილისიდან წინანდალში გაემგზავრა საზაფხულოდ. მას თან ახლდნენ სტუმრები, მათ შორის საფრანგეთიდან მოწვეული მასწავლებელი მადამ დრანსე. საიდუმლოდ აღარ ითვლებოდა, რომ შამილი დამსჯელი ექსპედიციის მოწყობას აპირებდა კახეთში. ხალხი მიუვალ ადგილებში გაიხიზნა. დავით ჭავჭავაძე ყვარლის გადმოსასვლელებს იცავდა მიურიდებისაგან; დარწმუნებული იყო, რომ ლეკები სხვა გზით არ დაეცემოდნენ წინანდალს. მისი მეუღლეც უზრუნველად ატარებდა დროს, მაგრამ 2 ივლისს ლეკების დიდმა რაზმმა შამილის ვაჟის, ნაიბ ყაზიმაჰმადის მეთაურობით, უბრძოლველად აიღო წინანდალი. შეშინებული ქალები და ბავშვები სასახლის ბელვედერში შეიმალნენ და იქიდან უყურებდნენ, როგორ ივსებოდა ეზო შეიარაღებული ცხენოსნებით.

მიურიდებმა უმოწყალოდ დაარბიეს პოეტის სასახლე. გაძარცვეს ოცდაოთხივე ოთახი. ამ ამბის მნახველი მადამ დრანსე, თავის მოგონებაში გადმოგვცემს, რომ ლეკები ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ ნადავლს. ბრილიანტებს, ოქრო-ვერცხლს, ქსოვილებს. ძვირფას ჭურჭლეულობას... „ჩვენამდე მოდიოდა ორი ფორტეპიანოს

[1] ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები, 1956.

არეული ხმები, რომელთა კლავიშებზედ ტლანქად აბრახუნებდნენ ველურები".

აწიოკებული სასახლე ლეკებმა ხანძარში გახვიეს. თავადის სახლობა და სტუმრები ტყვედ გაირეკეს და უთვალავი სიმდიდრით დატვირთული ცხენებით მთებისკენ გაეშურნენ.

ასი წლის მოხუცი მარიამ ბატიაშვილი იგონებს თავისი მამის—სასახლის შინამოსამსახურის ნაამბობს, რომ დავით ჭავჭავაძეს დაგვიანებით გაუგია ოჯახის უბედურება და ჯარი დაუდევნებია ლეკებისათვის. მოულოდნელად გზაში ცხენისგან გათელილი ძუძუმწოვარა ასულის—ლიდიას, ცხედარს წაწყდომია, ხელში აუტაცნია, აოხრებულ მამულში ჩამოუტანია და კარის ეკლესიის ეზოში დაუსაფლავებია. აქვე დღესაც არსებობს დიდი ცაცხვის ხე. რომლის ფუძეროში ავაზაკებისაგან შეშინებული დავითის მეორე ქალი—ასალომე იმალებოდა თურმე.

შამილმა მძიმე პირობები წამოაყენა დავითის ოჯახის გამოსახსნელად: ერთი მილიონი მანეთი და პეტერბურგში მძევლად მყოფი თავისი ვაჟის — ჯემალ-ედინის განთავისუფლება მოითხოვა. მოლაპარაკება რამდენიმე წელს გაგრძელდა. ბოლოს, 40.000 მანეთსა და შვილის დაბრუნებას დაყაბულდა, მაგრამ გაძარცულ დავით ჭავჭავაძეს არც ამ თანხის გადახდა შეეძლო და ფული მთავრობისაგან ისესხა, სამაგიეროდ, მამულები დააგირავა ბანკში.

დავით ჭავჭავაძემ ვერ შეძლო ვალის გადახდა; წლების განმავლობაში ვალს სარგებელიც მიემატა და წინანდლის, ნაფარეულისა და მუკუზნის მამულები. სასახლითა და პარკითურთ, რუსეთის იმპერატორს — ალექსანდრე მესამეს დარჩა.

1883 წელს წინანდალში ჩამოვიდნენ „საუფლისწულო მამულების" რწმუნებულნი. — ჩაიბარეს. მთელი მეურნეობა, სასახლე, ღვინის სარდაფი და აქაურობის ახლებურად მოწყობას შეუდგნენ. 1884 წელს აქ ააგეს მთელს რუსეთში უდიდესი ღვინის სარდაფი; ამასთან დაკავშირებით, პოეტის სახლს ჩრდილოეთით, 35 მეტრის სიგანეზე,ოთახები ჩამოანგრიეს და მავრიტანული სტილის ფასადი მიაშენეს[1]. წინანდლის იმდროინდელი ხელისუფალნი მეღვინეობით დაინტერესდნენ; უცხოეთიდან სპეციალისტები მოიწვიეს და ვაზის ადგილობრივ ჯიშებთან (რქაწითელი, საფერავი, ბუდეშური, მწვანე, თავკვერი), უცხოურიც გააშენეს; განაახლეს და ახალი მცენარეებით შეავსეს დეკორაციული პარკი; მენშევიკების ბატონობის წლებში

[1] ირ. ხმალაძე. წინანდლის პარკი. 1946.

წინანდლის ვენახები თითქმის მთლიანად განადგურდა, ბაღი და სასახლე გაპარტახდა.

საბჭოთა მთავრობამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ალ. ჭავჭავაძისეული მამულის აღდგენას. 1921 წლიდან დაიწყო ახალი ზვრების გაშენება და მოკლე ხნის მანძილზე წინანდლის საბჭოთა მეურნეობამ და მისმა სარდაფმა დიდი ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის კულტურული მეღვინეობის განვითარებაში.

გამარჯვებულმა ხალხმა ღირსეულად დააფასა სახელოვან წინაპართა ღვაწლი. მშრომელთა კუთვნილებად იქცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობაც.

დიდი ხანია. რაც ქართველმა ხალხმა თავის წარმოდგენაში უკვდავების შარავანდედით შემოსა ალაზნის ხავერდოვან ველსა და ციცგომბორის ამწვანებულ კალთებზე გაშენებული ლამაზი სოფელი. ამიტომ მნახველთა შთაბეჭდილებების წიგნში ყველაზე ხშირად გეხვდება ლაკონური ჩანაწერი: „მარტოდენ სიტყვაც კი საყვარელია — წინანდალი!“. თვითეული ხე, ნანგრევი, შენობა, მიწის ყოველი მტკაველიც კი ღირსშესანიშნავია აქ, რაიმე კავშირი აქვს დიდი პოეტის, მისი სანაქებო ასულების, მათი აურაცხელი მეგობარი მწერლებისა და მოღვაწეების ცხოვრებასთან. ამის გამო, ბუნებრივია, რომ ჩვენი ქვეყნის ადამიანები თავიდანვე მოკრძალებით ეპყრობოდნენ წინანდლის რელიქვიებს და ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დაარსებით ფიქრობდნენ მათ დაცვასა და უკვდავყოფას, რისთვისაც წინასწარ აგროვებდნენ ექსპონატებს. მუზეუმის დაარსება ითავა ლიტერატურულმა მუზეუმმა, რომელსაც პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ხელმძღვანელობდა. საგანგებო გულისხმიერება გამოუჩენია ამ საქმეში წინანდლის საბჭოთა მეურნეობის ყოფილ მებაღე-დეკორატორს ირაკლი ხმალაძეს. „1933 წლიდან ჩემს ყოველდღიურ ოცნებას ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმის მოწყობა წარმოადგენდა“, — ამბობს ის. საუფლისწულო მამულების არქივში (წინანდალში) მას ერთი მეტად საგულისხმო დოკუმენტისათვის მიუკვლევია. სიძველისგან გახუნებული საბუთი ღაღადებდა, რომ 1884 წელს ჭავჭავაძეებმა პოეტის სახლისეული 1500-ზე მეტი ნივთი გადასცეს იმპერატორის მფლობელობაში გადასული მამულის მმართველებს.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, 1946 წლის ნოემბერში ქართველმა ხალხმა აღნიშნა ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალების ასი წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, ლიტერატურულ-

მა მუზეუმმა კვლავ წამოჭრა წინანდალში სახლ-მუზეუმის დაარსების საკითხი.

იუბილესათვის მზადების პერიოდში განთავისუფლდა ალ. ჭავჭავაძის სახლის ყოფილი სასადილო ოთახი, სადაც უკანასკნელად მოთავსებული იყო მეურნეობის აგრო-ლაბორატორია და იქ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დროებითი გამოფენა მოეწყო. ექსპოზიციისათვის საჭირო ექსპონატები მოამზადა ლიტერატურულმა მუზეუმმა.

1946 წლის პირველ დეკემბერს წინანდალს კვლავ ესტუმრნენ ალ. ჭავჭავაძის პატივისმცემლები. საბჭოთა მეურნეობის კლუბში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. პოეტებმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ, გიორგი შატბერაშვილმა და იოსებ ნონეშვილმა წაიკითხეს ალ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსები. საზეიმოდ გაიხსნა საიუბილეო გამოფენა, რომელიც თბილისიდან და კახეთის რაიონებიდან მოსულმა მრავალმა სტუმარმა დაათვალიერა... ზეიმის მონაწილეებმა იმავე დღეს შუამთის ტაძარში ვვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს ალ. ჭავჭავაძის საფლავი.

პოეტის ხელნაწერთა შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს წინანდლელმა კოლმეურნეებმა და მოსწავლეებმა. შეკრებილი იქნა საინტერესო ექსპონატები, რამაც მეკიცე საფუძველი შეუქმნა მუზეუმს, რომელიც 1947 წლის აგვისტოში გაიხსნა. რამდენიმე წლის მანძილზე მუზეუმის ფონდი ახალი მასალით შეივსო, გაფართოვდა ექსპოზიცია: პარალელურად მოეწყო გამოფენა: „ძველი და ახალი წინანდალი". 1954 წელს მუზეუმს გადაეცა მეორე ოთახიც—ალექსანდრე ჭავჭავაძისეული სასახლის ყოფილი სასტუმრო დარბაზი და ამით სტაციონარული ექსპოზიციის შემდგომი გაფართოვების საშუალება შეიქმნა.

ამჟამად სახლ-მუზეუმს უკავია ალ. ჭავჭავაძისეული სასახლის ცენტრალური ნაწილი: დერეფანი, ყოფილი სასადილო და ეროი სადარბაზო ოთახი. დამთვალიერებელს შეუძლია აგრეთვე, მეორე სართულის ნიშებით მორთული აივნიდან დატკბეს ალაზნის ველის, კავკასიონის მთებისა და დეკორაციული პარკის წარმტაცი სურათებით. სასახლის სადარბაზო შესასვლელიდან მუხის განიერი, ლამაზი კიბე მიემართება ზემოთ. ჭერმაღალი ვესტიბიული დიდი ფუფუნებითაა მოწყობილი.

სასახლის დარბაზებს შემორჩენილი აქვს წარსულის იერი, მწერლის ხსოვნასთან დაკავშირებული ნიშან-კვალი — ძველებური

ხუხრები, ჭაღები, მდიდრული მოხატულობა, მოჩუქურთმებული ფანჯრები.

აივანსა და კედლებზე მიშვებულია ხვიარა მცენარეები — ფარფოფოთლებიანი ვაზი გლუარა, ნარინჯ წითელი მტევანა, სურნელოვანი თეთრ ყვავილებიანი ბანკრია.

ალ. ჭავჭავაძეს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა არქივი, მეგობრებისაგან მოწერილი უამრავი წერილი, საგვარეულო ხაბუთები, საქმიანი ქაღალდები; მისი სახლები თბილისსა და წინანდალში სავსე იყო ავეჯით, ფუფუნების საგნებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, საწერი მოწყობილობით, სათამაშო-გასართობი ნივთებით, სამეურნეო-საოჯახო ინვენტარით. ყოველივე ეს ძვირფასია სახლ-მუზეუმისათვის.

პოეტის ტრაღიკული სიკვდილის შემდეგ, რომლიდანაც ერთ საუკუნეზე მეტი გვაშორებს, მისი ქონება დანაწილდა და განიავდა. წინანდლის სასახლის გაძარცვისა და გადაწვის დროს, 1854 წელს დაიღუპა საშვილიშვილო საგანძური—არქივი, ხელნაწერები, უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელსაც დავით ჭავჭავაძეც უფრთხილდებოდა,—ძვირფასეულობა, დარბაზების მორთულობა. რაც მიურიდების ბრბოს გადაურჩა, განიავდა 80-ან წლებში, როცა წინანდლის მამული საუფლისწულო მეურნეობების ხელისუფლებამ ჩაიბარა. ცხადია, აქ მოსულთ სრულებით არ აინტერესებდათ ქართველი პოეტის უკვდავყოფა; მის ნივთებს ხელაღებით ჰყიდდნენ, ასაჩუქრებდნენ და საქართველოდანაც გაჰქონდათ.

აღნიშნული მიზეზების გამო, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ფონდის დაკომპლექტება განსაკუთრებულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, — დიდ ცოდნასა და გულმოდგინებას მოითხოვს. საჭიროა, მწერლის შთამომავალთა და მახლობელთა ოჯახების მოძებნა, მათთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, სიძველეთ საცავების, მუზეუმების, არქივების შესწავლა.

როგორც აღვნიშნეთ, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომმა ირაკლი ხმალაძემ იპოვა ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაქონი 1500-ზე მეტი ნივთის სია. ამ ნივთებში ბევრი იყო უნიკალური; მაგალითად, — ჰოლანდიელ მხატვართა სურათები, რომლებიც რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ აჩუქა გარსევან ჭავჭავაძეს (ამჟამად ეს სურათები ინახება ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).

სიის მიხედვით მუზეუმის მუშაკებმა ჯერ საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე დაიწყეს ალ. ჭავჭავაძის მემორიალური ნივთების ძებნა და სიაში მოხსენებულ 300-დე ძეგლს მიაკვლიეს—მათ შორისაა რბილი სავარძლები, სპილენძის თუნგები, ლამპები, ჩინური ვაზები, შანდლები, ფაიფურის კასრი, ღვინის სარწყაულები, ზოგიერთი საარქივო დოკუმენტი.

ამასთან ერთად, მუზეუმის მუშაკებმა დაადგინეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ზოგიერთი შთამომავალის მისამართი. ამ გზით სახლ-მუზეუმის ფონდი გამდიდრდა ბევრი საინტერესო ექსპონატით. განსაკუთრებით საყურადღებოა ივ. რატიშვილისა (დავითის შვილიშვილის მეუღლის) და მისი ქალიშვილის მარია ლვოვას ოჯახიდან მიღებული კოლექცია, რომელშიც შედის 1812 წლის სამამულო ომის მედალი; ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მედალი; იმავე პოლკის ოფიცრის ქუდის მოდელი, რომელიც სამახსოვროდ გაუგზავნიათ პოეტის ოჯახისათვის;—ნამტვრევი შპაგისა, რომელიც. რატიშვილის გადმოცემით,—ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავზე დაამსხვრია ნაპოლეონის მარშალს. დაუს; ლამბაქი ალ. ჭავჭავაძის ოჯახიდან; ლამბაქი ვენერასა და ბახუსის გამოსახულებით: ბროლის ორი ბოკალი ინიციალებით—„ნ. ჭ. გ.“ (ნინო ჭავჭავაძე—გრიბოედოვისა); ნინო ჭავჭავაძისეული ორი ლანგარი; მიხ. ლერმონტოვის ცხვირსახოცი, რომელზედაც. რატიშვილის განმარტებით. ნინო ჭავჭავაძის ამოქარგულია ფრანგული წარწერა: „მიშელ“; მეთვრამეტე საუკუნის სპილენძის სურები. საყვავილეები. ვაზები.

მემორიალური საგნების ძებნა აუცილებელია ახლო-მახლო სოფლებშიც. რადგან გულუხვი ჭავჭავაძეები ხშირად ასაჩუქრებდნენ თანამემამულეებს სხვადასხვა საგნებით; ზოგი რამ მოგვიანებითაც შეიძლებოდა მოხვედრილიყო სხვის ოჯახებში. ამაზე მიგვითითებს შემდეგი ფაქტი. გ. მამალაშვილმა მუზეუმს წარუდგინა ჭავჭავაძისეული ღვინის კულა. გამოირკვა, რომ ეს ნივთი დავითმა აჩუქა თავის შვილიშვილს მაქს ჭავჭავაძეს. ხოლო ამ უკანასკნელს მამალაშვილებისთვის უბოძებია.

საინტერესო შენაძენია ნინო ჭავჭავაძის ფაიფურის სასალათე თეფში. გარსმოვლებული ლურჯი არშიით. მას ამკობს მონოგრამა: „ნ. ჭ.“ და გვირგვინი. ეს ძვირფასი ექსპონატი უფასოდ გადასცა მუზეუმს თელაველმა მასწავლებელმა თამარ მაჭავარიანმა.

1954 წელს სახლ-მუზეუმმა შეიძინა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახისეული პიანინო. როგორც გამოირკვა, ეს უნიკალური ნივთი ალექსანდრე გრიბოედოვმა ჩამოიტანა პეტერბურგიდან 1820-ან

წლებში. იგი საქართველოში მოტანილი პირველი პიანინო უნდა იყოს. მისი ხნოვანება ზუსტადაა დათარიღებული. ამაზე მიგვითითებს მისი კლავიატურის თავისებურებაც. დაკვრის დროს ღილზე ხელის დაჭერით შესაძლებელია კლავიატურის გადმოხსნა, რომელიც, ჩვეულებრივ, მთლიანად აკეცილია სიმაღლეზე. ამ პიანინოზე სწავლობდნენ დაკვრას ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები. ნინოს გათხოვების შემდეგ, პიანინო თბილისიდან წინანდალში გადაუტანიათ და სამუდამოდ იქ დარჩენილა. დავითისგან პიანინო დარჩა ზაქარია ჭავჭავაძეს; ამ უკანასკნელმა იგი თავის ვაჟს—მაქსს გადასცა. მაქს ჭავჭავაძის მეუღლე — ელენე შაბლიკინა საუცხოო დამკვრელად ითვლებოდა, მაგრამ უდროოდ გარდაიცვალა; მგლოვიარე ქმარმა აღარ მოისურვა, რომ მძიმე მოგონებათა გამომწვევი პიანინო ოჯახში ჰქონოდა. ეს ძვირფასი ნივთი ჭავჭავაძეებისაგან შეუძენია წინანდლელ ზაქარია გიუაშვილს, ხოლო მისმა ვაჟმა ევგენიმ იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში მოიტანა.

მუზეუმის ფონდის დაკომპლექტებას ხელს უწყობს შემოწირულობანი. ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების გამოჩენილმა მკვლევარმა, პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა მუზეუმს გადასცა ალ. ჭავჭავაძის ლექსების უნიკალური გამოცემა და მუსიკალური ნაწარმოები—„მშვენიერთა ხელმწიფავ!“. საინტერესო ექსპონატები უძღვნეს პოეტის სახლს პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილმა, პროფ. აკაკი გაწერელიამ, კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა და სხვ.

რაიონის მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევს სახლ-მუზეუმს მასალების გამოვლინებასა და შეძენაში. უნიკალური მონეტები და სხვა ნივთები გადასცეს ფონდს ალ. ნაცვლიშვილმა, ლ. ნიკიტინმა, ელ. უსტიაშვილმა, შ. ჩიკვაიძემ, ტასიკო ჭიორელმა, მიხ. მალუძემ, წინანდლის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სოსო მსუქნიშვილმა, ოთარ ჩიკვაიძემ და სხვ.

დაკომპლექტებაში მოსახლეობის მონაწილეობამ უზრუნველჰყო ისეთი ძვირფასი მემორიალური ძეგლების გამოვლინება და შეძენა, როგორიცაა ალ. ჭავჭავაძისეული ფაიფურის ჭურჭლეულობა, ჩარჩოები, სარკე, მარაო, ესპანეთის მეფის კარლოსის წერილი ჭავჭავაძის ქალებისადმი, ფოტოსურათები.

ალ. ჭავჭავაძის მუზეუმი დაკავშირებულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივთან, ლენინგრადის საისტორიო არქივთან, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმთან, თელავის

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმთან, საიდანაც საყურადღებო ცნობებსა და დოკუმენტებს იღებს.

რა თქმა უნდა, სახლ-მუზეუმი ვერ დაკმაყოფილდება ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი ოჯახის ცხოვრების ამსახველი მასალით. პარალელურად მან უნდა შეიძინოს პოეტის მახლობელთა არქივები და ნივთები, საერთოდ, ქართული ლიტერატურისა და კულტურის ძეგლები, ტიპიური ნიმუშები, წინანდლისა და მახლობელი სოფლების წარსული და თანამედროვე ცხოვრების რელიქვიები. მუზეუმმა ბევრი მასალა შეკრიბა, მაგალითად, წინანდლელი მხატვრის, გრიგოლ მაისურაძის შესახებ; შეიძინა წერილი, რომელიც შეეხება ლესია უკრაინკას ცხოვრებას თელავში; მრავალი მასალაა შეგროვებული წინანდლის საბჭოთა მეურნეობის წარსულსა და აწმყოზე.

ყურადღებას იპყრობს „ომანიანის" მე-18 საუკუნის ხელნაწერი, რომელიც წინანდალშია შეძენილი.

მუზეუმი გულმოდგინედ სწავლობს ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი ოჯახის ცხოვრებას, მწერლის მხატვრულ შემოქმედებას, მის ლიტერატურულ ურთიერთობებს, წინანდლის როლს ქართული კულტურის განვითარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვითეული ექსპონატის განსაზღვრას, მისი თავგადასავლის გაშუქებას. ამის გარეშე შეუძლებელია მათი მიზნობრივი გამოყენება, ექსპოზიციაში მოთავსება. ეს რთული მუშაობა მოითხოვს, რომ მუზეუმს ჰქონდეს მდიდარი არქივი, ცნობარები, ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, თემატიკური კართოტეკა. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმში მართლაც მზადდება მეცნიერული კვლევის ნიადაგი, რაზედაც მეტყველებს რამდენიმე მაგალითი.

თელაველმა საზოგადო მოღვაწემ ივანე პაატაშვილმა მუზეუმის დავალებით დაწერა ვრცელი გამოკვლევა „ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი ოჯახის წევრთა ბიოგრაფიები; ლეკების თავდასხმა წინანდალზე". ნაშრომში წერილობით წყაროებთან ერთად, ავტორი სარგებლობს ხალხური გადმოცემებით, თანამედროვეთა მონათხრობითა და ზოგიერთი უცნობი საბუთით.

ცენტრალურ სიძველეთსაცავებში მდიდარი დოკუმენტები ინახება ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ. მათი ნაწილი დღემდე შეუსწავლელია. ლიტერატურის ისტორიკოსები დაინტერესებული არ არიან ზოგიერთი წვრილმანით, რომელიც მუზეუმისთვის აუცილე-

ბელია. ამ თვალსაზრისით სპეციალისტების მიერ გამოყენებული წყაროებიც შესასწავლია. მუზეუმის მუშაკებს მხედველობაში ჰქონიათ ეს. არქივის შესავსებად ასეთი მასალებიც გამოუყენებიათ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივიდან გადაღებული პირების რაოდენობა რამდენიმე ათას გვერდს შეადგენს. მათ შორის მრავალი საინტერესო საბუთია; ასეთებია: რუსეთის მოქმედი არმიის მთავარსარდლის ბარკლაი დე ტოლის 1815 წლის 12 მარტის წერილი ალ. ჭავჭავაძისადმი მისი ოქროს ხმლით დაჯილდოების თაობაზე. 1828 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის მოხსენებები ბაიაზეთის საფაშოში გენერალ-მაიორ ალექსანდრე ჭავჭავაძის მოქმედი ჯარების წარმატებაზე; 1832 წლის შეთქმულების შესახებ გამოყოფილი საგამომძიებლო კომისიის ერთ-ერთი წევრის წერილი ალ. ჭავჭავაძისადმი; 1833 წლის თებერვლის პასუხები საგამომძიებლო კომისიის შეკითხვებზე; გენერალ-ადიუტანტ ნეიდგარტის 1843 წლის მიმართვა ალ. ჭავჭავაძისადმი კახეთში მილიციის ერთი ათასეულის შედგენის თაობაზე; ალ. ჭავჭავაძის რაპორტები სომხეთიდან, წინანდლის მამულის ისტორიის მასალები — ჩარჯთაღრიცხვანი, სამშენებლო პროექტები, აქტები, გეგმები და ა. შ.

სახლ-მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ მოგონებების ჩაწერას. ადგილობრივ მცხოვრებთ ბევრი რამ ახსოვთ ალ. ჭავჭავაძისა და მისი ოჯახის შესახებ. მამა-პაპათაგან გაუგიათ პოეტის სათნოება, გულკეთილობა,—მოხუცებს პოეტის ცხოვრების ბევრი საინტერესო დეტალი შემოუნახავთ. ფონდში დაცულია მარიამ ბატიაშვილის, გიო გემაზაშვილის, შაქრო ბატიაშვილისა და სხვათა მოგონებები. ამ ჩანაწერებში გვხვდება ბევრი საყურადღებო ცნობა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია წინანდალში ალ. ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის მემორიალური ადგილების დადგენა. გიო გემაზაშვილის ცნობით, პოეტის საყვარელი ადგილი იყო კაკლის ხეები ეკლესიასთან.

ამ მასალების საფუძველზეა შექმნილი გამოფენაზე გამოყენებული ზოგიერთი დამხმარე ექსპონატი; — მაგალითად, ალექსანდრე ჭავაჭავაძის წინანდლის მეურნეობის სქემა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლის სასადილო დარბაზში მოწყობილი დროებითი გამოფენა შემდგომში ახალი მასალით შეივსო და გაფართოვდა. 1954 წელს სახლმუზეუმს გადაეცა მწერლის სახლის ერთი სადარბაზო ოთახი; ამასთანავე, განვლილი ათი წლის მანძილ-

ზე ფოხდი გამდიდრდა საინტერესო მასალით, რამაც ნიადაგი მოამზადა სრული რეექსპოზიციისათვის. ახალი გამოფენა მოეწყო სახლ-მუზეუმის დერეფანსა და ორივე დარბაზში. იგი გაიხსნა 1956 წელს.

მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიცია გამართულია ქრონოლოგიურ-სისტემატიკური პრინციპით და ასახავს ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

გამოფენის შესავალ ნაწილში გაშუქებულია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატები ნათელ წარმოდგენას იძლევა კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის მნიშვნელობაზე.

ექსპონირებულია ალ. ჭავჭავაძის ბავშვობისა და ყრმობის ამსახველი მასალები: მშობლების — გარსევან ჭავჭავაძისა და მაია ავალიშვილის პორტრეტები. ჭავჭავაძეთა საგვარეულო ღერბი, ერეკლე მეფის სიგელი გარსევან ჭავჭავაძისადმი; გარსევანის საფლავის ქვის წარწერა. ფოტოსურათი შუამთის მონასტრისა, სადაც დასაფლავებულია პოეტის დედა.

პირველი საგამოფენო დარბაზის დასაწყისში ყურადღებას იპყრობს ს. მაისაშვილის ტილო — ალექსანდრე ჭავჭავაძე ფარნაოზ ბატონიშვილთან 1804 წელს. ტექსტები და საექსპოზიციო კომპლექსი გვიჩვენებს, რომ 17 წლის ალექსანდრე მშობლების სახლიდან გაიპარა და მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებულ მთიულებს შეუერთდა. იმპერატორმა შეიწყნარა გარსევან ჭავჭავაძის თხოვნა, ვადაზე ადრე გაათავისუფლა ალექსანდრე სასჯელისაგან და პაჟთა კორპუსში ჩარიცხა.

მომდევნო თემები გვაცნობს ალექსანდრე ჭავჭავაძის გმირულ სამხედრო თავგადასავალს. ამ სტენდზე საყურადღებოა რუკა იმ ადგილებისა. სადაც პოეტს სხვადასხვა დროს მოუხდა ყოფნა, მათ შორისაა — პარიზი, ბერლინი, მოსკოვი, პეტერბურგი, ერევანი და სხვა. ვრცლადაა გაშუქებული ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობა 1813—1814 წლის ბრძოლებში ნაპოლეონის წინააღმდეგ.

1817 წელს ალ. ჭავჭავაძე ლეიბჰუსართა პოლკიდან გადაყვანილ იქნა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, წინანდლის ახლოს. 1822 წელს იგი ამ პოლკის უფროსადაც დაინიშნა. ამის შემდეგ პოეტი დიდ მზრუნველობას იჩენს წინანდლის მამულისადმი და სულ მალე მისი სასახლე სახელგანთქმული ლიტერატურული სალონი ხდება. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ საკითხს წამყვანი ადგილი უკავია სახლ-მუზეუმის ექსპოზიციაში. წარმოდგენილია წინანდლის მეურ-

ნეობის სქემა. — ალ. ჭავჭავაძის ძიერ ყმობიდან განთავისუფლებული მხატვრის — გრიგოლ მაისურაძის ნამუშევრები. წინანდლის საამაყო სტუმრების — ოდოევსკის, კიუხელბეკერის, რაევსკის, ბესტუჟევ-მარლინსკის პორტრეტები. რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საამაყო ტრადიციებს მოგვაგონებს მასალები ალ. გრიბოედოვის, ალ. პუშკინისა და მიხ. ლერმონტოვის წინანდალთან მჭიდრო კავშირის შესახებ. ნ. მამალაძის მხატვრული ტილო — „ალ. პუშკინი და ალ. ჭავჭავაძე თბილისში", მარგო მეტრეველის — „ალ. პუშკინი წინანდალში", „სტუმრები ალ. ჭავჭავაძის სახლის აივანზე წინანდალში" — ალექსანდრე გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძიანთ კარის ეკლესიაში.

თემატიკური ექსპოზიციის დასასრულს საინტერესოა ტილო — ალექსანდრე ჭავჭავაძე და არსენა ოძელაშვილი დღეობაზე მარტყოფში, 1842 წელს,—რომელზედაც ასახულია ცნობილი ეპიზოდი: ალ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი თანმხლები იცნობს არსენა ოძელაშვილს და სურს .მოკლას იგი, მაგრამ პოეტის უმცროსი ასული—სოფიო, სასროლად გამზადებულ იარაღს ხელს აუკრავს და გადაარჩენს საბალხო გმირს.

დასკვნით ნაწილში ნაჩვენებია პოეტის გარდაცვალება და დასაფლავება. აქ მეტად ბუნებრივად მოჩანს შოთა მეტრეველის სურათი—მიურიდების თავდასხმა წინანდალზე 1854 წელს (ფუღუროიანი ცაცხვის ხე, რომელშიც დამალულა დავითის ასული სალომე) და ვახტანგ ჯაფარიძის—ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავი შუამთის მონასტერში.

მეორე საგამოფენო ოთახი. ყოფილი მისაღები დარბაზი, სადაც ეს თემაა გაშუქებული, თითქმის მთლიანად მემორიალურ ნივთებს აქვს დათმობილი. აქ ერთმანეთს სცვლის ძვირფასი, ფაქიზად ნაკეთები და მოვლილი საგნები ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახიდან: სარკეები, მარმარილოს მაგიდა, ბზის მრგვალი საწერი მაგიდა, რომელზედაც აწყვია სამელნე, საფერფლე, საასანთე... დიდი, მრგვალი სადარბაზო მაგიდა, რომელსაც გარშემო თორმეტი რბილი სავარძელი აქვს შემოწყობილი.

კედელზე გამოფენილია პოეტისეული — მადონას პორტრეტი, შესრულებული ბოტიჩელის სკოლის რომელიღაც უცნობი მხატვრის მიერ. მის ქვემოთ დგას ნინოსა და ეკატერინეს ხელსაქმის ყუთი. ექსპონირებულია რობერტ სტურუას სურათი—„ნინო ჭავჭავაძე ტრაურში".

ვიტრინაში ვხედავთ ალ. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკიდან გადარჩენილ რამდენიმე წიგნს—1812 წლის ფრანგულ კალენდარს, მეორე კალენდარს ხავერდის ყდაში, სამედიცინო თხზულებებს, ფრანგულ წერილებს. აქ დგას პიანინო, რომელზედაც უკრავდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის მშვენიერი ასულები. აქვეა ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი (მხატვარი ს. ასლანოვი) და იტალიური პეიზაჟები პოეტის ოჯახიდან,—უცნობი მხატვრის ნატურმორტი, — ქართველი მამაკაცის პორტრეტი. ცენტრალურ კედელზეა გამოფენილი ალ. ვეფხვაძის, უჩა ჯაფარიძისა და რობერტ სტურუას დიდი მხატვრული ტილო—„ალ. პუშკინი ქართველ მოღვაწეებთან თბილისში". შემდეგ მოდის მემორიალური ნივთების ახალი კომპლექსი: ბუხრის შირმა, გოთური სტილის საათი, რომელიც პარიზიდან ჩამოუტანია პოეტს, ორი ლამპა, სურათების გამადიდებელი, და, ბოლოს, მეტად საინტერესო — „სიყვარულის სავარძელი", რომელიც წარმოადგენს ორი ზურგშექცეული სავარძლის შეერთებას.

ამ დარბაზში გამოფენილია ექსპოზიციის უკანასკნელი თემა—ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალების 100 წლისთავის საიუბილეო სალაძო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

აქ არის პორტრეტები პოეტი-აკადემიკოსების: გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, მწერალ გერონტი ქიქოძის, გაზეთებიდან ამონაჭერი საიუბილეო მასალები.

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიციის უმთავრესი ღირსებაა მემორიალური მასალის სიუხვე. ამ ნივთებს შევყავართ პოეტის ინტიმური ცხოვრების სამყაროში, გვაცნობს მის გემოვნებას, შეხედულებებს, ხასიათს, ესთეტიკურ მიდრეკილებებს. ისინი გვიჩვენებენ პოეტი-მხედრის მიერ განვლილ გმირულ საბრძოლო გზას პარიზიდან ბაიაზეთამდე. ნივთების ენა გამოფენაზე უშეცდომოდ აღგვიდგენს ეპოქის სულს.

მემორიალური კომპლექსები მდიდრადაა ნაჩვენები პირველ დარბაზშიც. აქ არის ალექსანდრე ჭავჭავაძის საომარი წარჩინების ნიშნები; წინანდლის სასახლის ჭურჭლეულობა, ვენეციური ლამბაქები, სასალათეები,—სადილის მაუწყებელი ბროლის ზარი; ალ. ჭავჭავაძის სამგზავრო ჯიბის სამელნე, საყალმე, ხის კულა, — მისი ქალიშვილების ტუალეტის მოწყობილობა, ჯაგრისების ჩასალაგებელი, დავით ჭავჭავაძის მეუღლის, ანა ორბელიანის მარაო, ჩანთა, სათამაშო კარტი და ა. შ.

სადავოდ მიგვაჩნია ექსპოზიციის საერთო სტრუქტურა, ცალკეული თემების დატვირთვის პროპორცია, შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობა, ძირითადი იდეის განვითარება, გაფორმება.

თუ ვესტიბულსა და პირველ დარბაზში ნაჩვენებია ალ. ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხოლო მეორე დარბაზი მემორიალურია, მაშინ გაუგებარია, რისთვის არის იქ თემები: ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალება, ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილე, ალ. პუშკინი ქართველ მოღვაწეებთან თბილისში და სხვ. ეს უთუოდ არღვევს დროის კოლორიტს, შეაქვს დისჰარმონია და საუკუნის წინანდელ საერთო ფონზე ანაქრონიზმად მოჩანს. მით უფრო, რომ ამ თემების პირველ დარბაზში ჩვენება სავსებით შესაძლებელია.

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ლიტერატურული პროფილის მუზეუმია; ჩვენი ეპოქა პატივს სცემს ალ. ჭავჭავაძეს, როგორც ნიჭიერ პოეტს, მწერალ-პატრიოტს, ქართული რომანტიზმის მამამთავარს, ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების გამგრძელებელს, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის წინამორბედს. ეს იდეა უნდა ედოს საფუძვლად მთელს ექსპოზიციას. იგი უნდა წარმართავდეს ყველა თემასა და კომპლექსს. ამჟამად ე ს მ თ ა ვ ა რ ი სრულებით არ ჩანს ექსპოზიციაში. რამდენიმე ფოტოპირი და ფოტოსურათი ა მ მ თ ა ვ ა რ ს ვერ წარმოგვიდგენს. იგი წითელი ზოლივით უნდა გასდევდეს გამოფენას. დამახასიათებელია, რომ ექსპოზიციაში ვერ ვხვდებით ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა ილუსტრაციებს.

წინანდლის სახლ-მუზეუმის ზოგიერთი უცხოელი დამთვალიერებელი სუსტად იცნობს ან სრულებით არ იცნობს ქართულ მწერლობას. ამიტომაც უფრო აუცილებელია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა გაშუქდეს წინა და მომდევნო ლიტერატურული მოვლენების ფონზე.

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გაფორმების დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მუზეუმი მემორიალურია და აქ ცხოვრობდა პოეტი-რომანტიკოსი, რომელიც მე-18 — მე-19 საუკუნის მიჯნაზე აღიზარდა. ეპოქის სტილი მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. ამჟამად გამოფენას აშკარად ემჩნევა ხელოვნური აპრელების ტენდენცია, მყვირალა ტონები, პლაკატურობა. უბრალოება და სიფაქიზე სამუზეუმო ექსპოზიციის ღირსებადაა აღიარებული. მისი მიღწევა შესაძლებელია არა ნაძალადევი გამომგონებლობით, არამედ სამუ-

ბეუმო ინვენტარის (ვიტრინები, ჩარჩოები, სადგომები და სხვა) მრავალფეროვნებითა და ნატიფი დამუშავებით, საგანგებოდ დამზადებული ფოტოსურათებით. მცირე მოცულობის ტექსტებით, რომლებიც შემკული იქნება ქართული ორნამენტებით—თავსართებითა და ბოლოსართებით, მაღალი პროფესიულობით აღბეჭდილი მხატვრული სურათებით. ყოველი სტენდი შინაარსით დატვირთული უნდა იყოს, ზედმეტი მასალისგან განტვირთული.

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ახალგაზრდა სამეცნიერო დაწესებულებაა და ნაკლოვანებანი ვერ დაჩრდილავს მის მიღწევებს. მომავალში იგი უფრო გამდიდრდება, გაფართოვდება და დამშვენდება. ცხადია, სტაციონარული ექსპოზიციაც შეიცვლება. გაღ - კეთდება და უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს დიდი ქართველი მწერლის — ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებელი საბჭოთა ხალხის წარმატებაზე.

წინანდალი მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან სიხარულით მოდიან აქ, რათა დატკბენ მომაჯადოებელი ბუნებით, ნახონ დიდი ქართველი მწერლის სახლი — დიდებით შემოსილი ლიტერატურული სალონი, ხალხთა შორის მეგობრობის კერა, — მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული მევენახეობის მეურნეობა, ღვინის მარანი, იშვიათი დეკორაციული პარკი. ყველა უსაზღვროდ კმაყოფილი, ნასიამოვნები და მადლიერი მიდის ამ წალკოტიდან.

განვლილი წლების მანძილზე ათეულ ათასობით კაცმა ინახულა მუზეუმი. მარტო 1957 — 1958 წლებში თხუთმეტი ათასი კაცი გაეცნო პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ სტენდებს. მათ შორის 700-დე ექსკურსია იყო. მუზეუმი შეტანილია საკავშირო ტურისტულ მარშრუტში და 1958 წელს დაათვალიერა ტურისტთა 60 ჯგუფმა.

1957—1958 წლებში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ექსპოზიციას გაეცნენ სტუმრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, ალბანეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, იუგოსლავიიდან; ირანიდან, ბრაზილიიდან, ნორვეგიიდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან და ა. შ.

საბჭოთა საქართველოს მიღწევებითა და მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურით აღფრთოვანებულ სტუმრებს ბევრი საინ-

ტერესო საჩუქარი დაუტოვებიათ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. ეს საჩუქრები გამოფენილია საგანგებო ვიტრინაში. აქ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისგან მოძღვნილი სამკერდე ნიშნები, ჟურნალები და წიგნები, ჩინური ჩაი ლითონის კოლოფში, ფაიფურის სამი გოჯი; რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის საჩუქარი—რუმინელი ქალის ნაციონალური ტანსაცმელი და ალბომი; — ვიმპელი, მანდილი და პირსახოცი — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატებისაგან; სურათების კომპლექტი — გერმანელებისაგან, — ალბანური ფოტოსურათი და ალბანური ყალიონი; ბრაზილიელებისაგან მოძღვნილი ერთი ბოთლი შაქრის ლერწმის არაყი; ინგლისელთაგან დატოვებული ქისა, ჩიბუხი და თაფლი; ავსტრალიელთა სამკერდე ნიშნები, დათვის ბელები და სურათები.

საინტერესოა მათი ჩანაწერებიც. ჩეხოსლოვაკი ამხანაგები ოლჟრინ შტაინერი, სტანისლავ ჰაში და ემილ პაზრილი წერენ: „უდიდესი ინტერესით დავათვალიერეთ ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, რომელმაც დაგვარწმუნა,რომ ქართველები დიდი კულტურის მქონე ხალხი იყო და არის. ვუსურვებთ ქართველ ხალხს ბრავალ წარმატებას. მადლობას ვუცხადებთ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც გაგვიწიეს ყველგან მზიურ საქართველოში.

გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობას, ჩეხოსლოვაკი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას!“.

„მე ყოველთვის მეხსომება ჩემი აქ ყოფნა — ამ მშვენიერ ადგილას და ის სტუმარ-მასპინძლობა, რომელიც აქ განვიცადე“.— წერს 1957 წლის 30 მარტს იუდიტ კიპლინგერი ამერიკიდან.

„ნახულით ძალიან კმაყოფილი დავრჩით, — აღნიშნავენ ნორვეგიის დელეგაციის წევრები, — განსაკუთრებით მოგვეწონა ის, რომ ქართველი ხალხი ასე სათუთად ინახავს თავისი გამოჩენილი შვილების სახელსა და ძველი კულტურის ძეგლებს“.

ძნელია უპირატესობა მივცეთ რომელიმე ჩანაწერს. ისინი აღსავსეა აღტაცებითა და მადლიერებით. საბჭოთა ადამიანები ღირსეულად ამაყობენ თავიანთი შესანიშნავი სამშობლოთი, მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მშრომელთა კულტურული მოთხოვნილებებისადმი უსაზღვრო ზრუნვისათვის.

მოსწავლეები, მუშები, კოლმეურნეები, ჯარისკაცები და ოფიცრები გულწრფელად გადმოგვცემენ თავიანთ აზრს სახლ-მუზეუმის მუშაობაზე, მის მიღწევასა და ნაკლზე.

„მშვენება და სიდიადე საქართველოსი, მისი ღირსეული ხალხისა მუდამ მოუხმობს გულს ამ მომხიბლავი ქვეყნისაკენ. ამ მუზეუმში ყველაფერი სიყვარულითაა შექმნილი და დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. მადლობა გულისხმიერ და სტუმართმოყვარე თანამშრომლებს“, — აღნიშნავს მოსკოველი სოლნცევა.

„სახლ-მუზეუმის დათვალიერებამ მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება. იგი ქართველი ხალხის დიდი კულტურის დადასტურებაა, რუს ხალხთან მისი ძველისძველი მეგობრობის ნიშანია“. — ასე გადმოგვცემს თავის აღფრთოვანებას პროფესორი სოჩენოვი.

პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს სახლ-მუზეუმის მუშაობის პერსპექტივებზე: „ვიყავით სტუმრად დიდებულ ალ. ჭავჭავაძის საბუდარში, ამჟამად სახლ-მუზეუმში.

ფუძე და მისი გარემო მთელი სამყაროა. ყოველ მცენარეში, ყოველ შემონახულ ნივთში თუ სურათში იგრძნობა მოსიყვარულე ხელი.

მუზეუმმა ფრიად კეთილი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. გამოვთქვამთ სურვილს უფრო გაფართოვდეს და გამდიდრდეს მუზეუმი ახალი მასალებით. საჭიროა აგრეთვე დაიდგას ალ. ჭავჭავაძის ძეგლი მისეულ ბაღში.

გულითადი მადლობა მუზეუმის თანამშრომლებს მუყაითი მომსახურეობისათვის“.

წინანდლელები დიდი ინტერესით სწავლობენ ძვირფასი თანამემამულის უკვდავ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. დღეს აქ არსებობს კულტურის სახლი, საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, საექიმო პუნქტი, საბავშვო ბაღი და ბაგა, მუდმივი კინო-თეატრი და სხვა დაწესებულებები. გამრჯე და ალალი წინანდლელები განუწყვეტლად ადიდებენ შრომის ბარაქას კოლმეურნეობაში, რომელიც ქართველი ერის დიდების — ილია ჭავჭავაძის ძვირფას სახელს ატარებს. დღეს ბევრია სოფელში ექიმი, აგრონომი, მასწავლებელი... მუზეუმის კედლებს აქაური მხატვრის ნიკ. ლუარსაბოვის ნამუშევრებიც ამშვენებს.

გულით შეჰხარით ამ ახალ, ბედნიერ ცხოვრებას და უნებურად თვალწინ წარმოგიდგებათ ერთი სურათი შავბნელი წარსულისა, რომელსაც დავით კლდიაშვილი აღწერს თავის მემუარებში... „წინანდალში მიამბეს ამას წინათ, დღევანდელ სახალხო მამულის ეზოში, შესასვლელი ჭიშკრის წინ კედელი იყო აშენებული. არა-

ფერს ეს კედელი არ იფარავდა, ვიკითხე, რა საჭირო იყო ასეთი უსარგებლო კედლის აშენება და მითხრეს, რომ როცა ალექსანდრე მესამე მოდიოდა, ამ ჭიშკრის პირდაპირ ერთი გლეხის ქოხი იდგა და სასახლის აივნიდან თვალში ეცემოდა აივანზედ მყოფსაც. გლეხს შეაძლიეს ფული და წინადადება მისცეს, რომ აყრილიყო და თავისი ქოხი იქაურობისათვის მოეშორებინა. მაგრამ გლეხი ვერას გზით ვერ დაეყოლებინათ; — აქ გავიზარდე, აქ უნდა მოვკვდეო, — ამბობდა გლეხი. ვერ აჰყარეს ვერც მუქარით და მამულის გამგემ ქოხს წინ კედელი აუშენა, რომ სასახლის ბალკონზედ მეფე-დედოფალს არ შესჩხირებოდა თვალში ჩაფეხვილი გლეხის ქოხი"...

ასე იყო ძველად... ახლა თვითონ ხალხია თავის ბატონ-პატრონი და წინანდალში ვეღარც „ჩაფეხვილ ქოხს" დაინახავთ სადმე. ცაში აწვდილ ათასწლოვან კავკასიონის მთებს არასოდეს უხილავთ ასეთი სიხარული და ნეტარება ალაზნის მომხიბლავ ნაპირებზე.

რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი ქისტაურში

„ჩვენს სახელოვანს მოხუც-პოეტს შესანიშნავი ადგილი უჭირავს ქართულ პოეზიაში. მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნობით. ის ღრმათ შეეხო ჩვენი მუშა ხალხის ცხოვრებას და არის მომღერალი მისი გულნადებისა... ჯერ ბატონყმობის გადავარდნის ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცთმოყვარე გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი.“.[1] — წერდა ილია ჭავჭავაძე.

ქართველმა ერმა რაფიელ ერისთავი სიცოცხლეშივე აღიარა სახალხო პოეტად და უკვდავების გვირგვინით შეამკო.

რაფიელ ერისთავის ნახევარსაუკუნოვანი სანწერლო მოღვაწეობის იუბილე 1895 წ. ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

უყვარს ხალხს რაფ. ერისთავის მშობლიური კერა, მისი თვალწარმტაცი ქისტაური.

ეს მდიდარი და ჰავამთელი სოფელი გაშლილია თელავ-ახმეტის გზატკეცილის ორივე მხარეზე, ქ. თელავიდან 20 კილომეტრის დაშორებით და ახმეტის რაიონს ეკუთვნის.

ქისტაური შეფენილია ცივ-გომბორის კალთებზე და მშვიდად გაჰყურებს მრისხანე კავკასიონს.

სოფლის ცენტრში, გზატკეცილის ნაპირზე, აღმართულია კოლონადა, რომლის ფირნიშზე წარწერილია: „რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი“. აქედან მუზეუმამდე 200-მდე მეტრია. მოასფალტებული გზის ბოლოს, ამწვანებულ ეზოში, გვეგებება მოლურჯოდ შეღებილი ერთსართულიანი შენობა. აქ ცხოვრობდა რაფიელ დავითის ძე ერისთავი. ამავე სახლში დაიბადა მისი და, მწერალი და მოღვაწე ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე.

ათეული წლების მანძილზე ეს ძველებური ქართული სახლი ლიტერატურის მოყვარულთა თავშესაყარ ადგილს წარმოადგენდა. მწერლობის მოტრფიალენი იყვნენ სხვა და-ძმებიც, რძალი ნინო ერისთავისა და თვითონ დავით ერისთავიც. ამ ლიტერატურულ სალონში ხშირად იკრიბებოდნენ მაყაშვილები ოქიოდან, ჩოლოყაშვილები ახმეტიდან, სულხანიშვილები, „ცისკრის“ რედაქტორი ივ. კერესელიძე და სხვ.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. III, 1953.

სახლი ორასი წლის წინათ უნდა იყოს აგებული. ქისტაურელი ფირუზა ივანეს ძე კიკოლოვი გადმოგვცემს: „როდესაც მე ბავშვი ვიყავი, რაფიელ ერისთავი თავის ძმასთან (სოსიკოსთან) ერთად იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც ახლა მუზეუმია. ჩემს ხსოვნაში მამისეული სახლი რაფიელმა სოსიკოს დაუთმო და თვითონ თავის წილხვდომილ მამულში, კიაზო ერისთავის სახლის ქვემოთ აიშენა საცხოვრებელი მარანი, რომლის სიგრძე იყო 21 არშინი, ხოლო სიგანე— 11 არშინი. მარანს ზემოდან დაშენებული ჰქონდა სამოთახიანი ფიცრული, შუაში დერეფნით“.

თიკო ჩალაფეიქრიშვილის ცნობითაც, რაფიელი ცხოვრობდა იმ შენობაში, სადაც მოთავსებულია მუზეუმი. „რაფიელის გარდაცვალების შემდეგ ამ სახლში სოსიკაანი (რაფიელის ძმისშვილები ა. კ.) ცხოვრობდნენ“, — განმარტავს სანდრო ფარემუზოვი.

გიო გზირიშვილი დასძენს, რომ რაფიელის მიერ გზის ქვემოთ აშენებული ფიცრული შემდეგში მის სიძეებს ეკუთვნოდათ. სახლი პატარა იყო და ახლა აღარ არსებობს.

კიდევ უფრო ნათელია ნინო ისმაილოვის მოგონება: „როცა გავთხოვდი, რაფიელი ცოცხალი იყო. ცხოვრობდა სოფლის ქვემოთ, სადაც ახლა კოლმეურნეობის ვენახებია, მის სახლ-კარს შეადგენდა დაბალი ქვიტკირის მარანი, ზემოდან ფიცრული ოთახებით.

რაფიელის მარანს ზემოთ იდგა კიაზო ანუ გიორგი ერისთავის სახლი, სადაც ამჟამად მოთავსებულია ქისტაურის საშუალო სკოლა“.

რაფიელის მშობლიურ სახლში, სადაც ახლა მუზეუმია, უკანასკნელად (1948 წლამდე) ჯაშიაშვილები ცხოვრობდნენ. ამ ოჯახის უხუცესი წევრი ნინო ჯაშიაშვილი გვიამბობს: „რაფიელის ნაბინავარი შენობა ჩვენ ვიყიდეთ რაფიელის ბიძაშვილის — მიხაკო ერისთავისაგან. სანამ რაფიელის ძმისშვილები — ნუგზარი და ნიკო ცოცხალი იყვნენ, რაფიელი მათთან ჩამოდიოდა ქისტაურში, შემდეგ ქვევით წავიდოდა, თავის ზვარსა და მარანს დაათვალიერებდა. ნუგზარი მუდამ დიდი სიხარულით ხვდებოდა ბიძას. აქედან საქეიფოდ მიდიოდნენ ყველაწმინდაში (ეკლესიაა ქისტაურის ზემოთ. ა. კ.). იმ დროს რაფიელი ღრმად მოხუცი იყო. მაღალი, შავგვრემანი, ცხვირკეხიანი კაცი, სულ მოკაუჭებული საბჯენი ჯოხით დადიოდა“...

ხალხის მეგობარ პოეტს გულითადი ურთიერთობა ჰქონდა თანასოფლელებთან. ქისტაურში ყოფნისას იგი მთელ თავისუფალ დროს გლეხებთან ატარებდა; ესაუბრებოდა მათ, სიხარულით ისმენდა

გლეხურ სიმღერებს, ზღაპრებს, ლექსებს; ხშირად მიმართავდა მათ რჩევისათვის. ბევრი ქრისტაურელი გლეხი რაფიელს თავის მეგობრად და ჭირისუფლად თვლიდა. მუზეუმის ფონდში დაცული მოგონებები გვიჩვენებს, რომ მადლმოსილი პოეტის სიტყვა და საქმე ერთი იყო. „ბერუას ჩივილისა“ და „სესიას ფიქრების“ ავტორი კარგად იცნობდა ქართველი გლეხის შრომას, ოჯახურ ცხოვრებასა და სულიერ სამყაროს. ამიტომაც ასეთი ბუნებრივი ენითა და გულთბილი გრძნობით გვიხატავს იმდროინდელი სოფლის დასამახსოვრებელ სურათებს.

მაკარა მაკაროვი იგონებს: „რაფიელს ხშირად ვხედავდით მინდორში. ყვავილებსა და ყოველგვარ მცენარეებს ჰკრეფდა. ზოგიერთი ბალახის სახელი რომ არ იცოდა, გლეხებს ჰკითხავდა. ისინიც დიდი სიხარულით აუხსნიდნენ ხოლმე ბალახის სახელს და იმასაც ეტყოდნენ, თუ საქონლისათვის რომელი უფრო სასარგებლო იყო.

ერთხელ ასეთ რამეს შევესწარი: იქ, სადაც შუა სოფელზე პატარა ხევი ჩამოდის, ჩავყევი. ლასტისათვის წკეპლა უნდა მოშეტანა. ხევის პირას ლაპარაკის ხმა მომესმა. მივუახლოვდი; ვნახე, რომ წყალთან რაფიელი იდგა და გლახო ჩალაფეიქრიშვილის პაპას ელაპარაკებოდა, რაფიელს ხელში ყვავილები ეპირა. გლეხი ერთ-ერთ ბალახზე ეუბნებოდა, ამას „ხვაკა“ ჰქვია და ძალიან კარგია ცხვარ-ძროხის საკვებადო.

— შენი ჭირიმე, ბატონო რაფიელ, ალბათ მცდით, თორემ ქვეყანაზე რა უნდა იყოს ისეთი, რომ არ იცოდეთ და ამ ბალახის სახელი როგორ არ გეცოდინებათ! ეს, ჩემო ბატონო, თივისთვისაც კარგია, ნედლიც კარგია საქონლისათვის და გამიგია, რომ წამლებისათვისაც ხმარობენო. ჰო, აკი მოგახსენეთ, ჩვენ, გლეხის ბიჭებს, საქონელი სულ ამნაირ ადგილებში დაგვყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ გლეხმა გრძლად გაბა ერთ ბალახზე საუბარი, რაფიელი არ აწყვეტინებდა, სიამოვნებით უსმენდა, მცინარი თვალებით შესცქეროდა ბეჯითად მოსაუბრე გლეხს, ვიდრე გლეხი თვითონ არ ჩამოსცილდა, მე ადგილიდან არ დავძრულვარ. ახლოს მისვლა მერიდებოდა და გაჩუმებული ვიყავი ჩემთვის. რაფიელმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა გულმოდგინე ლაპარაკი იციან ამ დალოცვილებმაო“.

რაფიელს გლეხებთან პურის ჭამაც უყვარდა, „რაფიელმა აიღო ჭიქა ხელში და პირველივე ჭიქით ასეთი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „გაუმარჯოს გლეხკაცის მარჯვენას, ცის ნამსა და დედამიწის მოსავალსაო“, — იგონებს ნინო ისმაილოვი.

რაფიელ ერისთავი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის გატაცებული შემკრები იყო. ამ საქმეშიც მას ქისტაურელი გლეხები შველოდნენ. ზემოხსენებული მაკარ მაკაროვი ამბობს: „ხშირად შევსწრებივარ, რომ რაფიელი დაჯდებოდა სოფლის ახალგაზრდებს შორის და ერთობოდა. კარგად მახსოვს ერთი შემთხვევა. სადაც ხოსიაანი ცხოვრობენ, ცაცხვებთან, თავი მოეყარათ სოფლის ჯეელ ბიჭებს, რაფიელი დამჯდარიყო მათ შორის და გახურებული შაირობა გაეჩაღებინათ. პირველად გლეხის ბიჭები ვერ ბედავდნენ უწმაწური შაირების თქმას, მაგრამ თავათ რაფიელი აქეზებდა მლაშე-მლაშე შაირებით. რომ წაქეზდებოდნენ, ეს გლეხის ბიჭებიც სულ ტყავს აძრობდნენ ჩვენს პოეტს აღვირახსნილ შაირებითა. იყო ერთი სიცილი და კიჟინი — თვით რაფიელი თვალებით იცინოდა, ხმამაღალი სიცილი არ იცოდა მან“.

პოეტს მშობლიურად უყვარდა გლეხის ბავშვები.

„...ქისტაურში ხშირად მოდიოდა ქალაქიდან, — აღნიშნავს თიკო ჩალაფეიქრიშვილი, — დაგვიძახებდა ბავშვებს და ლექსებს გვათქმევინებდა. ბევრმა ჩვენგანმა რაფიელის ლექსი ზეპირად ვიცოდით, ლექსებს რომ ვიტყოდით, რაფიელი ხმელ ხილსა და ხურდა ფულს გადმოგვიყრიდა. ქისტაურში მუდამ მოუთმენლად მოელოდნენ რაფიელის მოსვლას, რომ მისგან რჩევა-დარიგება და დახმარება მიეღოთ“.

„მე რაფიელთან მეზვრედ ვმუშაობდი, — ამბობს ასი წლის ფ. კიკოლოვი, — როდესაც თავისი ზვარი ჩამაბარა, მითხრა, კარგად მოუარე — ცოტა მე და ბევრი თქვენ. ბოლოს კი სულ თქვენ დაგრჩებათ... რაფიელი თავმდაბალი და გლეხების მოყვარული კაცი იყო... მისი მოსვლა მთელი ხალხის სიხარულს იწვევდა. ერთხელ ვენახში მუშები გვყავდა. რაფიელმა გვიბრძანა, ჩვენთვის და ოჯახისათვის ერთნაირი სადილი დაგვემზადებინა... სადილზე რაფიელი თამადად დადგა, ჩვენთან ერთად დალია, ისადილა და ილხინა... სწორედ ეს გლეხის კოერიანი ხელები გვაუმეტეს პურსაო, — უთხრა მეუღლეს“.

რაფიელი გაბედულად ექომაგებოდა გლეხებს, იფარავდა მათ თავნება და გაუტანელი მემამულეებისაგან. განსაკუთრებით დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონია ამ ნიადაგზე კიაზო ერისთავის შვილთან, იასონთან. თიკო ჩალაფეიქრიშვილს ასეთი შემთხვევა აგონდება: „ერთხელ იასონ ერისთავს ჩვენი სოფლის საქონელი დაეჭირა თავის ტყეში და დიდ გამოსასყიდს სთხოვდა გლეხებს. რაფიელმა თავისივე ხელითა გამოუშვა საქონელი და დაუბრუნა გლეხებს, რის გამოც იასონთან დიდი უკმაყოფილება მოუვიდა“.

სხვა დროს იასონ ერისთავს არ უნებებია ტყეში დაჭერილი საქონლის გლეხებისათვის დაბრუნება. მაშინ... „რაფიელმა თელავიდან ფოტოგრაფი ამოიყვანა და უთხრა იასონს, სურათებს გადაგიღებ და ქვეყანას მოვფენ გლეხებთან შენი ავკაცური დამოკიდებულების ამბავსო. იასონი შეშინდა და საქონელი გლეხებს დაუბრუნა“.

გიო გზირიშვილი რაფიელ ერისთავს უმადლის, რომ ფათერაკს გადაურჩა. „ერთხელ, — ამბობს ის, — იასონ ერისთავმა უღელი ხარი ძალით წამართვა და თავის გუთანში შემაბმევინა. წინააღმდეგობა რომ გავუწიე, კიდევაც მცემეს. ასე ამუშავეს ჩემი ხარები ერთ კვირას. ერთი ძველი ხმალი გვქონდა, შემოვირტყი წელზე და წავედი მინდორში, სადაც ჩემს ხარებს ამუშავებდნენ... საიდანღაც ცხენით მოვარდა იასონი და ხანჯალი იშიშვლა, დამკიოდა, ხმალი ჩააგეო... ამ დროს ჩემს ბედზე რაფიელი გამოჩნდა; როგორც მერე გავიგე, იქვე მინდვრად ყვავილები ეგროვებინა.

რაფიელი მივიდა იასონთან და იმდენი ელაპარაკა, რომ პირველად ჩააგებინა ხანჯალი და ჩემი ხარებიც დამიბრუნეს მისი წყალობით“.

ქისტაურში რაფიელ ერისთავთან სტუმრად მოდიოდნენ ქართველი მწერლები და მოღვაწეები. აქ ყოფილან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. ჩვენი ნაცნობი მაკარ მაკაროვი ამბობს: „ერთხელ რაფიელს ნასწავლი კაცები ესტუმრნენ, მათ შორის ქალბატონებიც იყვნენ... რაფიელის მოურავმა ქოჩიაშვილმა დამანახვა ერთი მათგანი, ვაჟა-ფშაველა ყოფილიყო. წვერულვაში გაპარსული არ ჰქონდა. მაღალი და მხრებგანიერი კაცი იყო, ტანზე უბრალოდ ეცვა. როგორც მერე რუთია ქოჩიაშვილმა გვითხრა, ვაჟა ცხენით მოსულიყო დუშეთიდან“.

რაფიელ ერისთავი გარდაიცვალა 1901 წლის 19 თებერვალს, თელავში, თავისი სიძის ვ. კახიძის ოჯახში. საზოგადოებას გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისში გადაესვენებინა მწერლის ცხედარი და სახალხო გლოვით დაესაფლავებინა მთაწმინდის პანთეონში; მაგრამ ნათესავებმა გამოაცხადეს, რომ პოეტის სურვილი იყო საუკუნო განსასვენებელი ჰქონოდა ქისტაურში, „სად მამა-პაპა ეგულვოდა, იმათი კუბოს ფიცარი“.

მთელ საქართველოსთან ერთად, მშობლიურმა კუთხემ დიდი სიყვარულით დაიტირა ღვაწლმოსილი მწერალი. თანამედროვეთა მოგონებით, მიცვალებული თელაველებმა ვარდისუბნამდე მიიტანეს; აქ ვარდისუბნის გლეხებმა აიტაცეს ხელში და რუისპირამდე

მიიტანეს. რუისპირის გლეხებმა იყალთომდე, იყალთოელებმა აწყურამდის. აწყურლებმა — ხოდაშნამდის, ხოდაშნელებმა — ახაშნამდის; აქ კი მთელს ქისტაურელებს მოეყარათ თავი; ჩაიბარეს თავიანთი გულის მესაიდუმლის ცხედარი და მიაბარეს მშობლიურ მიწას ყველაწმინდის სასაფლაოზე. „ერისთავიანთ საგვარეულო აკლდამამ მიიღო თავის წიაღში სახელოვანი პოეტის ცხედარი“.

გვირგვინთა წარწერებში ყურადღებას იპყრობდა ერთი: „ჩვენი ერის პირმშოს თავ. რაფიელ ერისთავს. — შენ ხარ მოძღვარი და მაგალითი შრომისა, ვეცდებით წმინდათ დავიცვათ შენი მოძღვრება და ვიხელმძღვანელოთ მაგალითით. — ქისტაურის საზოგადოებისაგან“.

სოფელი წმინდად ინახავდა სასიქადულო ქართველის ხსოვნას, მაგრამ თვითმპყრობელობისა და მენშევიკების დროს მისი სახელის უკვდავსაყოფად თავს არავინ იწუხებდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიექცა ღირსეული ყურადღება ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა ხსოვნას; დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის თხზულებები, საბჭოთა ახალგაზრდობა მხურვალედ დაეწაფა მის შემოქმედებას.

1938 წელს რაფიელ ერისთავის ნეშტი ქისტაურიდან თელავში გადაიტანეს. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი პლატონ კეშელავა გადმოგვცემს: „1938 წელს რაფ. ერისთავის ცხედარი დიდის ამბით გადაასვენეს ქისტაურიდან თელავში. მეც იქ ვიყავი — მონაწილე ამ დიდებული ამბისა, როდესაც თმახუჭუჭა ბიჭებისა და შავთვალა გოგონების ათასეულებმა ხელით მიასვენეს საყვარელი პოეტის ცხედარი ერეკლეს სასახლის გალავანში და რაკი დაკრძალვა გვიან ღამით მოხდა, ჩირაღდნებით განათებული ჩაასვენეს იგი სამუდამო აკლდამაში. მთელი ეს მრავალრიცხოვანი პროცესია ქისტაურიდან თელავამდე — იყო ნამდვილი საბუთი რაფ. ერისთავის უკვდავებისა“...

თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში, რაფიელ ერისთავის საფლავზე აღმართულია ძეგლი. აქვე დასაფლავებული არიან ბარბარე ჯორჯაძისა და პოეტი იოსებ დავითაშვილი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1948 წელს ქისტაურში დაარსდა რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი, მალე გათავისუფლდა პოეტის მშობლიური სახლის ნაწილი და დაიწყო მისი რემონტი, აგრეთვე ეზოს კეთილმოწყობა. რაფიელ ერისთავის ოჯახის წევრთა უანგარო დახმარებითა და საზოგადოების მხარდაჭერით მუზეუმი შეუდგა გამოფენის მომზადებას.

რემონტის შედეგად მუზეუმმა მიიღო სამი ოთახი, მათ შორის ორი საგამოფენო დარბაზი. ეზოში გაშენდა მარადმწვანე მცენარეები და ხეხილი. მუზეუმი სამანქანო გზით შეუერთდა თელავ-ახმეტის გზატკეცილს. 1950 წლის შემოდგომისათვის რაფიელ ერისთავის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიცია მზად იყო.

1950 წლის 26 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიცია. ახმეტის რაიონული გაზეთი „გამარჯვება" წერდა: „26 ნოემბერს სოფელ ქისტაურში, იმ სახლის ეზოში, სადაც სიყრმის წლები გაატარა რაფიელ ერისთავმა, შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, წითელწყაროს რაიონების მშრომელები, საქართველოს სსრ საბჭოთა მწერლების კავშირის, ხელოვნების, კულტურისა და მეცნიერების მუშაკთა წარმომადგენლები. პოეტის ასული ელენე ტუსიშვილისა, პოეტის სხვა ნათესავები"...

ამ ღირსსახსოვარ დღეებში პოეტის მრავალმა თანამემამულემ მგრძნობიარე ლექსით გამოხატა რაფ. ერისთავისადმი სიყვარული, სოციალისტური სოფლის მიღწევებით გამოწვეული აღფრთოვანება, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო მადლიერება.

სახალხო მთქმელი, ზემოხოდაშნელი კოლმეურნე სიკო ჩანგაშვილი აღტაცებით ამბობდა საზეიმო მიტინგის ტრიბუნიდან:

...მხურვალედ მოგესალმები
გმირული შრომის სოფელო,
ოსანას გმირად გამზრდელო,
დიდ რაფიელის მშობელო.
მრავალი საუკუნის წინ
მტრისა და მოყვრის მცნობელო,
ყმა გლეხთა გულის მსაჯულო,
ბატონის დამამხობელო.
...ჭარბ და ნოყიერ რძით სავსე
შენს გულ-მკერდს ვენაცვალები,
რომ ოსანათი შესცვალე
დიდ რაფიელის თინია,
შენგნით გაზრდილი შენთვისვე
თავდადებული შვილია.

რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის გახსნაში ხალხი სამართლიანად ხედავს საბჭოთა სამშობლოს გამარჯვებათა გამოხატულებას:

„...ჩვენ ყველას გვიყვარს სამშობლო,
ვმღერით საამო ხმაზედა:
სამშობლო, დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო,
მირჩევნის ორთავ თეალზედა“.

ს. გონჯილაშვილის ამ მხურვალე სიტყვებს ხმას უერთებს VII კლასის მოსწავლე ლამარა ამირგულოვა:

„როგორც მოვედით, მაშინვე
დავმღერეთ ტკბილსა ხმაზედა:
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

უყვარს ხალხს მომხიბლავი ქისტაური, რაფიელ ერისთავი, მისი სახლ-მუზეუმი და მიხ. სესიაშვილიც ლაღად უმღერის მათ:

სადაც სიყრმითვე ჩვეულხარ,
ეს ის კერაა, ის არი.
გულში ამ მიწას ჩაჰკვრია
წინაპართ კუბოს ფიცარი.
აქ გაიცანი პირველად
გლეხი თანდილა, სესია,
იმათი დარდით ნატკენ გულს
აქ ბევრჯერ დაუკვნესია.
...ყამთა სვლა ვეღარ წაგაქცევს,
სამტროდ ვერ დაგეჭიდება;
შენს კალამს ძეგლი ავუგეთ,
შენს სახელს ხსოვნა, დიდება!

სტაციონარული ექსპოზიციის გახსნის შემდეგ სახლ-მუზეუმმა უფრო ფართოდ გაშალა შეგროვებითი, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

რაფიელ ერისთავის ხელნაწერები, მემორიალური ნივთები, ფოტოსურათები, წიგნები და წერილები დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწი-

ფო მუზეუმში, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და სხვა სიძველეთსაცავებში. სახლ-მუზეუმისათვის ადვილი რადი იყო მასალების გამოვლენა და შეძენა. მაგრამ, უამისოდ მუზეუმი ვერ იარსებებდა, ვერ შესძლებდა გამოფენის მოწყობას, სამეცნიერო-კვლევითსა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

ქისტაურის სახლ-მუზეუმის ფონდი ძირითადად იმ მასალით უნდა შევსებულიყო, რომელიც კერძო ოჯახებში ინახებოდა. ამ მიზნით აუცილებელი იყო რაფ. ერისთავის ნათესავთა მისამართების გაგება და მათთან დაკავშირება. მუზეუმში ნახავთ პოეტის შვილების, შვილიშვილების, შვილიშვილიშვილებისა და სხვა ნათესავების ვრცელ სიას. მუზეუმის თანამშრომლები ხშირად მიმართავენ მათ რჩევა-დარიგებისათვის, უჩვენებენ შესაძენად შემოსულ ნივთებს, აგროვებენ ცნობებს მწერლის პირად არქივსა თუ ბიბლიოთეკაზე.

უნდა ითქვას, რომ ფონდის დიდ ნაწილს სწორედ რაფ. ერისთავის ოჯახის წევრთა შემოწირულობანი შეადგენს. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია რაფიელის ავტოგრაფი — „სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის მასალები", რომელიც მუზეუმს გადასცა მწერლის ასულმა ანასტასია კახიძემ. მეორე ქალიშვილმა, ელენე ტუსიშვილმა მუზეუმს მიუძღვნა მამისეული წიგნი — 1847 წელს გამოცემული ი. კრილოვის თხზულებათა სრული კრებული. რაფ. ერისთავის შვილიშვილის—ალ. მაყაშვილის დახატულია სურათი—„სახლი თელავში, სადაც გარდაიცვალა რაფ. ერისთავი;" რაფო ალექსანდრეს ძე მაყაშვილის შესრულებულია აკვარელი—„რაფ. ერისთავის საფლავი ქისტაურში". ასეთივე დახმარებას უწევენ მუზეუმს პოეტის სხვა შთამომავალნიც — ანა და ეკატერინე ტუსიშვილები, მაია და გიორგი ყიფიანები, რ. მაყაშვილი, სონა, მანია, ინგა ერისთავები, ნიკოლოზ და ეკატერინე ხიმშიაშვილები და სხვ.

ამასთანავე, მუზეუმი ექსპონატებს ეძებს რაფიელ ერისთავის თანასოფლელთა, მეზობელთა და ნაცნობ-მეგობართა ოჯახებშიც. უფრო მეტიც, მოსალოდნელია, რომ მწერლის ნივთები, ხელნაწერები და მემორიალური საგნები სხვაგანაც აღმოჩნდეს. ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე პოეტს ცხოვრება უხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქუთაისში, სამეგრელოში, გურიაში, თბილისში, ფშავ-ხევსურეთში, თელავში), ამიტომ სამუზეუმო მასალის შეგროვება მრავალი წლის გეგმიან, გულმოდგინე მუშაობას მოითხოვს.

ეს მუშაობა სახლ-მუზეუმს წარმატებით წამოუწყია. რაფიელის ოჯახისეული ზოგიერთი ნივთი შეძენილია ქისტაურელი მაკაროვისაგან; მემორიალური საგნების მდიდარი კოლექცია მიღებულია ივ. პაატაშვილისაგან და ა. შ.

მუზეუმის თანამშრომლები სანიმუშოდ იცავენ ექსპონატთა შეძენის წესს. ისინი გულმოდგინედ სწავლობენ მასალას, ამომწურავ ცნობებს აგროვებენ წარმოდგენილ ნივთებზე, კონსულტაციისათვის მიმართავენ პოეტის თანამედროვეებსა და სპეციალისტებს, მასალის მომტანისაგან იწერენ დაწვრილებითს ლეგენდას.

რაფიელ ერისთავისეული ნივთების საყურადღებო კოლექციას შესთავაზა სახლ-მუზეუმს მხცოვანმა მოღვაწემ ივ. პაატაშვილმა. მუზეუმის თხოვნით წარმოდგენილ ნივთებს მან შემდეგი განმარტება დაურთო: „ჩვენი სასიქადულო პოეტი რაფიელ ერისთავი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თელავში ცხოვრობდა თავის სიძესთან, ვასილ ბესარიონის ძე კახიძესთან.

კახიძე თავდაპირველად ცხოვრობდა ნადიკვარზე, ტიტიკო ვახვახიშვილის სახლში. მაშინ მგოსანი არ იყო თელავში გადმოსახლებული. შემდეგ ისინი ზაალ მაჭავარიანის სახლში გადავიდნენ (ამჟამად მახარაძის ქ. №2). უკვე ღრმად მოხუცებული პოეტი ამ წლებში გადმოსახლდა თელავში და ამ სახლში ცხოვრობდა, ჩვენს მეზობლად. მაჭავარიანთ სახლიდან გადავიდნენ ბ. ჩიკვაიძის სახლში (ამჟამად ორჯონიკიძის ქ. №8), სადაც გარდაიცვალა.

1898 წლიდან მე ვიყავი ვალერიან გუნიას გაზეთის — „ცნობის ფურცლის“ საკუთარი კორესპონდენტი თელავში და კახეთში. დაწაფებული ვიყავი ქართულ ლიტერატურას და როგორც მისი ნიჭის პატივისმცემელი დავუახლოვდი რაფიელს და ხშირად დავდიოდი მასთან. ვუკითხავდი ჩემს პატარ-პატარა მოთხრობებს. ეს ძალიან სიამოვნებდა.

მართალია, ჩემი კორესპონდენციები წაკითხული ჰქონდა, მაგრამ ხელმეორედ წამაკითხებდა ხოლმე. ალბათ, უნდოდა ესიამოვნებინა ჩემთვის. 1898—1899 წლებში ძალიან მოხუცდა და ძლივს დადიოდა ტაატით. ხანდახან, როგორც იყო, ჩამობრძანდებოდა შუადღისას ბულვარში, მაგრამ ფეხით ვეღარ ბრუნდებოდა და ეტლით წავიყვანდით ხოლმე, ეტლშიაც თვითონ ვერ ადიოდა და ჩვენ ავიყვანდით და სახლამდე მივიყვანდით ხოლმე.

როგორც აღვნიშნეთ, მე ძლიერ დავუახლოვდი მწერალს და ისიც სხვადასხვა დროს პატარ-პატარა ნივთებს მიფეშქაშებდა ხოლ-

მე, ჩემს სახსოვრად შეინახეო. მართლაც ვინახავდი და თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი.

ხელის ჯოხი მისმა ძმისწულმა ნუგზარმა მიუძღვნა, იმ ქუჩაზე ყინული იცოდა და — დაიბჯინეთო. სხვათა შორის, ეს ნუგზარი ძალიან უყვარდა, მაგრამ იგი ქისტაურში ცხოვრობდა და ხშირად ვერ ჩამოდიოდა, რაც მე შემომჩივლა: ნუგზარმა კარგი ჯოხი მაჩუქა, მაგრამ მასავით მოკლეა და ვერ ვხმარობო. მაშინვე წავიღე ხელოსან გ. კეკელაშვილთან და დავაგრძელებინე; ახლაც ეტყობა ჩამატებული რკინა: კეკელაშვილმა, რომელიც ახლაც ცოცხალია, ჯოხის გაკეთებაში ფული არ გამომართვა. ეს ვუთხარი პოეტს და ძალიან ესიამოვნა, ჩემს მაგიერ მადლობა გადაეციო. როცა ამ ჯოხს ვეღარ ხმარობდა, მე მისახსოვრა. — მინდა, რომ შენა გქონდესო. მეც უარი ვეღარ მოვახსენე და დიდი მადლობით წამოვიღე.

ხანდახან სადილად დამტოვებდა, არ გამომიშვებდა ხოლმე, თუმცა მეხათრებოდა და ძალიან ვუარობდი. ყოველთვის წყვილი თეფში იდგა მაგიდაზე. თეფშებზე ვორონცოვის სურათი იყო დახატული. მე ძალიან მომწონდა ისინი და რაფიელსაც ვუთხარი. მაშ, რადგანაც ასე მოგწონს, მიფეშქაშებიაო. კვლავ უარზე დავდექი, მაგრამ მარწმუნებდა, ასეთი თეფშები ბევრი მაქვსო და მეც მივიღე ძვირფასი საჩუქარი.

საწოლის თავთით რაფიელს ედგა პატარა მაგიდა; ზედ წიგნები და „ივერიის“ ნომრები ეწყო, უბრალო თითბრის შანდალი იდგა, ხოლო დიდ მაგიდაზე მოჩანდა პატარა სპილენძის თეფში, ქარვის კრიალოსანი. თვითონ არ ხმარობდა, უფრო სტუმრები ერთობოდნენ.

1898 თუ 1899 წელს ახალი წელი მივულოცე და მივართვი ერთი სინი გოზინაყი, სპარსული ალვის ჩირი, ოციოდე ჩურჩხელა და ერთი გირვანქა ნუღლი. ყველაფერი ეს მას არ ესაჭიროებოდა, არაფერი აკლდა, მაგრამ მაინც ძალიან გაუხარდა. გოზინაყის კბილები სადა მაქვს, მაგრამ ეს გოგოებს (შვილიშვილებს) გაუხარდებათო. მერე მითხრა: ხომ იცი ჩვენი ჩვეულება, მოდი, ნუ დავარღვევთ. თორემ მეწყინება და დამეკვეებაო. მე მოვახსენე: თავადო რაფიელ! რასა ბრძანებთ, თქვენს წყენას როგორ გავბედავ-მეთქი.

— მაშ, კარგი! — მითხრა. ხომ იცი, მეზღვნეს გასტუმრება უნდა, აბა. ასე საჩქაროდ ხალათს სად გიყიდი და აი, ეს უმნიშვნელო საგნები წაიღე, მე აღარ ვხმარობ და შანდალი, თეფში და კრიალოსანი ჩემს სახსოვრად შეინახეო. ვეღარაფერი მოვახერხე და იძულებული გავხდი მიმეღო თავისთავად უმნიშვნელო, მაგრამ ჩემთვის მეტად ძვირფასი საჩუქარი.

პოეტი ცხოვრობდა ცალკე ფართო ოთახში. საწოლთან გაკრული ჰქონდა ხალი, რომელიც ძალიან მოსწონდა... დაბლა იატაკზე გაშლილი იყო ფარდაგი, ზედ გასაშლელი მაგიდა იდგა, შუაში ჩამოკიდებული იყო ასაწევ-დასაწევი დიდი ლამპა. საწოლის პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებული დიდი ხალი ტახტზე იყო გადმოფენილი. კუთხეში იდგა სკივრი, რომელშიც საცვლებსა და ტანისამოსს ინახავდა. ცალ მხარეს იდგა გადაჭედილი პატარა ზანდუკი, რომელიც ზარის ხმით იკეტებოდა და იღებოდა. რაფიელს ოჯახში ჰქონდა ორი სამოვარი, ერთი თეთრი ნიკელისა, რომელიც სასადილო ოთახში პატარა მაგიდაზე იდგა და მეორე ძველი, თითბრისა, რომელსაც მუდამ სწმენდნენ, აელვარებდნენ და რაფიელი თავის „მეგობარს“ ეძახდა. „სადაც წავიდოდი, თან დავათრევდი, ჩემთან ერთად მთელი საქართველო აქვს შემოვლილიო“,—ამბობდა.

თანამედროვის ეს დაწვრილებითი ცნობები მკაფიო წარმოდგენას იძლევა არა მარტო შესაძენ ნივთებზე, არამედ მწერლის გემოვნებაზე, ხასიათზე, ბინის მოწყობილობაზე, ცხოვრების პირობებზე. ასეთ მასალებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მემორიალური მუზეუმის მუშაობაში. არ კმარა პოეტისეული ნივთების შეძენა, უნდა ვიცოდეთ კიდეც ამ ნივთების თავგადასავალი, ვიცოდეთ, რა როლს ასრულებდა ისინი მწერლის ცხოვრებაში. ზოგჯერ, არ იციან სად გამოიყენონ და როგორ წარმოადგინონ ესა თუ ის მემორიალური ნივთი. შეძენის პროცესში სამუზეუმო ნივთის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

საგულისხმოა, რომ რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები მაინც არ დაკმაყოფილებულან ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი, ერთი შეხედვით, ამომწურავი აღწერილობით და იმავე საკითხის გასარკვევად დანარჩენი საიმედო წყაროებისათვისაც მიუმართავთ. სხვა საბუთთა შორის ყურადღებას იქცევს რაფიელ ერისთავის მცნობთა — მწერლების იოსებ იმედაშვილისა და სიკო ფაშალიშვილის წერილი, რომლითაც ისინი ადასტურებენ, რომ ზოგიერთი რაფიელისეული ნივთი ივ. პაატაშვილმა შეიძინა პოეტის სიძისაგან, ხოლო ზოგიერთი თვით პოეტისაგან ჰქონდა ნაჩუქარი.

შემოთავაზებული მასალის მემორიალურობის დადგენა არც ამით დამთავრებულა. მუზეუმის თანამშრომლებმა რაფ. ერისთავის სხვა თანამედროვეებსაც მიმართეს—გამოეთქვათ აზრი აღნიშნულ ნივთებზე. აღსანიშნავია, რომ თვითეული მათგანის ბარათი შეიცავს რაიმე ახალს, როგორც ამ საგნების შესახებ, ისე საერთოდ, რაფიელ ერისთავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ათი წლის მანძილზე რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმმა შექმნა მცირე, მაგრამ საინტერესო ფონდი, რომელშიც არის მემორიალური ნივთები, ფოტოსურათები, წიგნები და ხელნაწერები.

ფოტოფონდში უნიკალურ ეგზემპლარებსაც ვხვდებით. ყურადღების ღირსია: ჟინოფირი — საზეიმო მიტინგი რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმში 1950 წლის 26 ნოემბერს; რაფიელ ერისთავის დასაფლავება — სამგლოვიარო პროცესია სოფ. იყალთოში (დედანი); რაფ. ერისთავის ქისტაურელი ნაცნობ-მეგობრები, პოეტის ქალიშვილები (ფეოდოსია, ანასტასია, ნინო, ელენე), სიძეები, შვილიშვილები და სხვა ნათესავები; რაფ. ერისთავის ნეშტის გადასვენება ქისტაურიდან თელავში (კოლექცია), რაფიელის სახლი რეკონსტრუქციამდე, ქისტაურისა და მისი შემოგარენის სიძველეთა ძეგლები; თანამედროვე ქისტაურის ხედები, მოწინავე ქისტაურელი მშრომელები და ა. შ. გარდა პოზიტივებისა, მუზეუმს 400-ზე მეტი ნეგატივი აქვს.

* * *

მეცნიერული კვლევის ძირითად მიზანს შეადგენს სტაციონარული ექსპოზიციის გამდიდრება, ფონდში დაცული მასალის შესწავლა და საგანმანათლებლო მუშაობის გაფართოება. ამ ამოცანების შესაბამისად, რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოეტის ბიოგრაფიის იმ მომენტებს, რომლებიც დაკავშირებულია ქისტაურთან. მეცნიერულ ლიტერატურაში ეს დეტალები ნაკლებადაა გაშუქებული და ამიტომ მათი გარკვევის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს მოგონებები, გადმოცემები, ადგილობრივ შემონახული დოკუმენტები და ფოტოსურათები.

დღემდე დამუშავებული თემებიდან ინტერესს იწვევს ვალ. ლეფსვერიძის — „რაფიელ ერისთავი ქისტაურელ გლეხებთან", მისივე ნარკვევი — „რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი ქისტაურში", ვანო პაატაშვილის — „რაფ. ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა თელავში", „აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავის საფლავზე 1911 წელს".

აღნიშნულ ნაშრომებში ბევრ საყურადღებო დეტალს ვხვდებით, მაგრამ მათ აკლია მეცნიერული სიღრმე, დამუშავება, ლიტერატურული დახვეწა. ეტყობა, ავტორებს ბოლომდე ვერ მიუყვანიათ საქმე, ნედლი მასალით დაკმაყოფილებულან და ვერ მოუხერხებიათ ცალკეული ფაქტების განზოგადება, დასკვნების გამოტანა. ივ. პაატაშვილის მოგონებები ძირათადად ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობა, რაც ნაკლად უნდა მივიჩნიოთ.

უფრო საყურადღებოა ქისტაურელ გლეხთა მოგონებები რაფიელ ერისთავზე. პოეტის მეზობლები და ნაცნობ-მეგობრები წარსულის მეტად საგულისხმო მომენტებს აღადგენენ; ნათლად წარმოგვისახავენ მწერლის ინტიმურ ცხოვრებას, მის ურთიერთობას ხალხთან; საშუალებას გვაძლევენ შეუცდომლად მოვაწყოთ მემორიალური კარ-მიდამო, სწორად აღვადგინოთ პოეტის მშობლიური სახლის ინტერიერი და ექსტერიერი. ეს ცნობები უნიკალურია. სახლ-მუზეუმი ჯერჯერობით ქისტაურელთა მოგონებებით დაკმაყოფილებულა. მაგრამ, რაფიელ ერისთავს სხვაგანაც ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა; მათი გამოძებნა და მოგონებების ჩაწერა ფრიად სასარგებლო იქნება.

მუზეუმის თანამშრომლებს უცდიათ მოგონებებით მოპოვებული მასალის გამოყენება. მის საფუძველზეა, მაგალითად, შედგენილი რაფიელ ერისთავის გენეალოგია, რომელიც მრავალ ახალ ცნობას გვაწვდის პოეტის ბიოგრაფიიდან. მოგონებებით სარგებლობენ აგრეთვე მემორიალური ნივთების დადგენისას. აქ შეუძლიათ აუხსნან დამთვალიერებელს გამოფენილი საგნის თავგადასავალი: ექსპონირებული ფარდაგი თურმე მოუქსოვია რაფიელ ერისთავის ძმის ხოსიკოს მეუღლეს — ელენეს (ალექსანდრე ყაზბეგის და) და მაზლისთვის მიურთმევია საჩუქრად და ა. შ.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მონაცემები საფუძვლად დაედება მუზეუმის თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმას. თავისთავად ცხადია, ამ გეგმებს ვერც ერთი მოწვეული სპეციალისტი ვერ შეადგენს ისე კარგად, როგორც თვითონ რაფიელ ერისთავის მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტივი. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მუზეუმის კონკრეტული მონაცემების საფუძველზე შედგენილი გეგმა გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება; მაშინ იგი უფრო კარგად ასახავს მუზეუმის ფონდს, გაარკვევს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო დეტალებს. ასეთი გეგმით მოწყობილი გამოფენა უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს პოეტის მშობლიურ კუთხეზე, მის ოჯახურ გარემოსა და ინტიმურ ცხოვრებაზე. ცუდია, როცა მემორიალური მუზეუმის ექსპოზიციაში მხოლოდ ზოგადი საკითხებია გაშუქებული. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჩვენი სახლ-მუზეუმის გამოფენები ფაქტიურად ერთნაირია, არა აქვთ თვითმყოფი ხასიათი. რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმს შეუძლია დამოუკიდებლად შეადგინოს თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმა და

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც ამ მიმართულებით წარმართოს, ეს უკვე თავისთავად გულისხმობს ფონდის შესწავლას, მეცნიერულ პასპორტიზაციასა და ცალკეული თემების დამუშავებას.

რაფიელ ერისთავის ცხოვრების, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მხატვრული შემოქმედების ამსახველ ექსპოზიციას უკავია ბწერლის მშობლიური სახლის ორი დარბაზი. ფოტოსურათები, მხატვრული ნამუშევრები, მემორიალური ნივთები და კალიგრაფიულად შესრულებული ტექსტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვაცნობს პოეტის ცხოვრებას.

ექსპონირებული კომპლექსები გვიჩვენებს, რომ რაფიელ ერისთავი დაიბადა 1824 წ. სოფ. ჭალაში (ამჟამად კასპის რაიონი), დედის—ნინო ავთანდილის ასულ ამილახვრის ოჯახში. წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. 1834 წელს ათი წლის რაფიელი მშობლებმა თელავის სამაზრო სასწავლებელში მიაბარეს. შემდეგ, რამდენიმე წელს, შუამთის მონასტერში სწავლობდა. აქედან გორში გადაიყვანა მამამ. 1839—1845 წლებში მომავალი პოეტი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ რაფიელ ერისთავი მსახურობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში, შემდეგ — კავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს კანცელარიაში. რამდენიმე წელს ზუგდიდში იყო მაზრის უფროსად.

1863 წელს პოეტმა ცოლად შეირთო თეოდოსია ერისთავი და კარგა ხანს ქუთაისში მსახურობდა განსაკუთრებულ დავალებათა უფროს მოხელედ.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია რაფიელ ერისთავის ლექსების —„ბერუას ჩივილი“, „თინიას მამითადი“, „სესიას ფიქრები“, „თანდილას დარდი“ — ილუსტრაციები (მხატვარი რაფიელ მაყაშვილი). აგრეთვე იმ ჟურნალ-გაზეთების სატიტულო ფურცლების მონტაჟი, რომლებშიც თანამშრომლობდა რაფ. ერისთავი.

რაფ. ერისთავის პირველი ლექსი — „ყვავილს“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, 1852 წელს. 50-ან წლებში პოეტის შემოქმედებაში გაბატონებული იყო რომანტიზმის მოტივები. იგი უმთავრესად უმღეროდა სიყვარულსა და ლხინს. 60-ანი წლების დასაწყისში რაფ. ერისთავის შემოქმედებაში მკაფიოდ ისახება სოციალური თე-

მატიკა. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლექსი — „მთხოვნელა მსაჯულისადმი“ (1857 წ.), რომელშიც დაგმობილია ბატონყმობა.

რაფ. ერისთავის შემოქმედების ოქროს ხანა იყო 80-ანი წლები. ამ დროს მისი პოეზიის ძირითადი თემა გახდა ბატონყმური ურთიერთობიდან გამოსულ გლეხთა დუხჭირი მდგომარეობა.

ამასთანავე, პოეტი მგზნებარედ უმღეროდა საქართველოს. მის თხზულებებში ჩაღვენთილია სამშობლოს ნაზი სიყვარული. პატრიოტულია „ასპინძის ომი“, „თამარიანი“, „ნეტა რას ტირი, დედილო“, „სამშობლო ხევსურისა“, რომლის ილუსტრაცია გამოფენილია პირველ დარბაზში. აქვე მოთავსებულია ამ ლექსის ტექსტი.

გამოფენა დამთვალიერებელს აცნობს რაფიელ ერისთავს როგორც დრამატურგს, საბავშვო მწერალს, იგავ-არაკების მთხზველს. ი. ჭავჭავაძესთან ერთად მან გამოსცა „გლეხური სიმღერები“, 1881 წელს თავისი შესავალი წერილითა და რედაქციით დაბეჭდა სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონი.

ექსპოზიცია მთავრდება რაფ. ერისთავის გარდაცვალებისა და დასაფლავების ამსახველი კომპლექსით. შემდეგ ნაჩვენებია პოეტის მშობლიური სოფლის—ქისტაურის სამეურნეო და კულტურული აყვავება საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ექსპოზიციის დიდ ღირსებას შეადგენს პოეტისეული ნივთების სიმრავლე. ვიტრინებში განლაგებულია რაფიელის საწერი მოწყობილობა, საოჯახო-საყოფაცხოვრებო საგნები, სუვენირები; სწორედ ეს სტოვებს დამთვალიერებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას და ნათლად გვიჩვენებს, რა განუზომელი როლი ენიჭება მუზეუმის გამოფენაზე ნივთიერ მასალას, კერძოდ, მემორიალურ ექსპონატებს.

შთაბეჭდილებათა წიგნში არა ერთ აღფრთოვანებულ ჩანაწერს ნახავთ. აღფრთოვანებას იწვევს პოეტის მშობლიური სოფლისა და სახლის, მისი ნაქონი ნივთების დათვალიერება.

ლექტორი ვ. ნადარეიშვილი აღნიშნავს: „ბედნიერი შემთხვევა მომეცა მენახა ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერლის — რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი. პირველი ლექსი, რომელიც ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარმა სმენით შევისწავლე, იყო რაფიელის „სამშობლო ხევსურისა“. მას შემდეგ განვლო ხუთზე მეტმა ათეულმა წელმა, მაგრამ ასე ღრმად გულში ჩამწვდომი ჯერ არა წამიკითხავს რა. და, ალბათ ამაზე უსაყვარლესს ვერც ვიპოვი. განა შეიძლება გამოვნახო სიტყვები იმ გრძნობებისა და მოზღვავებული შთაბეჭდილების გამოსახატავად, რასაც ამჟამად განვიცდი—ამ უკვდავი ადამიანის სამშობლოში ყოფნით?“

მაგრამ, მართალი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დამთვალიერებლები მხოლოდ დითირამბებს უძღვნიან რაფიელ ერისთავის მუზეუმსა და მის ექსპოზიციას. საბჭოთა დამთვალიერებელი ცნობილია მაღალი კულტურითა და მკაცრი მომთხოვნელობით. ისინი კარგად ამჩნევენ ნაკლს, მოურიდებლად აღნიშნავენ ამას და პრაქტიკულ წინადადებებსაც აყენებენ.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ვაშაყმაძე აღნიშნავს: „მოვლა-პატრონობა ესაჭიროება რაფ. ერისთავის ყოფილ საფლავს (ერისთავების საგვარეულო ყველაწმინდას ეკლესია, ქართული კულტურის უძველესი ნაშთი), ჩაწერილი და შესწავლილი უნდა იქნეს მოგონებები რაფ. ერისთავზე. წესრიგში მოსაყვანია მუზეუმის არქივი“.

მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. არ არის დაცული დროის კოლორიტი. ექსპოზიციის ძირითადი იდეა არ ვითარდება თანმიმდევრულად. მხატვრული სურათები შესრულებულია უხარისხოდ. საექსპოზიციო ინვენტარი მდარე ღირსებისაა; არაა მონახული შესაფერი ტონები, გამოყენებულია მკვეთრი ფერები; ქსოვილით კედლის შებურვა გაუმართლებელია, როგორც ესთეტიკურად, ისე პრაქტიკულად. ქსოვილი უკვე გაჭუჭყიანებულა და მისი დეზინფექცია-დეზინსექცია მოუხერხებელია. განსაკუთრებით არა სასიამოვნოა ქსოვილის დანაოჭება. ასეთი არტისტიზმი ისტორიული ტიპის მუზეუმში, ისიც პოეტის მემორიალურ მუზეუმში, მიუღებელია; ვრცელი ტექსტები გაშლილია მთელ სტენდზე და გაფორმებულია პლაკატურად. ხელოვნურობისაკენ სწრაფვა ისე შესამჩნევია, რომ მემორიალურ ნივთებსაც კი დაუკარგავთ მნიშვნელობა. ერთი მაგალითი: რაფ. ერისთავის საწერ მაგიდას, რომელიც ქართველ ხელოსნებს მიურთმევიათ იუბილეზე, კნოპებით დამაგრებული იაფფასიანი ვარდისფერი ქსოვილი აქვს გადაკრული და ზედ ახალი წიგნები აწყვია. ასე რომ, დამთვალიერებელი ვერაფრით ვერ მოისაზრებს, რომ ეს ძვირფასი მემორიალური ნივთია და არა სახელდახელო ფიცრის თარო. ვიტრინაში გამოფენილია რვეულის ყდა, რომელსაც აწერია: „ზ. ნემსაძის ორი ლექსი“ და ა. შ. გაურკვეველია ვინ არის ზ. ნემსაძე და რა კავშირი აქვს ამ რვეულის ყდას რაფ. ერისთავთან. გულმოდგინე მუშაობით სახლ-მუზეუმის კოლექტივს მალე შეუძლია ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება. რეექსპოზიციის დროს ადვილი იქნება მათი თავიდან აცილება.

მუზეუმი ხშირად აწყობს მოძრავ გამოფენებს. 1958 წელს გამოფენები მოეწყო ღვინის ქარხანაში, კოლმეურნეობაში, საშუალო სკოლაში, თემებზე: ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში; საქართველოს ახალგაზრდობა კომკავშირის 40 წლისთავზე; თბილისის 1500 წლისთავი; ჩვენი რაიონის მიღწევები 1957 წელს. სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომის ვახტზე; რაფ. ერისთავის მშობლიური სოფელი დღეს.

მუზეუმთან არსებული ლიტერატურული წრე სწავლობს რაფ. ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს. წრის ინიციატივით ხშირად იდგმება რაფ. ერისთავის პიესები: „ბიძიასთან გამოხუმრება“, „პარიკმახერისას“ და სხვა.

განზრახულია ახლო მომავალში პოეტის მშობლიურ ეზოში დეკორატიული ბაღის გაშენება, რაფ. ერისთავის ბიუსტის დადგმა; ვენახისა და ხეხილის აღდგენა.

———

აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი სხვიტორში

აკაკის სახლი ტყიანი ხეობის შესავალთან არის, ჩრდილოვანს, თითქოს საიდუმლოებით მოცულს ბაღში და თავისი სისპეტაკით ნათლად და სასიამოვნოდ გამოიცქირება ხეების მდიდარ მწვანე სამოსელს შორის. — აღტაცებით წერდა საჩხერეში სტუმრად მყოფი არტურ ლაისტი.

გიუმაჟი ჩიხურა ჩხრიალით, მოათამაშებს პატარა ზვირთებს და გამალებით მიიჩქარის დაუდეგარი ყვირილასაკენ.

აკაკის მშობლიური სოფლისაკენ მიმავალი გზა გასდევს მთის ამ მდინარეს, რომელიც დაუღალავად ამუშავებს ერთმანეთზე მიჯრით ჩამწკრივებულ წისქვილებს. თითქოს თავი მოსწონს მის აბიბინებულ ნაპირებზე გაზრდილი შვილის — დიდი აკაკის სიტყვებით: „წყლებში ყოველგვარ მდინარეს გიუმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში კი უპირატესობას ერთ მათგანს — ჩიხურას ვაძლევ. ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე“.

ჩრდილოეთიდან გზას დარაჯად დასდგომია ძველი საწერეთლოს ციხებურჯი „მოდი ნახე“ — „მოზღუდვილი კლდითა, მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან“.

აკაკის ბევრჯერ უმღერია მისი ცადწვდენილი, ზვიადი კედლებისათვის:

ქალია ქველი წერეთლის.
პატრონი „მოდი ნახისა“. —

წერდა თავისი პოემის გმირის ნათელას შესახებ.

ბევრი მომხდური გაუწბილებია ურჩი ფეოდალის მიუდგომელ ციტადელს. მაგრამ წერეთლები მარტოდენ ხმლით არ ყოფილან სახელგანთქმული, ისინი კულტურულ-პატრიოტულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. ადგილს „მოდი ნახეს“ ქვემოთ — ნასტამბარი ჰქვია. 1815 წელს ზურაბ და გრიგოლ წერეთლებმა ქუთაისიდან საჩხერეს გადმოიტანეს ქართული სტამბა და აქ ქართულ წიგნებს ბეჭდავდნენ.

აკაკი მუდამ სიამოვნებით იგონებდა წინაპართა გმირულ თავგადასავალს. „სხვიტორელი წერეთლები, — წერდა ის, — განთქმული

ვაჟკაცის დავით წერეთლის ნაშიერი არიან. ქველ წერეთელს, საზოგადოდ ყველა თავად წერეთლების წინაპარს, ორი შვილი ჰყავდა: დავით და პაპუნა. პაპუნა ბერად იყო შესული მღვიმევის მონასტერში. დავითი უშვილოდ ბერდებოდა და იმ მოსაზრებით, რომ საწერეთლო უპატრონოდ არ დარჩენილიყო, გამოიყვანა მონასტრიდან ძმა და ცოლი შერთო. მისი ჩამომავალი დღეს თხუთმეტ ოჯახად არის".

სხვიტორის გზაზე ჯერ ბეჟან წერეთლის მშვენიერი ხის სასახლე მოჩანს — ქართული ჩუქურთმებით უხვად შემკული. აკაკი ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო... უყვარდა მას ქველმოქმედი, ლიტერატურით გატაცებული ოჯახი.

ცოტა უფრო ქვემოთ თვალისმომჭრელად ელავს სვიმონ წერეთლის დიდი, სვეტებიანი სასახლე. ხოლო აქედან ერთბაშად თვალწინ წარმოგვიდგება მთის ფერდობზე გადმომდგარი ორსართულიანი ქვითკირის სახლი.

1840 წლის 9 ივნისს აქ დაიბადა აკაკი.

შენობა ლამაზად მოჩანს გონჯიხევის ტყიანი მთის კალთებზე. იგი თითქოს ცდილობს უფრო მოხდენილად გვეჩვენოს, ვიდრე მის საამაყო შვილს ჩვეული, ოდნავ ირონიული, ღიმილით დაუხასიათებია: „ჩიხურას პირად, მაღლობზე, დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე ციხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს".

ვისაც სურს აკაკის მშობლიური კუთხისა და კარ-მიდამოს სილამაზით ტატკბეს, ამ სახლის მეორე სართულის ფართო აივნიდან უნდა გადაიხედოს. შორს მოჩანს სოფელი სავანე, სადაც იზრდებოდა აკაკი. უფრო ახლოს — საფალავანდიშვილო. მთების დაბურულ ფერდობებს მდინარე ჩიხურა უვარცხნის თმებს. ცის კაბადონზე პერანგას ქედი გაწოლილა. მარჯვნივ გონჯიხევის მთას ჩამოუვაკნია და ჩიხურასთან გარინდულა.

ეზოში შემორჩენილია როსტომ წერეთლის კარის ეკლესია და რამდენიმე კაკლის ხე.

სვეტებიანი აივანი ჩუქურთმიანი თაღებითაა დამშვენებული. მარჯვნივ აკაკის ოთახია, მარცხნივ — მისი მეუღლისა. დიდი დარბაზიდან ორი პატარა ფანჯარა გამოდის აივანზე. ფანჯრებსა და კარებს ჯვრის გამოსახულება ამკობს. მარჯვენა ფანჯარასთან ოდნავ გადაშლილი ძველი წარწერა იკითხება:

რა პატრონმა გებად მიწყო, სხუანი დრტვინვენ: ვერ სრულყოფსა?
ოდეს სრულმყო უცოდველად, მოდათ მიმცა იმერლებსა,
საქმე პირველ საძნელოა, თორემ მერმეთ ვინ ვერ ჰქმნასა.
და ტვირთად მისდა ვინ აღმიღო, აწ ილხენდეს შინა ჩემსა.
ოსტატთ ყოფილთ ბერძენთაგან ხელმყუეს აღსაგებლად თებერვლის
თვეშიდ.
მომწოდებლის ხელთმძღვანელობით, სრულ მყუეს ამავე ჩყლდ-სა
წელში, იულისის თვეშიდ.

ამ ლექსში აკაკის მამის მიერ 1834 წ. აგებული სახლის მატიანეა გადმოცემული.

„ჩვენი სახლის ზედა სართულს. — ამბობს აკაკი, — ოდა ერქვა, ქვედას — პალატი და ორივეს საერთოდ კი — სასახლე, რომელსაც ირგვლივ სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო, სამზარეულო, ბეღლები, საბძლები, სასიმინდეები, მარანი და სხვადასხვა. იმათზე მოშორებით საჯალაბო იყო და იმ საჯალაბოს გარს ერტყა საჯინიბო, სათხებო, საღორე, საქათმე, საბატო, საინდოურო და სხვ....

სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგვზები ანუ როგორც ზოგან უწოდებენ, კაკლის ხეები, საჩრდილობლად თავ-ნომწონედ შლიდენ ტოტებს. სახლის წინ კარის ეკლესია იყო აგებული, უკან საქალებოთი“.

პირველ სართულზე ექვსი ოთახია, მათი ფართობია 165 კვ. მ. მაღლა — აივანს გარდა — ხუთი დიდი და ორი მცირე ოთახია — 175 კვ. მ. ფართობით.

აკაკის სახლი ჩვენი ეროვნული კულტურის ღირსსახსოვარი მეშორიალური ძეგლია. პოეტის სიკვდილის შემდეგ მას კარგა ხანს მოაკლდა მზრუნველობა. 1920 წლამდე აქ აკაკის უფროსი და—ანა ცხოვრობდა. შემდეგ საყვარელი ადამიანის კარ-მიდამოს ყოფილი მოურავი კოტე აბდუშელიშვილი და მისი მეუღლე ანა უვლიდნენ.

1940 წელს, აკაკის დაბადების 100 წლისთავის საზეიმო დღეებში, აქ დაარსდა სახლ-მუზეუმი, რომელიც 1943 წლიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმად გადაკეთდა.

აკაკის სახლს დიდი დახმარება გაუწია საქართველოს ლიტერატურულმა მუზეუმმა, რომელსაც მაშინ პოეტი აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ხელმძღვანელობდა.

მუზეუმის მიზანია პირვანდელი სახით აღადგინოს აკაკის სახლი, ეზო, ბაღი.

უკანასკნელ ხანში განახლდა შენობის სახურავი, სხვენში დაიგო შავი იატაკი. რესტავრირებულია ჭერი და იატაკი, აღდგენილია შპალერი, დაიგო ლინოლიუმი (როგორც აკაკის დროს იყო).

აკაკისეული სახლისა და კარ-მიდამოს წინანდელი სურათის შესწავლა დაევალა სამეცნიერო საბჭოს წევრებს ს. დგებუაძეს (აკაკის ძმისწულის მეუღლეს), პაპუნა წერეთელს, ი. ციციშვილს და პროფ. რ. ხარაძეს, რომლებმაც შეადგინეს სახლის შიდა მოწყობილობისა და კარ-მიდამოს გეგმა. მათ მიერ დადგენილი დეტალების მიხედვით ჩატარდა სახლმუზეუმის სრული რესტავრაცია.

ყურადღება ექცევა აკაკისეული კარ-მიდამოს სხვა ნაგებობებსაც, რომლებიც პოეტის ხსოვნასთანაა დაკავშირებული. ნაწილობრივ აღდგენილია კარის ეკლესია. შედგენილია მარნის წინანდელი მოწყობილობის აღწერა, დაცულია აკაკის საწნახელი, რამდენიმე ქვევრი; შეკეთებულია აკაკის ორი ბეღელი.

აკაკის ძალიან უყვარდა უზარმაზარი ნიგვზებით დაჩრდილულ მშობლიურ ეზოში ოცნება. კარ-მიდამოს იმხანად უხვად ამკობდა ხეხილი, ყვავილები და მწვანე მოლი. პოეტის დედა—ეკატერინე აბაშიძე — გურიაში იზრდებოდა და იქიდან ბევრი იშვიათი ნერგი ჩამოუტანია სხვიტორში. ეს ბაღი, რომლის ფართობი ერთ ჰექტარს აღწევდა, განთქმული იყო დეკორაციული მცენარეებით, ყვავილნარით. იგი პატარა კუნძულს მიაგავდა თურმე; ორივე მხრიდან მდინარე ჩიხურა უვლიდა. შუაგულში უხვჩრდილიანი კაკლის ხე აღმართულიყო. აქვე სამზარეულოს ერთსართულიანი შენობა იდგა. მახლობლად, ქვის დიდ მაგიდაზე, 1852 წელს მომავალმა პოეტმა დედისადმი მიძღვნილი ლექსი ამოჭრა.

აკაკის უფროსი და, რომელმაც 12 წლის პოეტის ეს საინტერესო ლექსი შემოგვინახა, გადმოგვცემს:

„აკაკი ექვს-შვიდ წლამდე ზეპირად გამოსთქვამდა ხოლმე შაირებს; მერე, როცა წერა ისწავლა, სწერდა კიდეც. ერთი მისი ლექსი დღესაც აწერია ქვის ფიცარზე. აი, ეს როგორ იყო: დედაჩემმა ეკატერინემ ბაღი გააშენა, შიგ შადრევანებითა და აუზებით. იმ დროს ჩვენში მისთანა ბაღი არსად ყოფილა. თორმეტი წლის აკაკიმ. მაშინ მეორე კლასის მოწაფემ, აკროსტიხი დააწერა ქვის მაგიდაზეაი, თვით ლექსიც:

ერთგულება ოჯახისა მრავალს კეთილს გააჩენსა:
კლდესა შრომით მიწად შეიქმს, უთევზო წყალს თევზს აჩენსა,
არად შერაცხს შრომას, ტანჯვას, საბოლოოდ მოსალხენსა,
ტკბილსა შეიქმს მწარისაგან, ბნელსა ადგილს ნათელს ჰფენსა.
იდუმალ იწყებს კეთილსა, საბოლოოდ მოსალხენსა...

რა საკვირაოა გეგმები, თვით გააჩენს უნახველად
იტვირთავს ძნელსა საქმესა, აღასრულებს უცოდველად,
ნახეთ, მოდით, უცხო რამე, არ ნახულა რაცა ძველად:
ედემს ბაღი დაამზგავსა, ჩასჩქეფს წყალი მოსარწყველად.
ჩუნბ წელსა, აპრილს დ დღესა

(1852 წ. 4 აპრილი)

1906 წელს ეზოს ერთ მხარეს აკაკის გაუშენებია ათასი ძირი ვაზი, რომლის ნაწილი დღესაც მსხმოიარეა.

მდინარე ჩიხურას ხეობაში, სხვიტორიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს სოფ. კვერეთი, სადაც არის წერეთლების საგვარეულო სასაფლაო. აქ განისვენებენ აკაკის წინაპრები, მშობლები, და-ძმა, ნათესავები... მუზეუმს ზუსტად აღუნუსხავს საფლავთა წარწერები; აკაკის გენეალოგია დაუდგენია.

მემორიალური ადგილების შესწავლასა და აღდგენაში, აგრეთვე გამოფენის მოწყობაში, მუზეუმს დიდად ეხმარებიან აკაკის თანამედროვენი, ნათესავები, მეზობლები. მათი მოგონებები ბევრ ძვირფას ცნობას შეიცავს აკაკის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებით მუშაობაზე. მუზეუმმა შექმნა მოგონებების მდიდარი ფონდი. საინტერესოა სავანელი გლეხის—გ. ჯაფარიძის მოგონება, რომელიც აკაკის ბავშვობას შეეხება. მოგონებამ დამაჯერებლად გაარკვია, რომ პირველ ორ წელს პატარა აკაკი ყანჩაველებთან ჰყოლიათ მშობლებს, ხოლო შემდგომ ოთხ წელს—სადუნაშვილებთან.

კვერეთის მონასტერი აკაკის მამას ეკუთვნოდა. ეკლესიის მსახურთა მოსამზადებლად მას პატარა სკოლაც დაუარსებია მონასტერთან, სადაც თურმე გლეხის შვილებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. კვერეთის ღვთიშობლის მონასტერს შეეხება ილია ზაბახიძის მოგონება.

კარგად აღადგენს აკაკის ოჯახური ცხოვრებისა და გლეხებთან ურთიერთობის სურათს სხვიტორელი გ. ზაბახიძის, ანტ. კირვალიძის, საჩინო გოშაძის, დ. მაჭარაშვილისა და სხვათა მოგონებანი.

მეცნიერული კვლევა-ძიება ძირითადად ემსახურება ექსპოზიციას. მუზეუმი თემებს არჩევს საგამოფენო ამოცანების შესაბამისად. ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევს მას აკაკის ბიობიბლიოგრაფია, რომელშიც თავმოყრილი, სისტემატიზირებული და ანოტირებულია მდიდარი ისტორიულ-ლიტერატურული მასალა აკაკისა და მისი მახლობლების შესახებ. იგი მოიცავს პერიოდს 1858-დან 1945 წლამდე. გამოკვლევა — „აკაკი და უბატონო სვანეთის 1875—1876 წ. წ. აჯანყება“ — ცხადყოფს, რომ აკაკი წერეთელმა საინტერესო

სიტყვა წარმოთქვა სასამართლო პროცესზე ქუთაისში, სვანების დასაცავად. ასევე საინტერესოა ნაშრომები: „აკაკი და ქართული თეატრი“, „აკაკი და 1905—07 წ. წ. რევოლუცია“, „აკაკის მოგზაურობანი დასავლეთ ევროპაში“, „აკაკის მოგზაურობა კახეთში“, „აკაკი და ქალაქი გორი“, და სხვ.

აკაკი წერეთლის მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ერთგვარი აბსტრაქტულობა მაინც ემჩნევა. ზოგიერთი თემა არ არის მუზეუმის კონკრეტული მოთხოვნილებით ნაკარნახევი. უმჯობესი იქნებოდა. კვლევის საგანი გამხდარიყო ფონდი; მნიშვნელოვან ექსპონატებზე საჭიროა მონოგრაფიული ნარკვევების დაწერა. ასევე კვლევის საგანი უნდა გახდეს აკაკის კარ-მიდამო, სახლის წინანდელი მოწყობილობა, პოეტის სახელთან დაკავშირებული მემორიალური ადგილები და ა. შ.. ამ მუშაობის გამოცდილება მუზეუმს გააჩნია. საყურადღებოა, მაგალითად, აკაკის ძმის დავითის არქივის შესწავლა. ეს არქივი რამდენიმე წლის წინათ გადაეცა მუზეუმს. იგი შეიცავს დავითის მოთხრობებსა („ჩერქეზის ქალი“, „ბაქრაძის ქვრივი“, „დათა ლანდია“ და სხვ.) და სტატიებს. არქივის მასალებით დამტკიცდა, რომ 70-ან წლებში „სხვიტორელის“ ფსევდონიმით დავით წერეთელი წერდა.

არქივში აკაკის წერილებიც აღმოჩნდა. ინტერესს იწვევს დავით წერეთლის ლექსიკოლოგიური მასალები, აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

სხვა მასალებთან ერთად, მუზეუმმა მოაწესრიგა და შეისწავლა ეს ძვირფასი ფონდი, რაც დაეხმარა სტაციონარული ექსპოზიციის მოწყობაში.

აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სტაციონარული ექსპოზიცია გაიხსნა 1947 წელს. შემდეგში აუცილებელი გახდა მისი გამდიდრება. ამის გამო, 1958 წ. ჩატარდა გამოფენის რეექსპოზიცია. ახალი გამოფენა გამართულია აკაკისეული სახლის მეორე სართულის ოთხ ოთახში. წინანდელთან შედარებით იგი უფრო ვრცლად ასახავს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

თლილი ქვის კიბით ავდივართ აკაკის მშობლიური სახლის მეორე სართულზე. მარჯვნივ, პატარა ოთახში, გაშუქებულია თემა — აკაკის ბავშვობა და ყრმობა. ვიტრინაში გამოფენილია აკაკის აკვანი, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებას იწვევს. ოთახი პატარაა. ჩრდილოეთის კედელში შენარჩუნებულია ფართო კერიანი, ჩუქურთმებით შემკული ქართული ბუხარი. აკვანი ბუხრის წინ დგას და წარმოგვიდგენს აკაკის ბავშვობის კოლორიტულ სურათს.

ოთახის ექსპოზიცია სავსებით შეესაბამება ამ მემორიალურ კომპლექსს. იგი გვაცნობს პოეტის ოჯახურ გარემოს, მშობლიურ სოფელს, მეზობლებსა და მახლობლებს. კედლის ცენტრში გამოფენილია ლამაზად გაფორმებული — გენეალოგია აკაკი წერეთლისა, მის გარშემო კი აკაკის მამის — როსტომ წერეთლისა (1802 — 1876) და დედის — ეკატერინე აბაშიძის (1808 — 1885) ფოტოსურათები. ამავე სტენდზეა აკაკის ძმების — დავითის (1832 — 1902) და ილიკოს (1837—1873) სურათები. აკვარელი—ისტორიული ციხე-სიმაგრე „მოდი ნახე" და ფოტო — „ჩიხურის ხეობა", წარმოდგენას იძლევა ამ კუთხის მშვენიერებაზე, მის ისტორიულ წარსულზე.

აკაკის უსაზღვროდ უყვარდა მშობლიური სოფელი, მისი ლამაზი ბუნება.

„ყვირილას სამხრეთ კიდეზედ არს საჩხერე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ.

ამ საჩხერის პირისპირს, ყვირილას ჩრდილოეთით არს მაღალსა კლდესა ზედა ციხე მოდი ნახე, მოზღუდვილი კლდითა, მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან". — გადმოგვცემს კალიგრაფიული ტექსტი ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებს.

მომდევნო სტენდის ზემო სართული უკავია აკაკის დედ-მამის პორტრეტებს (ზეთი), ხოლო ქვემოთ გამოფენილი მასალა წარმოდგენას იძლევა აკაკის ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ყველაფერი ნათელჰყოფს, რომ იგი იზრდებოდა ხალხის გულში, მშრომელ გლეხთა შორის და თავიდანვე სიხარულით იზიარებდა მათს ჭირსა და ლხინს. ჩუქურთმიან ჩარჩოშია ჩასმული აკვარელი იმ პატარა ქოხისა სოფ. სავანეში, სადაც მომავალმა მწერალმა გაატარა ბავშვობა, — სიკვდილამდე ასე ცხოვლად რომ აღებეჭდა მის სულს. ვკითხულობთ: „საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი. აქ ავიდგი ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც". ამონაწერები აკაკის თხზულებებიდან ნათლად გვიხატავს მისი ცხოვრების იმ სანატრელ ხანას:

დილიდან დაღამებამდე
ეამბობდით ზღაპრებს, შაირსა,
ანდაზებს ახალ-ახალსა
და სიტყვებს ნაირ-ნაირსა.
დროს ვატარებდით თამაშით,
ხიმღერითა და გალობით,

ეს იყო სკოლა პირველი,
გადავრჩით ჭირსა წყალობით.
რადგანაც არ ვიზრდებოდი
მე სხვებთან ბატონყმურადა,
მიტომაც ჩემზე მდაბალსა
მე შევყურებდი ძმურადა.

ამ სიტყვებში მკაფიოდაა ნაჩვენები გლეხის ქოხში გატარებული წლების მნიშვნელობა პოეტის მომავლისათვის. გამოფენა, შეძლებისდაგვარად, ვრცლად აშუქებს ამ თემას. ექსპონირებულია აკაკის ძიძიშვილების — გაიანე ყანჩაველისა და აბელ სადუნაშვილის (ძიძის ძმისწული) ფოტოსურათები. სავანის ეკლესია (აკვარელი), ვოლგინის სურათის ფოტოპირი — „აკაკი გლეხის ბავშვებთან სავანეში". პოეტის სიტყვები: „თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრუსარკმლო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ან საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ, სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე მხართეძოზე წამოწოლილი, დევივით იდვა უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა".

აქვეა გამოფენილი პოეტის დის ანას (1830 — 1920) სურათები.

აკაკი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო წიგნით. კითხულობდა შოთა რუსთაველს, სულხან საბა ორბელიანს, დავით გურამიშვილს, ისმენდა მახლობელთა ნაამბობს სამშობლოს გმირულ წარსულზე და მასში თანდათან ღვივდებოდა პატრიოტული სული და პოეტური ნაპერწკალი. ამაზე მიგვითითებს ქართველ პოეტთა სურათები, რომლებიც ამ კედლებზეა გამოფენილი.

აი, აკაკის პირველი პოეტური ცდებიც:

ხაბაზს: შენი გამომცხვარი პური —
ლავაში და მურასაო,
ადამიანს არ ეკმება,
გადუყარეთ მურასაო.
ხელოსანს (მემარნეს):
ხელოსანი მარანშია
ღვინოს იღებს ხაპითაო,
ჭურის თავზე იბრუეება,
სხვებს კი ასმევს ყლაპითაო.
მოურავზე: ბეღელს თაგვი შესჩვევია,
ხრავს სულ, რაც სახრავიაო,
მაგრამ თვითონ დიდი თაგვი
თითონ მოურავიაო. და ა. შ.

აკაკი წერეთლის მუზეუმი მდიდარია მემორიალური ნივთებით. პირველი დარბაზის ერთ-ერთ ვიტრინაში თვალს იტაცებს პოეტის მშობლების ფინჯანი, კოვზი, ლამბაქი, შანდალი, საფერფლე, წიგნები.

მომდევნო თემები გვაცნობს აკაკის სწავლას ქუთაისში, მის გატაცებას პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის, ჭავჭავაძის, ბარათაშვილის, ბაირონის, კრილოვის, გრიბოედოვის შემოქმედებით.

აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობის გამომუშავებასა და ლიტერატურულ მიმართულებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა იქონიეს სახელოვანმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა — ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა, გერცენმა, ნეკრასოვმა. პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა ღრმა კვალი დააჩნია მის შემოქმედებას. ამ თემას დათმობილი აქვს საგანგებო სტენდი, რომლის ზემო სარტყელში ექსპონირებულია მხატვრული ტილო: „აკაკი წერეთლის შეხვედრა ტარას შევჩენკოსთან“. ტექსტი გვაუწყებს: 1860 წელს სტუდენტი აკაკი წერეთელი პეტერბურგში შეხვდა დიდ უკრაინელ მწერალს ტარას შევჩენკოს. „ტარას გრიგოლის ძე შევჩენკოს, — იგონებს აკაკი, — მხოლოდ ერთხელ შევხვდი ჩემს ცხოვრებაში, რუსეთის ისტორიის პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვთან. ჩვენი საუბარი ღამის სამ საათამდე გაგრძელდა.

მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს, შევპირდით ურთიერთს, რომ უფრო ხშირად შევხვედროდით. მაგრამ ჩემს სურვილს არ ეღირსა ასრულება. ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა მთელი ჩემი ცხოვრების ნათელ მოგონებად დამრჩა. გამოვტყდები, მისი სიტყვებიდან პირველად გავიგე, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და საკუთარი ხალხი“.

სტუდენტობის წლებში აკაკი მხურვალედ ეწაფება თვითგანვითარებას, კითხულობს რუსულ და ევროპულ ლიტერატურას, მგზნებარე სტრიქონებს უძღვნის სანატრელ სამშობლოს:

შორის ქვეყნიდან გაშორებულსა,
სამშობლო ჩემო, გიგზავნი გულსა,
შენს ერთგულს მონას, მსხვერპლადცა მზასა,
შენთვის ოხვრისგან დაწყლულებულსა.
მშვიდობა შენდა, სამშობლო მხარეო,
ერთ დროს ჩემთ სევდათ მოიავარე.

1859 — 1862 წლებში აკაკი წერს ღრმა სოციალური შინაარსით აღსავსე ლექსებს, რომლებიც მოწინავე მკითხველის სათაყვანო პო-

ეტად აქცევს მას. ეს ლექსები დაიბეჭდა ჟურ. „ცისკარში“, საიდანაც აკაკი ენერგიულად ჩაება ძველსა და ახალს შორის გამართულ იდეურ ბრძოლაში, აკაკი მხარში ამოუდგა ქართველ სამოციანელთა მეთაურს ილია ჭავჭავაძეს და შეუპოვრად იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ, საქართველოს თავისუფლებისათვის, ქართული ენისა და ლიტერატურის დემოკრატიზაციისათვის. ეს მნიშვნელოვანი თემა ასახულია პირველი დარბაზის უკანასკნელ სტენდზე, რომელიც იხსნება მხატვრული ტილოთი: „ი. ჭავჭავაძე ქართველ სტუდენტთა წრეში კითხულობს თავის თხზულებებს“.

სტენდი მთავრდება აკაკის სიტყვებით: „ჩვენი მშრომელი მიწის მუშა ხალხი... აი, ვის უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი სრული თანაგრძნობა. ამათ კეთილდღეობას უნდა ვუმზადებდეთ და შევხაროდეთ, ხელს ვუწყობდეთ და რჩევას ვაძლევდეთ, მაგრამ ისე წინდახედულად და მოფიქრებით, რომ ფეხი არ წავაკვრევინოთ“.

ვიტრინაში გამოფენილია აკაკის მშობლების ნივთები, დედის ბულისპირი, სარტყელი და სხვა.

ამგვარად, პირველი დარბაზი საკმაო წარმოდგენას იძლევა პოეტის ოჯახურ გარემოზე, ბავშვობაზე, მსოფლმხედველობის წყაროებსა და იდეურ მიმართულებაზე.

სამწუხაროდ, ფართობის სიმცირეს შესამჩნევად შეუვიწროებია განზრახულ თემათა ჩარჩოები; მკრთალადაა გაშუქებული გიმნაზიის პერიოდი, ლიტერატურული დებიუტი, სამოციანელთა იდეური ბრძოლა და ა. შ.

მეორე დარბაზს ცენტრალური ადგილი უკავია მუზეუმის ექსპოზიციაში. ეს არის აკაკის მშობლიური სახლის ყველაზე დიდი ოთახი, მისი ფართობი 80 კვ. მეტრია (ყოფილი მისაღები დარბაზი). ახლა აქ წარმოდგენილია სტაციონარული ექსპოზიციის ძირითადი თემები: აკაკის მხატვრული შემოქმედება, აკაკი და ხალხური ზეპირსიტყვიერება; აკაკი და ქართული თეატრი, აკაკი და ჭიათურის მარგანეცი, აკაკი და ილია ჭავჭავაძე; აკაკი და 1905 წლის რევოლუცია; აკაკი —მთარგმნელი და აკაკის მთარგმნელები; აკაკი და მეფის ცენზურა; აკაკის მეგობრები და მახლობელნი; აკაკის იუბილე 1908 წელს; აკაკის მოგზაურობანი; აკაკის ავადმყოფობა და გარდაცვალება.

პირველი სტენდის დასაწყისში გამოფენილი ტილოები: „აკაკი თბილისელ მეგობრებს უკითხავს ახალ თხზულებას“ და „აკაკი ესაუბრება მეზობელ გლეხებს“, მოხერხებულად გვიხსნის ექსპოზიცი-

ონერის ჩანაფიქრს: აკაკის შემოქმედება უწყვეტი ძაფებით იყო დაკავშირებული მშრომელი ხალხის სულიერ სამყაროსთან და ეპოქის მოწინავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა მუდამ. ამასვე ემსახურება აქ გამოფენილი ტექსტებიც:

„აკაკი წერეთელი ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და პმართავდა ქართველის გულს ქართულისა და საქართველოს სიყვარულისათვის.

ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა. თავისი სიტურფით სავსე ქართული... აკაკის სამსახურსა და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამოდ სახსოვრად. მისი მშვენიერი ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურსა და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულიშვილობისათვის". ილია ჭავჭავაძე, 1882 წ.

„აკაკი წერეთელი ჭეშმარიტი და ნამდვილი პოეტია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. აკაკი წერეთლის ნიჭის ძალა სწორედ განსაცვიფრებელია"... ნიკო ნიკოლაძე. 1889 წ.

ვიტრინაში გამოფენილია აკაკის თხზულებათა რევოლუციამდელი გამოცემები: „ალექსი", „ბაგრატ დიდი", „ნათელა"... ფართოდაა წარმოდგენილი აკაკის მოსაზრებები ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე: „ზეპირსიტყვიერება გარდასული ჟირნახულის სალარო.. ეროვნების თავშესაფარი... საისტორიო საძირკველი... ეროვნული პოეზიის სიმდიდრე მისი წარმომშობი ხალხის სიდიადეა და ამ მხრით არც ჩვენ ქართველობა დაუჩაგრივართ ბედს. ჩვენებური საგულისხმო იგავ-არაკები, ჩამაფიქრებელი ზღაპრები და სხარტული ანდაზები ბევრ რამეს გვეუბნებიან გარდასულიდგან".

აუცილებელია, მუზეუმმა შექმნას აკაკის თხზულებათა ილუსტრაციები, კონკრეტულად დაამუშაოს თვითეული მათგანის სიუჟეტი და შესაბამისი ტექსტებით დამთვალიერებელს გააცნოს დიდი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა — უმთავრესი, რისთვისაც ჩვენი ხალხი აფასებს და პატივს სცემს აკაკი წერეთელს. ასევე კონკრეტულად უნდა წარმოდგეს აკაკისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ურთიერთობაც.

უდავოდ აკლია სისრულე თემებს: აკაკი და თეატრი; აკაკი და ჭიათურის მარგანეცი. ამასთანავე, ეს უკანასკნელი თავისი სპეციფიკით არღვევს ექსპოზიციის საერთო განვითარებას და მისი

დემონსტრირება უმჯობესი იქნება ექსპოზიციის დასკვნითს ნაწილში.

უწყვეტი რგოლითაა ერთმანეთთან დაკავშირებული საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურების —ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება. ძნელია მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა. ნახევარი საუკუნის მანძილზე ისინი ერთ საქმეს ემსახურებოდნენ. ამ საკითხის გასაშუქებლად გამოყოფილია ცალკე სტენდი, სადაც ყურადღებას იქცევს ტილო — „აკაკი სტუმრად ილიასთან საგურამოში“, აგრეთვე ფოტოსურათები, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. განსაკუთრებით საყურადღებოა აკაკის ციტატები დიდი თანამებრძოლის შესახებ; ჯერ კიდევ 1865 წელს იგი წერდა: „...დიდმა ხანმა გაიარა ბარათაშვილის შემდეგ და მის კვალზე წასული არავინ გვინახავს... ამ სიკოტრის ჟამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე... და შეუდგა ბარათაშვილის კვალს და რადგანაც დროც ხელს უმართავდა, უფრო თამამად, ტირილით დაუწყო ხალხს შეჩივლა: „აი, რა უნდა ეთქვა თქვენთვის ბარათაშვილსაო! აი, რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კვნესაო... მისი „კაცია ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტებად რჩება ჩვენს ლიტერატურაში“.

1882 წელს აკაკიმ განაცხადა: „საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან... ჩვენს დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენი შვილი — ილია ჭავჭავაძე“...

ორი მხატვრული ტილო — „აკაკი აჯანყებულ გლეხებთან“ და „აკაკის დაპატიმრება“ საერთო ტონს აძლევს თემას — „აკაკი და 1905 წლის რევოლუცია“. შთაბეჭდილებას აძლიერებს ლექსები: „ხანჯალს“, „ინტერნაციონალი“.

სხვა თემებიდან საყურადღებოა „აკაკის იუბილე“. საიუბილეო მასალათა შორის საგულისხმოა ადრესები, ალბომები, თბილისის ქართული გიმნაზიის მოლოცვა, ხავერდის ყდაში ჩასმული ადრესი: „აკაკის — ფოთის საზოგადოებისაგან. 1908. 7. 12“.

ამ სტენდს ძარღვად უდევს ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას ლექსიდან:

მშობელი ქვეყნის მოზარეე,
უნდა გიმღერო მთურადა,
იმავ ჟირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა...
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენაშა,

სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამ.

სტენდი მთავრდება აკაკის ლექსით:

...მაგრამ მე კი, რომ გგონივართ, ის არ ვარ!
სხვა იქნება მომავალი ის გმირი!!
მე უბრალო მიზეზი ვარ დღეის დღის,
იმ მომავლის აჩრდილი რამ და პირი!..

დარბაზის უკანასკნელ კედელზე ასახულია აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

ამას მოსდევს აკაკის გარდაცვალებისა და დასაფლავების ამსახველი მასალა; აქ ტონს იძლევა იმ დროს ახალგაზრდა პოეტის ალექსანდრე აბაშელის სიტყვები:

ჩვენ ბევრნი ვართ, შენს კალთაში,
შენის ხელით გამოზრდილნი...

მომდევნო დარბაზი წარმოადგენს აკაკის მისაღებ ოთახს. ამჟამად აქ გამოფენილია მასალები თემაზე: „აკაკი და თანამედროვეობა". ერთმანეთს მისდევს კოლექციები: აკაკი ქართულ ლიტერატურაში — გ. ლეონიძის, ა .აბაშელის, გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ი. გრიშაშვილის ლექსები და ფოტოსურათები. თვალის მიმტაცია ორი ქართული ვაზა აკაკისა და მისი მეუღლის პორტრეტებით. შემდეგ ვხედავთ მასალებს თემებზე — აკაკი საბჭოთა კინოში: აკაკი მუსიკაში; აკაკი საბჭოთა სცენაზე. კარგადაა შესრულებული კედელში შეჭრილი მაკეტი-სცენა „ნათელადან". დარბაზი მთავრდება კომპლექსით: „აკაკის იუბილე 1940 წელს".

მთელი კედელი უკავია საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებულ აკაკის პორტრეტს, რომლის ქვემოთაც წარმოდგენილია აკაკის ტახტი ნოხითა და მუთაქებით. გამოფენა მთავრდება მემორიალური ოთახით. ეს არის აკაკის ყოფილი საძინებელი ოთახი. აქ დაიბადა დიდი პოეტი, აქ გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები, აქვე გარდაიცვალა.

ძლიერ განცდებს იწვევს პოეტის ნივთების დათვალიერება. აი, გაშლილი ლოგინი, სადაც სამუდამოდ შეწყვიტა ცემა ნახევარსაუკუნის მანძილზე სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში დაღლილმა გულმა. აკაკის სურა, ყურთბალიში, სკამი,

საათი, რომელიც პოეტის სიკვდილის წუთზეა შეჩერებული. მაგიდა. პოეტისეული ნივთებით; საწერ მაგიდაზეა ორი ჩამწვარი სანთელი, პოეტის საწერი მოწყობილობა, სამელნე, საშრობი, კალმისტრები, საიუბილეო საჩუქრები, ორი ბავშვის—ელა და ნიკუშა მაჩაბლების ფოტოსურათი წარწერით: „ძია აკაკის პატარა მეგობრებისაგან, 1904 წ“. კედელში შეჭრილ განჯინაში დაცულია ნივთები, რომლებსაც უკანასკნელად შეეხო დიდი ადამიანის ხელი.

კედელთან ეტაჟერი დგას, იგი სავსეა აკაკისეული წიგნებით.

ამრიგად, სტაციონარული ექსპოზიცია საკმაო სისრულით აცნობს დამთვალიერებელს აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სტუმრებიც აღტაცებული რჩებიან დიდი ქართველი მწერლის სახლ-კარით. მოსკოველ არქიტექტორთა ჯგუფს შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერია: „როგორც იქნა, ასრულდა ჩვენი დიდი ხნის ოცნება: ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სახლში ვიმყოფებით, მღელვარებით ვათვალიერებთ მშვენივრად განლაგებულ მრავალრიცხოვან ექსპონატს. ვისმენთ შთამაგონებელ სიტყვებს დიდი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ქართველი ერის დიდი მწერლის, გრძნეული მომღერლის მუზეუმმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე“.

უკრაინელი მწერალი დმიტრო კოსარიკი წერს „დიდო აკაკი, მიიღე უმდაბლესი პატივისცემა უკრაინისაგან. შენი ერთგული მეგობრის—ტარას შევჩენკოს მემკვიდრეებისაგან. სიამაყის გრძნობით ვივსები, ახალი შემოქმედებითი ენერგია მემატება ჩვენი უმშვენიერესი და უსპეტაკესი ძმის—საქართველოს წიაღში ყოფნისას.

უგულითადესი მადლობა აკაკი წერეთლის თანამემამულეებს, რომ ასე გულმოდგინედ და სათუთად შემოგვინახეს ქართული გენიის ეს მარად უჭკნობი ქმნილებანი“.

მუზეუმს მტკიცე ბაზა მოეპოვება შინაარსობლივად სრული და მხატვრულად მიმზიდველი გამოფენის მოსაწყობად; აქვს მემორიალური ნივთები, არქივი, იკონოგრაფიული მასალა და, რაც მთავარია, მუშაობის გამოცდილება. მუზეუმის დირექტორს ნიკ. კეკერაძეს სამეცნიერო-ლიტერატურული მუშაობის დიდი პრაქტიკა აქვს. იგი უკვე თხუთმეტი წელია სათავეში უდგას აკაკის მუზეუმს.

მუზეუმის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი და შეგროვებითი მუშაობის მიზნობრივად წარმართვას; ეს ხელს შეუწყობს მას ღირსეულად შეხვდეს დიდი პოეტის დაბადების 120 და გარდაცვალების 45 წლისთავს.

ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

„...მე ვარ მთიული, დიახ, მთიული, აღზრდილი ხალხში, შობილი იქ, სადაც ყმა და მონობა ძველთაგანვე სამარცხვინოდ ყოფილა. ხალხში, სადაც სიტყვას „ბატონყმობა“ ადგილი არასოდეს არა ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადი ღირსებით შესძლებია. დიახ, ჩემო მკითხველო, იქ გავჩნდი, ამ ხალხში აღვიზარდე, აქვე ვწოვდი მთიელი დედაკაცის რძეს, რომელიც მთლად იყო შემდგარი მთის დიდებულებით აღსავსე ბუნების ნაწილებისაგან...

ვიზრდებოდი მათ შორის და სანეტარო ნიავთან ერთად სმენასა სწვდებოდა ნანა ჩემის მწოებელისა, რომელიც იძახდა: ვინც თავისას ვერ სთვისობს, მას აღმზრდელის რძე პირიდან წამოუვაო“.— ასე მგზნებარედ წერს უკვდავი რომანისტი მშობლიურ მხარეზე; და არა მარტო ის! ასევე ამაყობდა ყოველი მოხევე თავისი თოვლიანყინულიანი მთებით, მრისხანე ბუნებითა და შეუდრეკელი ხასიათით.

ალექსანდრე ყაზბეგმა ისე მიმზიდველად დაგვიხატა მშობლიური კუთხის სურათები, ხასიათები, ყოფა და ზნეობა, რომ ყოველი ქართველი გულში სათუთად ინახავს ხევის სიყვარულს, შეუპოვარ გმირთადმი თაყვანებას.

მკაცრია ხევის ბუნება. თერგი ვეფხვის ღრიალით მიანგრევს კლდოვან არტახებს და თავაწყვეტილი მიაგორებს ჟანგიან ლოდებს. ზოგჯერ, მწვერვალებიდან ჭექა-ქუხილით მოწყვეტილი ვეება თოვლის ზვავი ელვისებურად დაეცემა ამაყ თერგს ფაფარში და მუხლში მოსდრეკს. მრისხანე მდინარე მოკლე ხნით შედგება მხოლოდ; მაშინ იგი გაბოროტებით გლეჯს თეთრ ბორკილს და კიდევ უფრო მეტი გაშმაგებით მიექანება დარიალის ხეობისაკენ.

თერგის ორივე ნაპირზე, კლდეებში, არწივის ბუდესავით მოჩანს სახლები. ათასფერი ყვავილებით მოქარგული მთის კალთები ცხვრის ფარას შეუთეთრებია. „იქვე მიიკლაკნება საქართველოს სამხედრო გზა. რომელიც ხან კლდეს გაეკვრის ნაპირას, ხან თერგის პირად ჩამოდის“.

ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ეს მკაცრი ბუნება ძველთაგანვე იზიდავდა ადამიანს. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, აქ ბრინჯაოს ხანაშიც დადასტურებულია მოსახლეობა, ხოლო ფეოდალუ-

რი ხანის ძეგლებს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. სოფელ ყაზბეგიდან 45—48 კილომეტრის დაშორებით გუდის (ღუდა) ხეობაზე, გადამღგარია გუდალის სასახლე (ძუარყაუ), თაღოვანი შენობა, მრავალი დამხმარე ნაგებობებით, გალავნით, ჭიშკრით, მიწის ზედაპირზე აკლდამით, მიწის ქვეშ არქეოლოგიური ნამარხებით... „ამის ზევით არს ნაღვარევი, მეფეთ ნასახლევი, შენებულობა დიდი... ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან“...

რაიონის ცენტრიდან 12 კილომეტრის დაშორებით, დარიალის ხეობაში, ადგებარეობს დარიალის ციხე — „თამარის ციხედ წოდებული“, მიწის ქვეშ მდიდარი არქეოლოგიური ძეგლებით, ნანგრევებით. ვახუშტი წერდა: „...ამ ხევს ქვეით დავიწროვდების ხევი კლდეთა და არს ციხე დავითისა, არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა, აღმაშენებლის აშენებული“.

ალ. ყაზბეგის მუზეუმიდან ექვსი კილომეტრითაა დაშორებული არშის ციხე. მის ირგვლივ შემორჩენილი ნაგებობანი ზოგიერთ მკვლევარს მეგალითური კულტურის ნაშთად მიაჩნია.

სნოს ხეობაში, სოფ. ყაზბეგსა და სიონს შორის, არის შიოლა ღუდუშაურის ციხე. ციხე მაღალია, გარშემო გალავნითაა (ნანგრევებით) მოვლებული. ამავე მიდამოში არის ოთხი სხვა ციხე. მუზეუმიდან შიოლა ღუდუშაურის ციხემდე ექვსი კილომეტრი იქნება.

ფანშეტში სართულებიანი მაღალი ციხეა, სამხრეთიდან მიშენებული აქვს შესასვლელი. ამავე ტიპისაა სიონისა და გარბნის ციხეები. ამ ხეობაზე, ალ. ყაზბეგის მუზეუმიდან ორიდან ათი კილომეტრის მანძილზე, არის კიდევ ხუთი სხვა თავდასაცავი კოშკი.

მუზეუმის უბანში მდებარეობს ჩოფიკაშვილების ორი საგვარეულო ციხე, ხოლო ორნახევარი კილომეტრის დაშორებით იმყოფება ირჯაულას ციხე (სანახევროდ დანგრეული), რომელსაც წკნელ დაყოლებით ნაშენი კედლები და წარწერა აქვს.

„...ამ ჩასავალს ზევით არის თრუსო სამ ხევად“-ო,—წერს ვახუშტი. თრუსოს ხეობა მდიდარია ციხე-კოშკებით, ისინი ოციდან ორმოც კილომეტრამდეა დაშორებული მუზეუმიდან.

მეტად საყურადღებოა სიონის ეკლესია (ბაზილიკა), დიდი აკლდამითა და არქეოლოგიური ძეგლებით. ალ. ყაზბეგის რომანის მიხედვით, ამ მიდამოებში შეხვდა ხევისბერი გოჩა ნუგზარ ერისთავის ჯარს. შემორჩენილია კედლის მხატვრობა. აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის აზრით, სიონის ეკლესია მეხუთე-მეექვსე საუკუნის ძეგლი უნდა იყოს. იგი მდებარეობს სოფ. სიონში, საქართველოს სამხედრო

გზის მახლობლად. აქედან მუზეუმამდე რვანახევარი კილომეტრი იქნება.

სოფ. ყაზბეგიდან რვა კილომეტრის დაშორებით, საქართველოს ძველ სამხედრო გზაზე, ქვენა მთის მისადგომებამდე, სოფ. ახალციხეში შემორჩენილია პატარა ეკლესია (ბაზილიკა). ეს ადგილიც სავსეა არქეოლოგიური ძეგლებით.

საინტერესოა გველეთის ეკლესია (ბაზილიკა), ფრესკებიანი. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს აქედან გადმოუღია ფრესკის ასლი „მხედარი". იგი 1940 წლიდან ყაზბეგის მუზეუმში ინახება. ეს მხატვრობა დათარიღებულია მეთორმეტე საუკუნით. გველეთამდე ცხრა კილომეტრი იქნება მუზეუმიდან.

დიდ ინტერესს იწვევს „ცეცხლის ჯვრის" ეკლესია (ბაზილიკა), რომლის გალავანშიც აღმართულია მაღალი ციხე. აქვეა დარბაზები საიდუმლო გასასვლელებით, ირგვლივ შენობათა ნანგრევებია მიმოფანტული. ეს ადგილი რაიონის ცენტრს 40 კილომეტრითაა დაშორებული.

სოფ. ყაზბეგიდან შორს არაა ე. წ. ახადის ქოხები (ორსართულიანი გამოქვაბულები) და მაღალ კლდეებში შეჭრილი გამოქვაბულები (ქობნი).

„...ამ ხევიდამ გარდავალს გზა გუდამაყარს. ამის ჩრდილოთ არს სტეფანწმინდა, დაბა კარგი. ამის დასავლეთ არს გერგეთი, არაგვს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუნბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაც ასევენია ჩინოს ჯვარი, მშვენიერ ნაშენი, შვენიერს ადგილას". (ვახუშტი).

სამების ეკლესია, რომელსაც აკად. გ. ჩუბინაშვილი XI—XII საუკუნით ათარიღებს, ხოლო რ. შმერლინგი XII—XIV საუკუნით, გარკვევით მოჩანს ალექსანდრე ყაზბეგის მუზეუმიდან, თერგს გაღმა. გერგეტს ზევით მთაზე. მუზეუმიდან სამნახევარი კილომეტრით იქნება დაშორებული და არცთუ ძნელი ასასვლელია.

სამების ტაძრის გალავანში თავს იყრიდა ერი. მოწიწებით იდგა. ქუდმოხდილი ელოდა დეკანოზთა მიერ წარმოთქმულს წყალობას ან რისხვას ღვთისასა. „აქ ნათქვამი სიტყვა იყო წმინდა კანონი მთელის თემისათვის".

სამებიდან ხელისგულივით მოჩანს თერგის მარჯვენა ნაპირზე შეფენილი ალ. ყაზბეგის მშობლიური სოფელი სტეფანწმინდა, რომელსაც გვირგვინივით თავს ადგას ხევის მშვენება — მყინვარწვერი. იგი ხან ნისლშია მიმალული, ხანაც ცივი სითეთრით ქათქათებს

—ცის სვეტად შემდგარი... „მარადის ყინულით შეკვერცხილი“ მწვერვალი აქაური პეიზაჟის უმთავრესი სამკაულია. „გონსა და ცნობას მოსული“ პატარა მოხევე პირველად მას შეჰხედავს გაოცებით. მის სუსხიან მშვენებას, ვინ იცის, რამდენჯერ მიუტაცნია თვალი მომავალი მწერლისათვისაც. ალექსანდრე ყაზბეგის სახლიდან ხომ განსაკუთრებით საუცხოო სანახავია ეს დიდებული, მიუკარებელი მთა, ათასგვარი ფიქრისა და ოცნების ამშლელი.

მუზეუმის სამეცნიერო-ალპინისტურმა ექსპედიციამ 1947 წელს წარმატებით დალაშქრა მყინვარი და ფარდა ჩამოხსნა საიდუმლოებას, რომელზედაც ვახუშტი წერდა: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდამ, და აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და. აბრაჰამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ“.

ეს „მდუმარება“ ყაზბეგის მუზეუმმა დაარღვია; ბეთლემიდან ჩამოტანილი საინტერესო სიძველეთა ძეგლები ახლა მის ფონდს ამშვენებს.

ხევმა არ იცოდა ბატონყმობა. მთელს ხევში არც ერთი თავადი ან აზნაური არ ყოფილა. საქართველოს რუსეთთან შერთებამდე ალექსანდრე ყაზბეგის წინაპრებიც უბრალო მოხევეები იყვნენ, გვარად ჩოფიკაშვილი. ამ გვარში ძალიან გავრცელებული ყოფილა სახელი ყაზბეგ. მეფე ერეკლე და მისი ძე გიორგი მწერლის პაპას— გაბრიელს, ყაზბეგისშვილად იხსენიებენ, ხალხში კი მათ ჩოფიკაშვილად იცნობდნენ. ყაზბეგიანთ სახლ-კარი ჩოფიკაშვილების უბანში იმყოფება, ყაზბეგებსა და ჩოფიკაშვილთა შორის დიდხანს გრძელდებოდა ნათესაური ურთიერთობა.

ქართველი მეფეების დროს ხევი დაყოფილი იყო სამოურავოებად. მოურავებს (მამასახლისებს) მეფე ნიშნავდა და იგი საპატიო თანამდებობად ითვლებოდა. მეფეებს პირადი მიმოწერა ჰქონდათ მოურავებთან. მათ გამოჰყავდათ საჭიროებისამებრ ლაშქარი. ხევი დაყოფილი იყო სამ სამოურავოდ: გორის ციხის, სნოსა და სტეფანწმინდისა. სტეფანწმინდის მოურავებად უკანასკნელად ჩოფიკაშვილები იყვნენ. სტეფანწმინდა ყველაზე დიდი სოფელი იყო, თერგის ხიდის პატრონი, ერთგვარი მცველი დარიალის კარისა და ამიტომ მის მოურავსაც განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. როცა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გამოცოცხლდა, ამ კუთხის მნიშვნელობა უფრო გაიზარდა.

მეფეები დიდი წყალობით ეპყრობოდნენ სტეფანწმინდის მოურავებს — ყაზბეგ ჩოფიკაშვილსა და მის შვილს — გაბრიელს, ალექსანდრე ყაზბეგის პაპას.

„მთიულნი დიდს პატივს სცემდნენ გაბრიელ ყაზბეგს,—წერს ფრონელი,—და თითქმის მეფის ნსგავს კაცადა ჰყავდათ მიჩნეული... გაბრიელს დიდი გავლენა ჰქონდა მთის ხალხზე... გაბრიელის სახელი განთქმული იყო ხევს გარდა მთის შორეულ თემებშიაც“.

გაბრიელი ჭკვიანი და მოხერხებული კაცი იყო. მეფე ერეკლე მას თავაზით მიმართავდა: „კარგად იცი, როგორ უნდა მოიქცე ამ საქმეში...“

საქართველოს რუსეთთან შეერთების წლებში გაბრიელ ჩოფიკაშვილმა განუზომელი დახმარება გაუწია რუსეთის მთავრობას. გაბრიელი ხელს უწყობდა ჯარებისა და მოხელეების მშვიდობიან მგზავრობას, იწვევდა თავის ოჯახში საპატიო პირებს, აძლევდა მათ ტრანსპორტს, სურსათ-სანოვაგეს. მანვე დაამშვიდა აჯანყებული მოხევეები და გზა გაუხსნა ჩრდილოეთიდან მომავალ ჯარს. ასეთი დამსახურებისათვის იმპერატორმა გაბრიელს უბოძა მაიორის ჩინი, აზნაურის წოდება და ახალი გვარი—ყაზბეგი. მას ჩაბარდა მმართველობა „დუშეთიდან დაწყებული ჩერქეზამდის“[1]. ამბობენ, მოხევეთა ადათ-ჩვეულებებს გაბრიელი პატივს სცემდაო. გაბრიელი გარდაიცვალა 1817 წელს. მისი სახე ალ. ყაზბეგმა დახატა „ელგუჯაში“ (სვიმონ ჩოფიკაშვილი).

გაბრიელ ყაზბეგს ჰყავდა რამდენიმე შვილი. მათ შორის, ორი ვაჟი: მიხეილი (მწერლის მამა) და ნიკოლოზი. გაბრიელის გარდაცვალების შემდეგ მისი თანამდებობა მიხეილს ებოძა. იგი დაინიშნა ხევისა და არაგვის „ნაჩალნიკად“. მეტად სასტიკი და შეუბრალებელი მებატონე ყოფილა. მისი სახლის პირდაპირ, თერგის მეორე ნაპირზე, მოხევეთა საერთო სათიბი ველი იყო თურმე, დიდის ტანჯვა-წამებით გაწმენდილი ქვებისაგან და ნამდვილი სიმდიდრე ხალხისათვის. მიხეილს გადაუწყვეტია ხელში ჩაეგდო ეს მშვენიერი სათიბი. მთავრობის ნებართვით, ჯარისკაცებს გადაუნგრევიათ ქვის ღობე-ყორე და ცხენები შეუსევიათ საძოვრად. მთის „ნაჩალნიკი“ არხეინად უყურებდა ამ სეირს, მაგრამ როცა მოხევეებმა ქვებით დაუსეტყვეს სასახლე, მაშინ იკადრა უკან დახევა. მოხევეებმა ძალით გამორეკეს სათიბს შესეული ცხენის ჯოგი. მაგრამ ბევრმა თავიც შესწირა ამ საქმეს. ეს შემთხვევა ალექსანდრე ყაზბეგს აღწერილი აქვს მოთხრობაში „ციკო“.

---

[1] „მოამბე“, 1904. 10, გ. ნათაძე—ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი.

ალექსანდრე ყაზბეგიც მკაფიოდ გვაგრძნობინებს თავისი მამის ბუნებას: „მამაჩემს და დედაჩემს განსაკუთრებული თავისებური ხასიათი ჰქონდათ, უყვარდათ დიდკაცობა და მდიდრულად ცხოვრობდნენ... ყველგან თავისებური პირადობა ეტყობოდათ“.

ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების დროს (1848 წ) ძმები — მიხეილი და ნიკოლოზი, ერთად ცხოვრობდნენ მამაპაპეულ სახლში.

მიხეილი თავს უპირველეს კაცად თვლიდა ხევში და „მომაკვდინებელს ცოდვად მიაჩნდა“, თუ რომელიმე დიდი კაცი საქართველოს სამხედრო გზაზე გაივლიდა და მას არ გაბედნიერებდა თავისი სტუმრობით. „არც ერთი ნამესტნიკი არ ასცდებოდა იმის სახლსა და ხელმწიფეების გავლა-გამოვლის დროს ხომ სულ მოსვენებას დაჰკარგავდა ხოლმე. ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, დიდი მთავარი მიხეილი თავის მეუღლით და ყველა, ვინც კი იმის სიცოცხლის დროს საქართველოში მობრძანდნენ, ყველას დიდი თავგამოდებით უხვდებოდა და ისინიც პურ-მარილს მიიღებდნენ ხოლმე. ეს გარემოება იმის თავმოყვარეობას უალერსებდა და კარგის მასპინძლობის გამოჩენის უნარს უმატებდა. თუმცა ხარჯი დიდი ჰქონდა, მაგრამ ამ ხარჯს თავის სარგებლობაც მოჰქონდა. სტუმარი მუდამ მადლიერი მიდიოდა და უხვი საჩუქრებიც მოსდიოდა“.

მიხეილ ყაზბეგის დასამახსოვრებელი პორტრეტი დაგვიტოვა ალ. პუშკინმა: „...სოფელი ყაზბეგი მთის ძირშია და თავად ყაზბეგს ეკუთვნის. თავადი, ორმოცდახუთიოდე წლის მამაკაცია. ტანით პრეობრაჟენის ფლიგელმანზე მაღალი იქნება. იგი დუქანში ვნახეთ (ასე ეწოდება ქართულ სამიკიტნოს, რომელიც რუსულ სამიკიტნოზე ბევრად უფრო ღარიბია და არცთუ მასზე უფრო სუფთა). კარებში იდგა მუცელგამობერილი რუმბი (ხარის გუდა), რომელსაც ოთხივე ფეხი გაეჩაჩხა. გოლიათი ღვინოს ასხამდა რუმბიდან, მან რამდენიმე კითხვით მომმართა, რაზედაც პატივისცემით ვუპასუხე, როგორც მის წოდებასა და ტანადობას ეკუთვნოდა. ერთმანეთს დიდ მეგობრებად დავშორდით“.

მწერლის მამა მართლაც წარმოსადეგი კაცი ყოფილა, ამასთანავე კარგი ცხენოსანი, მოთამაშე და ენამახვილი.

დედა ალექსანდრე ყაზბეგისა — ესტატე თარხნიშვილის ასული კეკე, მაღალი, ლამაზი ქალი იყო. „საღვთო წერილისა და ხელსაქმის მოყვარული“, ქართული ლიტერატურის მცოდნე. პირველი ქმრისაგან (თუმანოვისაგან), მას სამი ასული მოჰყვა.

ალექსანდრეს დაბადება დიდი ზარზეიმით აღუნიშნავთ. გალავანი ხალხით იყო გაჭედილი. მღეროდნენ, ტაშ-ფანდურს უკრავდ-

ნენ. ცეკვავდნენ. არაჩვეულებრივი ძეობა გადაიხადა მიხეილ ყაზ-ბეგმა — შინამოსამსახურენი ყანწების ავსებას ვერ აუდიოდნენ.

პატარა სანდროს ძიძათ მოუყვანეს სტეფანწმინდელი ფიცხე-ლაურის ცოლი — მაღალი, სანდომიანი ქალი; მალე მეორე ძიძაც გაჩნდა და მომავალი მწერლის აკვანს ძიძები და გამზრდელები უმღეროდნენ ბიძამისის, ნიკოლოზ ყაზბეგის მიერ საგანგებოდ და-წერილ „ნანას“:

კაკანა დაურწიეთ, სულიკოს ეძინება,
გვმართებს ღმერთსა ვავედროთ მისი აღორძინება,
ეეეეე, ძუძუ აწოვე, მკერდს შუქი გეფინება,
  რადგანც ღმერთმა ინება ამ ბიჭის მოვლინება,
ნანა, ალექსანდრეჯან, ჩემ გულს შუქის მფენელო,
დედ-მამის სიხარელო,
ძიას გულის მლხენელო...

ალექსანდრე დაიბადა იმ სახლში, სადაც ახლა მუზეუმია. ეს სახლი შემდეგში გადააკეთეს. ძველი შენობის სურათი (ტუში) შე-ნონახულია მუზეუმში.

ორი ძმის მრავალრიცხოვანი ჯალაბი ერთ კერასთან იყრიდა თავს უშველებელს სამყოფო სახლში და „ყველა ნაირს საოჯახო მხიარულობას თუ უბედურებას ერთად ეგებებოდნენ. კერაში ცე-ცხლს დაანთებდნენ. საკიდულებზე სავსე ქვაბს შემოჰკიდებდნენ და თითონ ჯალაბი ხის სკამებზე შემოუსხდებოდნენ, დედაკაცები სარ-თავ-საკერავით ხელში და მამაკაცები ყალიონის წევით. ვახშმის მოლოდინში სხვადასხვა მოგონებით საუბარს გააბამდნენ და ამით თავს იქცევდნენ. კალთაში განაბული პატარა სანდროც უსმენდა საუბრებს საქართველოს წარსულზე, განსაკუთრებით ერეკლე მე-ფეზე. ხევის გმირებზე...“[1]

მიხეილ ყაზბეგის ოჯახი დიდ ხანს ცხოვრობდა სოფ. ქვეშეთ-ში, სადაც იმყოფებოდა მთის ოლქის „ნაჩალნიკის“ რეზიდენცია. პატარა ალექსანდრე აქაც ბუნების წალკოტში იზრდებოდა. სახლს გარშემო ჰქონდა ტყე და მინდორი, თხილითა და შვინ-დით სავსე. ქვეშეთი ლამაზი ადგილია. მქუხარე არაგვში ბავშვები თევზაობდნენ. ახლოს ცივი, ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა, ირგვ-ლივ მთა-გორები ტყით იყო დაფარული. დედა ამბობდა თურმე: „ვენაცვალე ჩემს ალექსანდრეს, ხარობს მინდორზედ სირბილით და

[1] „მნათობი“, 1924, № 5

თამაშით. სტეფანწმიდაში მეტად შემწყვდეული იყო, თავისუფალი სარბიელი არ ჰქონდა: დიდი გზატკეცილია, მუდამ მოძრაობაა და სულ გული მისკდებოდა, ცხენებმა არ გათელონ"[1]-ო. (იმ დროს საქართველოს სამხედრო გზა ყაზბეგიანთ სასახლის წინ გადიოდა).

შვილის შეძენის შემდეგ, მიხ. ყაზბეგმა გადაწყვიტა მთის ბატონისათვის შესაფერი სასახლე ჰქონოდა. 1858 წელს, მართლაც, დაამთავრა მამაპაპეული შენობის ორსართულიან სახლად გადაკეთება. სასახლე დაუგეგმავთ მოწვეულ სპეციალისტებს ევროპულ სტილზე, ფართო აივნებით (ზემოთა და ქვემოთ) თერგისაკენ, ჰოლანდიური ბუხრებითა და თაღოვანი ფანჯრებით.

ზედა აივანი დგას მაღალ ცილინდრისებურ ანდეზიტის ქვის სვეტებზე. შენობას აქვს თერთმეტი დარბაზი და ორი პატარა მოდგმული ოთახი. დახურულია თუნუქით.

ყაზბეგიანთ ეს უზარმაზარი სასახლე, სადაც გაატარა ალექსანდრე ყაზბეგმა სიცოცხლის უდიდესი ნაწილი და სადაც ამჟამად მისი სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმია, აღმართულია თერგის მომაღლო ნაპირზე. იგი ზვიადად გაჰყურებს მოუსვენარ თერგსა და პირქუშად გარინდულ მყინვარს. აღმოსავლეთიდან საშინლად პირდაჩაჩხული ყურო უდგას დარაჯად და ირგვლივ ყველაფერი პიტალო სიპებითაა შეჯავშნული. პატარა ალექსანდრეს ბავშვობიდანვე შეეძლო აქედან თვალი ედევნებინა ფიწალოებზე გადაფრენილი რქაჯმუხი ჯიხვებისათვის, დამტკბარიყო მათი სილამაზით.

თერგის ორივე ნაპირზე, ხიდის თავსა და ბოლოში, მიხეილმა ააშენა დუქნები.

მიხ. ყაზბეგის სახლი მორთული იყო ფუფუნებით. ავეჯი გამოწერილი ჰქონდათ სატახტო ქალაქიდან. ამასთან, ძვირფას ნივთებსაც იღებდნენ საჩუქრად; 50-იან წლებში ფორტეპიანოც კი ჰქონდათ სტეფანწმინდაში.

ამავე გალავანში, მუზეუმის აღმოსავლეთით, დგას ალექსანდრეს ბიძაშვილის, დიმიტრი ყაზბეგის ერთსართულიანი სასახლე (6 ოთახი). მას აქვს დიდი, მაღალსვეტებიანი აივანი. კარები და ფანჯრები ორნამენტებითაა შემკული. ამ შენობაში ახლა საშუალო სკოლაა მოთავსებული.

ორ სასახლეს შუა სოლივით შეჭრილი ოროთახიანი სახლი ეკუთვნოდა ალექს. ყაზბეგის ძალუას ქოსერხანს. მუზეუმის ჩრდილოეთით ალ. ყაზბეგის ძველ თანამოგვარეთა — ჩოფიკაშვი-

---

[1] „მნათობი", 1924, № 5.

ლთა სახლებია, ხოლო სამხრეთით — ჩოფიკაშვილების საგვარეულო სასაფლაო.

ალ. ყაზბეგის სასახლის გვერდით აღმართულია დაბალი გალავნით შემოზღუდული თლილი ქვის ტაძარი. აქ მოუნათლავთ ალექსანდრე. ტაძრის გალავანში ასაფლავია ალექსანდრეს პაპა, დედა, მამა და ნათესავები. იქვეა ალექსანდრეს საფლავი, ლოდის ძეგლით, რომელზედაც მოხდენილად უთქვამს მოხევე იაგორა ღუდუშაურს:

ძეგლად გელს გადგა სალი კლდე,
დარაჯად ბერი მყინვარი,
და ნანას თერგი მოგითხრობს,
შენს გვერდით ჩამომდინარი.
უდროოდ დაჭაღრებულმა
დღე ვეღარ ნახე მცინარი.

მშობლები ფუფუნებაში ზრდიდნენ, ანებივრებდნენ პატარა სანდროს. ბავშვს თავს ევლებოდნენ მოსამსახურეები, ძიძა-გამზრდელები და მასწავლებლები. სტეფანწმინდა თავისებურ ლიცეუმად იქცა. მიხეილის სასახლეში გაჩნდნენ ფრანგი და გერმანელი გუვერნიორები. შვიდი-რვა წლის ალექსანდრეს საგანგებოდ მოწვეული პედაგოგები ასწავლიდნენ ფრანგულს, ინგლისურს, ცეკვას, სიმღერას. როცა წამოიზარდა — მათემატიკას. დედა ხშირად იტყოდა თურმე: „ჩემი ალექსანდრე ისე უნდა გავზარდო, რომ სამაგალითო იყოს“. მაგრამ მკვირცხლი, ცნობისმოყვარე და შთაბეჭდილებიანი ბიჭი ვერ ეთვისებოდა მდიდრულ დარბაზებს. გაექცეოდა აღმზრდელებს და მთელ დღეს გლეხის ბავშვებთან ატარებდა. განსაკუთრებით უყვარდა მწყემსებთან ყოფნა და მათი ამბების მოსმენა. შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა, თავმოყვარე და ჯიუტი იყო. ამიტომ ტოლამხანაგებთან ხშირად ჰქონდა შეხლა-შემოხლა; დედამაც „მოჩხუბარიძე“ შეარქვა. ეს სახელი ფსევდონიმად გამოიყენა შემდეგ.

ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან ყველაზე მძაფრი იყო გლეხთა ცხოვრების გაცნობა. ნამდვილი დედობა მომავალ მწერალს გაუწია მისმა გამზრდელმა, გლეხის ქალმა ნინომ. რომელსაც მადლიერებით სწერდა, „ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიტოვოს, ან სახსოვრად მოგიძღვნას. ამაზედ უძვირფასესი მე არა მქონდა რა და ამის გამოისობით შენ გიძღვნი ამ რამდენიმე ჩემი გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის აღზრდაშიაც შენ ისეთ მონაწილეობას იღებდი... მოიგონე შენი ზღაპრები „თეთრი ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეკობრეები“ და სხვანი, რომელსაც უფრო

ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. გახსოვს, რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურეების და ყმების მდგომარეობაზე ბატონების ხელში. გახსოვს, შენმა სიტყვებმა რამდენჯერ დამაღვრევინეს მდუღარე ცრემლები და თანამაგრძნობინა ხალხისათვის. და ახლა ამდენის ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემიძლია ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიძლია სიამაყით გითხრა: „შენს გაზრდილში თუ იპოვება რაიმე რიგიანი ბავშობიდანვე ჩანერგილი, ამისი მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმადლობ წარმოუთქმელად“.

12 წლამდე სანდრო სტეფანწმინდაში სწავლობდა. ამ დროისათვის იგი სავსებით ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს. 1860 წელს მიხეილის ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, რომ შვილისათვის შესაფერი განათლება მიეცათ. ბავშვი ჯერ ჰაკესა და კანონიჩის პანსიონში შეიყვანეს. აქ მას ასწავლიდნენ ფრანგულ ენას, მუსიკას, ცეკვას. დედ-მამა ამითაც არ დაკმაყოფილდა, სახლში ბავშვს ორი გუვერნანტკა ჰყავდა — ერთი რუსი, მეორე — ფრანგი... ქართულ ენას ასწავლიდა მწერალი ივანე კერესელიძე („ცისკრის“ რედაქტორი).

1864 წელს სანდრო თბილისის საგუბერნიო გიმნაზიაში გადავიდა. მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. მამის ავადმყოფობის გამო მშობლიურ სახლს დაუბრუნდა სტეფანწმინდაში, ხოლო მიხეილის გარდაცვალების შემდეგ მთელი ოჯახი მას დააწვა თავზე და გიმნაზიის დამთავრება ვერ მოახერხა.

სწავლის გაგრძელების სურვილი მაინც არ ასვენებდა. ოჯახს საამისო სახსარი არ ჰქონდა, მაგრამ მეგობრის იმედით, 1867 წელს ალექსანდრე მოსკოვში გაემგზავრა. მისი უბის წიგნაკში ვკითხულობთ: „მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მე დამრჩა მხოლოდ ერთი მეგობარი, ნამდვილი მეგობარი ბ.. რომელიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტში. მე მივწერე მას ჩემს გამოურკვეველს მდგომარეობაზედ და ვთხოვდი რჩევას. ჩემს წიგნში ჩავუმატე, რომ მსურდა რუსეთს წასვლა და უეჭველად სწავლა. ამაზედ იმან მიპასუხა პირდაპირ. როგორც შეეფერებოდა სვინდისიან კაცს, შემდეგით...

თუ შენ გინდა ნამდვილად სწავლისათვის წამოხვიდე, იმედი გაქვს შენი ძალისა, რომ აღსრულებაში მოიყვან შენს სურვილს, მაშინ წამოდი... მე მივეცი ჩემს თავს სიტყვა, რომ წავიდე და დავუმტკიცო, როგორც ბ., ისე მთელს ქვეყანას, რომ ჩემმა წინანდელმა ნებივრათ აღზრდამ იმდენად არ გამრყვნა, რომ სწავლის გაგრძელება არ შემეძლოს“...

1867 წელს ალ. ყაზბეგი პეტროვორაზუმოვის სამეურნეო აკადემიაში შევიდა თავისუფალ მსმენელად. აქ იგი ცხოვრობდა ბავშვობის მეგობართან, ალ. ბახუტაშვილთან, რომელიც სამედიცინო ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზე სწავლობდა. ისინი ძმურად იყოფდნენ 25 მანეთს, რომელსაც ბახუტაშვილი იღებდა.

სტუდენტობის დროს (1868—1870) ალ. ყაზბეგი ხშირი სტუმარი იყო მამუკა და ლევან ჭავჭავაძეებისა. რომლებიც სოფელ ჩერველენოვოში ცხოვრობდნენ. „ასეთი განმარტოებული სოფლური ცხოვრება მას წერისათვის განწყობას უქმნიდა და ან ოთახში ან კიდევ ბაღში, თალარის ქვეშ ჯდომის დროს მთელი არსებით შემოქმედებას ეძლეოდა... თხზულებების წერაში ღამეებს ათენებდა“.

ალ. ყაზბეგმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი სწავლას. რაზედაც დედას სწერდა: „მე ისეთს სწავლაში ვარ, რომ დღეში ორი საათი მოცლა არა მაქვს. არც კვირაობით და არც ისე დღეობით. მოსკოვს გარეთ შვიდი ვერსია აკადემია და იქ დავდივარ სასწავლებლად დილის ექვსი საათიდან საღამოს ათ საათამდე და ათს საათზე ისევ მოსკოვში მოვდივარ. მე თითონ არა მქონია ჩემი თავის იმედი. რომ ამოდენა ჯდომას გავუძლებდი და ჩემი დაუდგომარი ფეხები სიარულს დაიშლიდნენ“.

მამის სიკვდილის შემდეგ ალ. ყაზბეგის ოჯახი მალე დაქვეითდა და დედა თითქმის ვერავითარ დახმარებას ვერ უწევდა სტუდენტ შვილს. სანდრო კარგა ხანს ითმენდა გაჭირვებას, ბოლოს დაავადმყოფდა და მშობლიურ სტეფანწმინდას მიაწია. მოიწადინა ოჯახის ფეხზე წამოყენება და ბევრ საქმეს მოჰკიდა ხელი.

70-იან წლებში ალ. ყაზბეგმა მეცხვარეობა დაიწყო. მიზნად ჰქონდა უფრო ახლოს გასცნობოდა ხალხის ცხოვრებას: „გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომეგლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამამეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსებს განუშორებლივ თანა სდევს... მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი და მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემს თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს და რაღა დამაყენებდა შინ“.

მწერალი დაუმეგობრდა მოხევე მწყემსებს. ზოგიერთი მათგანის სახე მშვენივრად დაგვიხატა „ნამწყესარის მოგონებებში“, სადაც სტეფანწმინდელი სვიმონა გიგაურის შესახებ წერს: „იგი სწორედ წარმომადგენელი იყო ნამდვილ მთის მეცხვარეებისა: მარდი, გონიერი, სამართლიანი, რომელიც უბრალოდ ჭიასაც არ აწყენინე-

ბდა, მაგრამ თუ უსამართლობას ნახავდა, იმის გული აიმღვრეოდა ჯავრით და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა გადასახდელს... ყველას სურდა მისი ნამგალობა და რასაკვირველია, ასეთი კაცი ჩემთვის სხვაზედ მეტად ფასობდა“.

მწერალს მეგობრული მიმოწერა ჰქონდა მწყემს ამხანაგებთან. ამ წერილებიდან ნათელი ხდება, რატომ აიღო ხელში კომბალი ხევის „ნაჩალნიკის“ მემკვიდრემ... „მახსოვს, რამდენი დღეები გაგვიტეხია მე და შენ ერთად, რამდენი ავდრიანი დღე, ჰექა-ქუხილი. — სწერს სვიმონა გიგაურს, — გახსოვს, როგორ გაკვირვებდათ შენ და დანარჩენ ჩემს ამხანაგებს, რომ მე, ნებიერად აღზრდილმა მებატონემ, კაცმა, რომელსაც შეეძლო მოსვენებით ცხოვრება, შინაურ კერას ვარჩიე მოუსვენარი მინდორში და მთაში ხეტება. სავსე განსაცდელით და შემთხვევებით. მაშინ ბევრს არ ესმოდა მიზეზი ჩემი ამგვარი ცხოვრებისა, ბევრი მძრახავდნენ ამისათვის და მიგონებდნენ ამისათვის ათას ცილისწამებას, მაგრამ შენ, ჩემო მეგობარო, მაშინაც გესმოდა ჩემი გულის მიმართულება და ეხლაც კიდევ მოიგონებ. თუ ჩემს ნაწერებს კითხულობს ვინმე, თუ არ სწყინდება და ბოლომდის ჩადის, ყველა ამისი მიზეზი ჩემი წარსულია. ჩემი მეცხვარეობა და თქვენთან ცხოვრება შვიდი წლის განმავლობაში, რომელმაც ერთი და იგივე მიზანი დაგვანახვა“.

მწერალმა მთელი ხევი და ჩრდილოეთ კავკასია შემოიარა. არა ერთხელ გაუთენებია იმ ადგილებში. სადაც მისი გმირები მოქმედებენ; ბურსაჭირი თუ კაიშაური, სნო თუ გუდამაყარი, ძაუგი თუ ყიზლარი მრავალჯერ შემოუვლია ნაბადწამოსხმულ მწყემს-მწერალს. მუზეუმში გამოფენილ ფოტოსურათზე შავწვერულვაშიან ვაჟკაცს ვხედავთ თოფით ხელში, გვერდზე მოქცეული თუშური ქუდით, მაღალყელიანი საცვეთებით. ასე გამოიყურებოდა ალ. ყაზბეგი მწყემსობაში.

რაც ვერ მისცეს მომავალ მწერალს გუვერნიორებმა, გიმნაზიამ, სამეურნეო აკადემიამ, ყველაფერი ამ თავისუფალ ცხოვრებაში გაიგო. შეიცნო ხალხური სიბრძნე და ამიტომაც ასე ამაყად ამბობდა: „მთელი ჩემი ცხოვრება ხალხში გავატარეო“. ასეთი იყო ალექსანდრე ყაზბეგი, როცა 80-იანი წლების დასაწყისში თბილისში ჩაბრუნდა და სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩნდა. მისმა პირველმა ფელეტონებმა ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და წახალისებული მწერალი თავდავიწყებით გადაეშვა მღელვარე შემოქმედებითი მუშაობის მორევში. „დროების“ რედაქციაში, სასტუმროში თუ ამხანაგების ბინაზე დღე და ღამეს ასწორებდა და გო-

ლიათური ძალით იმორჩილებდა აურაცხელ სიუჟეტებსა და სახეებს. „ამ დროს ლაპარაკი, ფეხის ხმა, რახარუხი, სიცხე, სიცივე მისთვის არ გაერჩია ღმერთს“...

ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ალ. ყაზბეგმა უკვდავი თხზულებებით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა. არც ერთ ქართველ მწერალს ასეთი კოლოსალური ნაყოფიერება არ გამოუჩენია. მკითხველი თვალს ვერ სწყვეტდა გრძნობებით დამუხტულ სტრიქონებს და მოუთმენლად მოელოდა ჟურნალ-გაზეთებში დაწყებული რომანების გაგრძელებას. გრიგოლ ორბელიანიც კი აღფრთოვანებას ვერ იკავებდა,—„დროების“ გვერდებს ყაზბეგის ქება-დიდებით ავსებდა: „ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა, მოჩხუბარიძევ... ქართულს ენაზე მსგავსი არა დაწერილა რა... ქართველების ჰომიროს არს, შაბაშ“...

ამავე წლებში ალ. ყაზბეგი მხურვალედ მონაწილეობს ქართველთა ეროვნულ საქმიანობაში. იგი ახალ აღდგენილი თეატრის ერთი ბურჯთაგანია: თამაშობს სცენაზე, საგასტროლოდ დადის სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში... „თეატრს ისე ვუყურებდით, როგორც საზოგადოების გონების გასახსნელს ერთს საშუალებას“-ო, ამბობდა. ყაზბეგმა („მოხევემ“) დიდი ამაგი დასდო ქართულ სცენას პიესებითაც („არსენა“, „ქეთევან წამებული“).

უბადლო იყო ალ. ყაზბეგი — მოქალაქე. მაკო საფაროვი-აბაშიძისა წერს: „გარეგნული შეხედულება ისეთი ჰქონდა სანდროს, რომ სილამაზით იმასთან ჩვენს დასში ვერავინ მოვიდოდა. ტანადი, დიდრონი, მოცინარე, ჟუჟუნა თვალები. მშვენიერი ტუჩ-კბილი... წრესგადასული ზრდილობიანი იყო“...

ალ. ყაზბეგს სძულდა ცარიზმი. „ერთხელ. — გადმოგვცემს ი. ღუდუშაური, — როდესაც თავის ნაწერებს ერთ მთლიან წიგნში მაწერინებდა, შევიდა ღენერალ გ. ყაზბეგის ოთახში. სადაც ხელმწიფის სურათი ეკიდა, ჩამოიღო, გამოიტანა ჩვენს სამუშაო ოთახში ლანძღვა-გინებით და ფურთხებით გადმოაბრუნა სურათი და უკანა მხარეზე დააწერა:

დაეწვი შენი სამართალი,
შენი კანონდებულება,
შენი აზრი, მოფიქრება,
შენი ბირონცხებულება...

შემდეგ გაისროლა და შიგ ანთებულ ბუხარში შეაგდო ამ სიტყვებით: დაიწოს შენი ჩამომავლობა, თქვენი კანონი, თქვენი მთავრობის ძალაო“.

ალ. ყაზბეგმა ნარ-ეკლით მოფენილი ცხოვრების გზა განვლო. თავისი ზღაპრული ენერგია მოახმარა მშობლიურ ლიტერატურას. ნახევრადმშიერი ათენებდა ღამეებს საწერ მაგიდასთან. მამაპაპეული ბამული. სახლი და მოწყობილობა ხელიდან გამოეცალა (თავის ბიბაშვილს გ. ყაზბეგს მიჰყიდა). სახლის ფული ვალებს დასჭირდა, თვითონ კი უთავშესაფაროდ დარჩა. ასეთ პირობებში მას სისხლს უწამლავდნენ მეფის ცენზურა, პოლიტიკური მტრები და ლიტერატურული მეშურნენი. დევკაცის სულმაც ვეღარ გაუძლო ამდენ განსაცდელს, დასნეულდა და ტანჯული სიცოცხლე სულით ავადმყოფთა პალატაში დაამთავრა.

სამშობლომ ღირსეულად დაიტირა სასახელო შვილი. ერის მეთაური ილია ქავჭავაძე ამბობდა: „ორჯერ დაბადებულს... ერთი სიკვდილი ვერას უზამს...

ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველის ქართველის გულში ირწეოდა და ასეთ აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს“.

1893 წლის ოქტომბრის ერთ ქარბუქიან დღეს ძვირფასი ნეშტი თბილისიდან სტეფანწმინდაში წაასვენეს. კუბო ხელით გადაიტანეს თოვლში გახვეულ მთებზე და საგვარეულო აკლდამას მიაბარეს. მაღალ საფლავზე ალმართეს ძეგლი.

ალ. ყაზბეგი იბრძოდა სამშობლოს ბედნიერებისათვის. იგი მტლად დაედო შემოქმედებას, რომელსაც ხალხის მომავლისათვის ბრძოლის იარაღად თვლიდა. „მე არც ცოლი, არც შვილი, არც თუ სხვა რომელიმე გულის შემატკივარი არ დამრჩება, თუ საქართველოში ჩვენი დროის პირველის ბელეტრისტის სახელი არ დამრჩა —დამრჩება მისთვის პირველი გულის შემატკივარის სახელი... წმინდაა საგანი. რომელსაც მე ვემსახურები და ქვეყნად ვერც ცა თავისის მრისხანებითა, ვერც ქვესკნელი ჯოჯოხეთის ჭიდილით ვერ შეაჩერებს ჩემის გულის მოძრაობას“.

გმირულ სულს, პატრიოტულ შემართებასა და ზნეობრივ სიწმინდეს ალ. ყაზბეგის შემოქმედება უნდა უმადლოდეს აგრეთვე მშობლიური ხევის ტრადიციებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, რომელსაც მწერალი კარგად იცნობდა.

ბუზეუმის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალა მკაფიოდ გვიჩვენებს ალ. ყაზბეგის შემოქმედების კავშირს ხალხურ პოეზიასთან. ელგუჯა, კობა, იაგო, ციცა, ელბერდი და სხვ. ხალხურ შემოქმედებაში პოულობენ პარალელს.

შემონახულია ა. ყაზბეგის ჩაწერილი მოხევური ფოლკლორული მასალები, მათ შორის ძალიან ბევრი ლექსი რამდენიმე ვარიანტად. ეტყობა, მწერალი ბავშვობიდანვე დაინტერესებულა ხევის ზეპირსიტყვიერებით.

ალ. ყაზბეგს, მის გმირებს მტკიცედ სწამდათ ხალხის მომავალი ბედნიერება. იგი ერთ ლექსში ამბობს:

მოვა დრო, დაჩაგრულები
მამაცად მოიქცევიან,
ერთი წადილით შეკრულნი
ერთს ნდომად გადიქცევიან..

გამარჯვებულმა ხალხმა ღირსეულად დააფასა თავისუფლების მომღერალი მწერალი, მის ნაწერებს გატაცებით კითხულობს საბჭოთა ახალგაზრდობა. ყაზბეგის რომანები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. 1922 წ. ალ. ყაზბეგის მოთხრობა „მოძღვარის" მიხედვით დაიდგა ფილმი „განდევნილი", 1923 წ. — „მამის მკვლელი", ხოლო 1928 წ. — „ელისო". ალ. ყაზბეგის მოთხრობების მიხედვით შექმნილი პიესები დიდი წარმატებით იდგმება სცენაზე.

1934 წელს ალ. ყაზბეგის მშობლიურ სახლში გაიხსნა მუზეუმი, რომლის პირველი დირექტორი იყო ტიციან ტაბიძე. იმავე წლიდან მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობა დაიწყო მუზეუმის ახლანდელმა დირექტორმა სტ. ალიბეგაშვილმა. მუზეუმს გადაეცა მიხეილ ყაზბეგის სასახლე კარის ეკლესიით და დიმ. ყაზბეგის ერთსართულიანი სახლი.

1934 წლიდან მუზეუმი შეუდგა გამოფენის მოსაწყობად საჭირო ექსპონატების შეგროვებას. ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევდა მას ლიტერატურული მუზეუმი. მუზეუმის ფონდი კომპლექტდებოდა ბუნების, რევოლუციამდელი წარსულისა და საბჭოთა პერიოდის მასალით, რადგან იგი, როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მიზნად ისახავს ალ. ყაზბეგის მშობლიური მხარის ყოველმხრივ შესწავლასა და ასახვას. ხანგრძლივი შეგროვებითი მუშაობის შედეგად ალ. ყაზბეგის მუზეუმმა 22.000-მდე ექსპონატს მოუყარა თავი. თავისი მრავალფეროვნებითა და უნიკალობით ამ ფონდს საპატიო ადგილი უკავია ჩვენი რესპუბლიკის საარაიონო მუზეუმთა შორის. ხევის ბუნების. წარსულისა და აწმყოს ჩვენება ხელს უწყობს ალ. ყაზბეგის შემოქმედების უფრო ღრმად გაგებას.

ისტორიის განყოფილებაში ინახება ე. წ. ხევის ბერი გოჩას დროშა. იგი დამზადებულია თეთრი აბრეშუმის ქსოვილისაგან და ორივე მხარეზე დაკერებული აქვს ჯვარი. ასევე საინტერესოა წმ. სამების ეკლესიის მოდელი, გამოთლილი ანდეზიტის მთლიანი ქვისაგან XII—XIII საუკუნეებში. მუზეუმმა უნიკალური კოლექცია ჩამოიტანა ბეთლემის გამოქვაბულიდან. საყურადღებოა VII—VIII საუკუნეების მთლიანი ორნამენტით დაფარული შანდალი, რომელიც ლომის ფეხებზე დგას, ხოლო გვერდებზე მტრედის თავის ფიგურებია გამოსახული. იშვიათი ეგზემპლარია ღვთიშობლის ხატი — დროშა, რომელიც XI—XII საუკუნით თარიღდება. დროშას აქვს ასომთავრული წარწერა. ამავე კოლექციას ეკუთვნის საბალზამე თასი, ხის ლამბაქი, კარის ფირფიტები და სხვ.

ყაზბეგის მუზეუმს მდიდარი ეთნოგრაფიული კოლექცია მოეპოვება. აქ არის მოხევე ქალის ტანსაცმელი, მთლიანი საგულე, ოქრომკედით ნაკერი ახალუხი, საქორწინო კაბა, კაჟიანი თოფები, მოკლეტარიანი ხმლები. აქ ნახავთ მოხეურ წყლის ჭურჭელს, რომლის შესახებაც მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ ნათქვამია:

ნგმო ხელის მომკიდეო,
ტაგანაი მომკიდეო,
თუ ტაგანას არ მაჭკიდებ,
ხელი მაინც მამკიდეო.

აქვე გამოფენილია ფიჭვის საჩირაღე, საკვარე, „საწოლელაი“, „გრძელი შკამი“ და ა. ყაზბეგის მოთხრობებში მოხსენებული სხვა ადგილობრივი ნივთები.

1935 წელს ყაზბეგის რაიონში არქეოლოგიურ დაზვერვას აწარმოებდა ლენინგრადელი მეცნიერი ა. კრუგლოვი. მოპოვებული მასალის ნაწილი გადაეცა ალ. ყაზბეგის მუზეუმს.

1955-56 წ. წ. მუზეუმმა არქეოლოგ ს. გძელიშვილის მონაწილეობით სადაზვერვო მუშაობა ჩაატარა გორისციხეში, სიონში, გარბანში, სნოში, ახალციხეში, ყანობში, ხურთისში, ლარსში, კარკუჩაში, გაიბოტენში, გერგეტში.

ბუნებრივია, რომ ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მთავარ ყურადღებას აქცევს ლიტერატურული ძეგლების შეგროვებას. ყოველწლიურად ახალი მასალით ივსება ალ. ყაზბეგის ფონდი, რომელშიც შედის სხვადასხვა ხელნაწერები, ფოტოსურათები,

რემორიალური ნივთები, მოგონებები. აქ ბევრი უნიკუმია. ასეთია მაგ. ალ. ყაზბეგის დედის ნამზითვი საწოლი, რომელშიც აღიზარდა მწერალი. ალექსანდრეს ტანსაცმლის კარადა, საწერი მაგიდა, კედლის სარკე მაგიდით, შანდალი, ალ. ყაზბეგის აკვანი. აკვანზე ამომწვარია ნადირობის ეპიზოდი. ნინო თოფაძემ მუზეუმს გადასცა ალ. ყაზბეგის ორი უცნობი ხელნაწერი — მამულის გაყიდვის პირობის საბუთები.

მუზეუმი ამაყობს ალ. პუშკინის ხმლით, რომელსაც ნაჭედი ოქროთი აქვს წარწერა „არზრუმი 1829—1830“, მეორე მხარეზე ხმალს ამშვენებს მონოგრამა „ა. ს. პ.“. გადმოცემით, პუშკინისეული უნდა იყოს მუზეუმში დაცული ჩიბუხიც.

1934 წლიდან მუზეუმმა დაიწყო ალ. ყაზბეგზე მოგონებების ჩაწერა, აგრეთვე მოხეური ფოლკლორის შეკრება. ამ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის. ამჟამად მუზეუმის სამეცნიერო არქივში ბევრი საყურადღებო წერილია დაცული, ასეთია ძველი სიგელ-გუჯრები, მოგონებები ალ. ყაზბეგსა და ვაჟა ფშაველაზე, აგრეთვე ხალხოსან დიმ. ყაზბეგზე, გორის საოსტატო სემინარიის საარქივო მასალა ვაჟა ფშაველაზე, მოხეური ანდაზები.

დამუშავებული თემებიდან საყურადღებოა სტ. ალიბეგაშვილის „მოხეური ანდაზები“, ინჟინერ ნ. ჭილაშვილის—„ყაზბეგის რაიონის გეოლოგია და ანდეზიტი“ და სხვ.

1937 წ. მუზეუმმა გამოსცა ს. ყუბანეიშვილის „ვაჟა ფშაველა. დოკუმენტები და მასალები“.

მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 6.000-ზე მეტ წიგნსა და ჟურნალს ითვლის. მათ შორის ბევრი უნიკალური გამოცემაა. ასეთია, არისტოფანეს კომედიები, გამოცემული ამსტერდამში 1670 წ. ვოლტერის „ჰენრიადა“ და „თეატრი“, გამოცემული 1821—22 წწ. ფრანგულად. „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეული გამოცემა, „ვეფხის ტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა, ჟურნალ „ცისკრისა“ და „მოამბის“ ნომრები და სხვ.

მუზეუმმა საკმაოდ მდიდარი ფოტოარქივი შექმნა, ზოგიერთი საინტერესო ფოტოდედანი გამოავლინა, სურათები გადაუღო მწერლის თანამედროვეებს.

უნიკალურია სურათები: ალ. ყაზბეგი — გიმნაზისტი; ალ. ყაზბეგი — მოსკოვში გამგზავრების წინ; ალ. ყაზბეგი ხევსურებთან; მიხეილ ყაზბეგი, ნიკოლოზ ყაზბეგი; ალ. ყაზბეგის მწყემსობის დროინდელი მეგობრები — იაგორა ღუდუშაური, გახუტა ხეთაგუ-

რი, სვიმონ ჩეკიაშვილი, დავით გიგაური; ალექსანდრეს მთხრობლები —ლეგა ფიცხელაური; ციკო და სხვ. ფოტოარქივი 300-მდე ერთეულს შეიცავს.

საკუთარი ინიციატივით მოაწყო მუზეუმმა ფონდსაცავი.

მუზეუმის ეზოში დაცულია ყაზბეგიანთ კარის ეკლესია. იგი, ოგორც მემორიალური ნაგებობა, შენარჩუნებულია, მაგრამ შიგნით ორ სართულად გადაკეთდა. მეორე სართული წარმოადგენს მრგვალ აივანს, სადაც ფონდის მოსათავსებლად მოეწყო დახურული ვიტრინები.

პირველი ექსპოზიცია ყაზბეგის მუზეუმში 1935 წელს მოეწყო. წარმოდგენილი იყო ბუნების, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და სოციალისტური მშენებლობის კოლექციები. უმთავრესი ადგილი დაეთმო თემებს: „ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება და შემოქმედება“. „ალ. პუშკინის მოგზაურობა არზრუმში 1829 წელს“, „ვაჟა ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება“.

იმ დროს მუზეუმის ფონდი მეტად ღარიბი იყო ლიტერატურული მასალით და ცოტად თუ ბევრად გამართული ექსპოზიციის მოწყობაც ვერ მოხერხდებოდა.

1948 წელს დიდი გულთბილობით აღინიშნა ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 100 წლისთავი. მწერლის მშობლიური რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში, ალპურ საძოვრებზე, ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურში, საწარმოო დაწესებულებებში, კლუბებსა, ბიბლიოთეკებსა და სკოლებში ჩატარდა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები. იუბილესათვის მზადების პერიოდში ყაზბეგელებმა შეაკეთეს მწერლის მშობლიური სახლი, ქვის ლამაზი მოაჯირი შემოავლეს მას. ამავე დროს, მოეწყო ალ. ყაზბეგის ცხოვრების, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიცია. საიუბილეო ექსპოზიციას დაეთმო ორი დარბაზი. პირველ დარბაზში წარმოდგენილი იქნა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გამომხატველი სურათები, მაკეტები და ტექსტები, ხოლო მეორეში — მემორიალური ნივთები.

ერთდროულად, მუზეუმის დანარჩენ დარბაზებში გაიხსნა ხევის ბუნების, რევოლუციამდელი წარსულისა და საბჭოთა პერიოდის გამოფენები.

1948 წლის 3 ოქტომბერს დიდი მწერლის საფლავთან შედგა მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის მშრომელი მოსახლეობა და თბილისელი სტუმრები. იმავე დღეს საზეიმოდ გაიხსნა მუზე-

უმის ექსპოზიცია, რომელიც ათასობით დამთვალიერებელმა ინახულა.

შემდეგში მუზეუმის ფონდი უფრო გამდიდრდა. არსებული ექსპოზიციის ნაკლოვანებებიც ნათელი გახდა. იგი გადატვირთული იყო გრაფიკული მასალით და ფერების სიჭრელე აკადემიურ სიღრმეს უკარგავდა. მემორიალური მასალა გამოთიშული იყო ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების საერთო შინაარსიდან.

1957—1958 წლებში მუზეუმმა მოაწყო ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ახალი ექსპოზიცია. წინასწარ შესწავლილი იქნა რესპუბლიკის ყველა მუზეუმისა და არქივის ფონდი. შემოქმედების ამსახველ მასალას წამყვანი ადგილი დაეთმო, დამუშავდა მხატვრული ილუსტრაციის თემები. ალ. ყაზბეგის აკვანი, რომელიც უწინ ექსპოზიციის ბოლოს იყო მოთავსებული, ამჟამად გამოფენილია პირველ დარბაზში, თემასთან: ალ. ყაზბეგის ბავშვობა. ამავე პრინციპითაა გამოყენებული სხვა მემორიალური ექსპონატებიც.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შეიძინა და ყაზბეგის მუზეუმს გადასცა კ. სანაძის მხატვრული ტილო — „ალექსანდრე ყაზბეგი ცხვარში“.

ექსპოზიციის წარმატებას ხელი შეუწყო გემოვნებით დამზადებულმა სათავსოებმა — ვიტრინებმა, ჩარჩოებმა და სხვ.

გამშვენიერდა მუზეუმის ეზო. გაკეთდა აუზი.

გაზაფხულობით მწვრილის ძეგლი ჩაფლულია ვარდ-ყვავილებში. ბედნიერი მოხვევ სიამოვნებით შეჰყურებს საამაყო თანამემამულის აღორძინებულ სახლ-კარს.

ლამაზად გამოუხატავს ეს გრძნობა ალექსანდრე გომიაშვილს:

კარკუჩის წისქვილებიდან
ქარმა ნისლები აჰკარა,
გადაიარა სნოს ხევი,
მაყრიონს მისდევს მაყარად.
მღერიან მოხევეები,
ონისეა თუ მაყვალა —
იმათ გზას, ტანჯვას, სიხარულს
მზემ სხივი გადააყარა,
და ყაზბეგიანთ გორიდან
ერთ სახელგადამყივარი —
დგას დათოვლილი ორი მთა:
ალექსანდრე და მყინვარი.

ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმი
ჩარგალში

მწერლის შინაგან სამყაროს, მისი სულისა და გონების მოძრაობას ვერსად ჩაწვდები ისე ღრმად, როგორც გარემოში, სადაც ის ღაიბადა და აღიზარდა, სადაც უცხოვრია, უშრომია, დღენი თვისი გაულევია. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა ჩარგალში—ვაჟა ფშაველას მშობლიურ სოფელში.

როდესაც დუშეთიდან ჩარგალისაკენ მიმავალ გზას დაადგებით და მწვანედ აბიბინებულ არაგვის ჭალებს გადახედავთ, თქვენს თვალწინ ვაჟას სამყარო ცოცხლდება.

გიქმაჟი, ბროლკამკამა მთის წყაროები... ლურჯად მოლივლივე კრიალა ცა... ათრთოლებული ხეები... ქუჩი ცვრიანი... ნიავთან გაყუჩებული ჯიხვი...

შთაბეჭდილება გიპყრობთ, რომ ფეხი შედგით ბუნების გრანდიოზულ ტაძარში, სადაც დიად ქურუმებს — ნისლით შებურვილ მთებს მუხლი მოუდრეკიათ დიდი მგოსნის წინაშე და მის უკვდავ საგალობლებს იმეორებენ...

თუშ-ფშავ-ხევსურეთი მუდამ ითვლებოდა გმირული სულისკვეთებისა და საქართველოსათვის რაინდული თავდადების სიმბოლოდ. ზღაპრული მშვენებით შემკული ეს მხარე აროწივებს უზრდიდა ივერიის ლაშქარს. მათი აკაშკაშებული ხმლები თავზარს სცემდა მტერს და სამზეოზე დარჩენილი გორდაც მოუსვენრობდა, ბრძოლის წადილით თრთოდა და თავისუფლების დასაცავად ეძახდა ვაჟკაცებს.

ვაჟა ფშაველას მშობელი მხარე — ფშავი, ამჟამად დუშეთის რაიონში შედის.

ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ხოლო ხევსურეთის აღმოსავლის მთას იქით არს ფშაური, რომელსაც შუაში უდის თეთრი არაგვი, და მოერთვიან ხევნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჯვარს, და აქვთ სასოება მას ზედა ფრიად“...

მე-19 საუკუნის დასაწყისში ფშავის თემთა შორის ვაჟა ფშაველას მშობლიური ჩარგალიც იხსენიება. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ეს სოფელი მანამდე დაუსახლებელი იყო. ხალხური გადმოცემით,

ამ სოფლის პირველი მოსახლე ყოფილა ვინმე „ჩარგალი“ და ადგილსაც მისი სახელი შერქმევია[1].

„ჩარგალი მთაგორიანია, ჩავარდნილი ერთ ხეობაში, რომელსაც შუაზე ჩამოუდის გიჟმაჟი ჩარგლულა. ჩარგლულას პირი ღასავლეთისაკენ უქნია, არაგვისაკენ მიისწრაფვის. ამ ალაგს ჩარგლის კარი ჰქვიან. ჩარგლის კარის მიდამოებში ბევრი რკინისა და გოგირდის წყლებია. ჩარგალს თითქმის ყოველი მხრიდან დარაჯებად შემოჰხვევია ცადაწვდენილი მთები, სალი კლდეები, რომელთა ჭიუხებში ძველ დროს ჯიხვნი და არჩვნი ბუდობდნენ. ამ მთების სახელებია: ჩარგალის თავი, სახოვეთთავი, საშუბო, ახუნი, დიყულის გორი, სარაყდრის გორი და ასავალთგორი.

ჩარგალის სამ უმთავრეს ნაწილს შეადგენს: თვითონ ჩარგალი, ბოწახი და აფხუშო. ყველას ერთად კი ჩარგალი ჰქვიან. ამათში ულამაზესი აფხუშოა, სადაც უფრო მაღალი მთებია. ჩარგალი შემოსილია მშვენიერი ტყით, რომელიც მაღლა მთამდე ასულა და შემდეგ თვისი ალაგი დეკასათვის დაუთმია“.

ვაჟა ფშაველას წინაპრები ჯერ აფხუშოს სახლობდნენ. ეს მთიანი სოფელი სხვაზე შეუვალი ყოფილა მტერთათვის. მაგრამ მოთარეშენი აფხუშოშიაც აღწევდნენ და ძარცვავდნენ მას... ერთხელ აფხუშოელებს ლეკები დასცემიან და სამოცი აფხუშოელი ქალ-ვაჟი ტყვედ გაუტაციათ და ჟინვალში თავიანთ ბელადისათვის მიუყვანიათ. ლეკის ბელადს ტყვეები დაუთვლია და გაკვირვებით უთქვამს: არც ერთი თვალმარცხია და არც ერთი კოჭლიო[2].

ამ დროს აფხუშოელები სათიბარ მთებში ყოფილან ასულნი და სახლში მხოლოდ ბავშვები და ქალებიღა დარჩენილან. მტაცებლებმა გაძარცული სოფელი და მისი ციხე-სიმაგრე ცეცხლს მისცეს. სათიბარში მყოფ მამაკაცებს ცეცხლის ალი რომ შეუმჩნევიათ, წამოუვლიათ ხელი ზოგს ცელისთვის, ზოგს იარაღისათვის და ღაჭაურას მეთაურობით უკან დასდევნებიან ლეკებს, დასწევიან და ისე ამოუჟლეტიათ, რომ ამბის წამღებიც აღარ გადარჩენილა. თვითონ ღაჭაურა იმათ ბელადს შეჰბმია. ლეკს ღაჭაურასთვის თავში დაუკრავს ხმალი, მუზარადიც ჩაუჭრია, მაგრამ ღაჭაურა გადარჩენილა და ლეკთა ბელადიც მოუკლავს.

ვაჟა ფშაველას ძმის, სანდრო რაზიკაშვილის ცნობით, როგორც ჩარგალში, ისე აფხუშოში ძველად ციხე-გალავნებიც ჰქონიათ. ახლა ამ ციხე-სიმაგრეების ადგილზე მრავლად ჰყრია უზარმაზარი ქვები და ღორღი, ამოსულა თვალუწვდენელი იფნის ხეები, რომე-

[1] ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა. დოკუმენტები და მასალები. 1937.
[2] ლიტერატურის მატიანე № 1—2. 1940 გვ. 226.

ლთა შორის აფხუშოელთ აუშენებიათ ქვის პატარა ქოხი. ჭოხზე სიპი ქვა დაუფარებიათ და ეს ადგილი სალოცავად გაუხდიათ.

აქვე ინახებოდა თურმე ღაჭაურას მუზარადიც, რომელზეც ხმლით ჩაჭრილი ალაგი სანთლით იყო ამოლესილი. შემდეგში ეს მუზარადი ჩარგლის ეკლესიაში ყოფილა დასვენებული. ხატობის დროს, როდესაც ხევისბერი „საკარგყმოს" დალევდა, უპირველესად ღაჭაურას შესანდობარს იტყოდა და ლუდით სავსე მუზარადს დასცლიდა. ამ ხატობაში ვაჟაც ბევრჯერ ყოფილა, საკარგყმოც ბევრჯერ დაულევია და ღაჭაურას მუზარადიც გამოუცლია. აფხუშოელთა გმირობას ხალხური ლექსიც უმღერის.

ჩარგალის ერთ-ერთ ნაციხარზეც ყოფილა ასეთი სალოცავი, სადაც დიდი ხატობა სცოდნიათ. იქ ლუდის სადუღებლად ვეება ქვაბი ეკიდა თურმე და იმ ქვაბში მოდუღებულ ლუდს მლოცველთ ამევდნენ. მეორე ნაციხარს სულა-კურდღლიანი ჰქვია. მის გარშემო ბევრი აკლდამაა შემორჩენილი.

ხშირი თავდასხმების გამო აფხუშოს მოსახლეობის ნაწილი ფშავის სხვადასხვა ადგილებში გადასახლებულა. ზოგიერთი გვარი ჩარგალში დამკვიდრებულა, ამათ შორის ყოფილა ვაჟას წინაპარი რაზიკა. მეფე ერეკლეს ერთ სიგელში ჩარგლის მცხოვრებთა შორის ქუმსი რაზიკაშვილიც იხსენიება.

იმასაც ამბობენ, რომ რაზიკაშვილთა წინაპრები მოხეენი იყვნენო,—გვარად ღუდუშაური; ოდესღაც სნოში სახლობდნენ, მერე ფშავში გადმოსულან. — ჯერ ცაბაურას თემში, შემდეგ კი აფხუშოშიო.

რაზიკაანთ შორის სახელი გაუთქვამს იმედას. იგი ყოფილა გამბედავი, ღონიერი და გონიერი. ერთხელ. მეფე ერეკლესაც შეჰკადრა თურმე: „ორი შენი მიბრძანე. ბატონო, მაგრამ მესამე კი ჩემი გაიგონეო!".

იმედას შვილი — ბერო, მამასავით ძლიერი, მამაცი და ხალხისათვის თავდადებული ყოფილა. მისი უფროსი ვაჟი — გივი, პაპა ვაჟა ფშაველასი. აგრეთვე უებრო რაინდი იყო, ქველი, სიკეთითა და ვაჟკაცობით ცნობილი.

გივის სამი ძე ჰყავდა: ბოიგარი (ბერო), პავლე (ვაჟას მამა) და ნადირა. ბოიგარი გატაცებული მონადირე ყოფილა. ვაჟას ძმის, სანდროს სიტყვით, ის ხშირად იტყოდა თურმე: „სამჯერ მაქვს აზარი ათავებული* და თოფიც სამჯერ მაქვს მიწაში დამარხულიო".

---

* „აზარის ათავება" ასი ნადირის მოკვლას ნიშნავს. ყოველი „აზარის" შემდეგ მონადირე „ცოდვების მოსანანიებლად" თოფს სამი დღით მიწაში მარხავდა.

ბოიგარი მეცხვარე იყო და ვაჟას მამა, პავლე, პატარაობისას ხშირად დაჰყავდა მთაში.

ვაჟა ფშაველა გვიამბობს: „მამაჩემს სკოლა თვალით არ ენახა. ანბანი მწყემსობაში შეესწავლა ჩუმად, ქურდულად, რადგან დედამამა უშლიდა თურმე სწავლას. მამა თოფით დასდევდა მოსაკლავად, სწავლა ეშმაკეული საქმეაო. მაგრამ მამაჩემი თურმე თავისას არ იშლიდა. განაგრძობდა სწავლას, სწერდა სიპ ქვაზე, რაიც ფშავის ხევში ბრავალია. ქაღალდს ვინ აღირსებდა ანკი? ფშავის ხევს იმ დროს ხევისბერები და მკითხავ-ქადაგები განაგებდნენ, თემთა ბატონ-პატრონნი ისინი იყვნენ, მთელი ხალხი მუშაში ეჭირათ და საითაც უნდოდათ. იქითკენ უზამდენ თავს, რამდენიც ჰსურდათ, იმდენს ხარჯს შეაწერდნენ ხატის სასარგებლოდ, რომელიც ბოლოს იმათ ჯიბეს და კალთას არ ასცდებოდა. მამაჩემის სწავლა იმათ არ ეპიტნავებოდა. რადგან მათთვის სასარგებლოს ეს სწავლა არას მოასწავებდა და საზიანოს კი ბევრს“.

პოეტის მამა ჩარგლიდან კახეთში გაპარულა, სამი-ოთხი წელი მონასტერში გაუტარებია, შემდეგ დიაკვნობაც მიუღია და ფშავში გაუმწესებიათ. პავლემ ადრე შეირთო ცოლი.

„დედაჩემი გულქანი იყო ივრელი ქალი, სოფელ სხლოვნიდან, — წერს ვაჟა ფშაველა, — ფხიკლიანთ გვარისა, სადაც მოსახლეობენ დღესაც მისი ნათესავნი. სათემო გვარი ფხიკლეშვილებისა არის გაბიდოური... წერა-კითხვა დედაჩემმა არ იცოდა. თუმცა ბუნებით ფრიად ნიჭიერი იყო, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე; დედიჩემის ქველობა დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი. ისე ჩავიდა საფლავში, რომ ერთს არავის ახსოვს იმას გაეჯავრებინოს. არა, გაჯავრებულს, მლანძღველს. რაც აქაურ დედაკაცებში ხშირი მოვლენაა, სიცილით მიეგებებრდა და სამაგიეროს გადაუხდელობით შეარცხვენდა, მოარბილებდა... ჩვენი სახლი ზედ გზის პირას იდგა და განუწყვეტლივ მიდ-მოდიოდა მგზავრი, თუ ფშაველი, თუ ხევსური. დედაჩემი არ უყურებდა იმას, ვინ შეძლებული იყო, ვინ მაძღარი, ყველა მშიერი ეგონა და ყველას უმასპინძლდებოდა: „დაისვენეთ, პური გემშევათ, შვილო!“. — ეს იყო პირველი მისი სიტყვები შეხვედრის დროს. ამის გამო ჩვენ სახლში გამოულეველი იყო სტუმარი“.

დაქორწინებისას პავლე რაზიკაშვილი ძმებთან ერთად ცხოვრობდა მამაპაპეულ სახლში. რომლის შესახებაც ავტობიოგრაფიაში შენიშნავს: „ჩემი სული სიყმაწვილითვე ჩემის მშობლების სადგომს სახლში ვერა თავსდებოდა, რადგანაც სახლი უბრალოთ მსხვილის

ხეებით ყორეზედ იყო დაფარებული. ყოველგნით სიცივე უბერავდა, ბოლი დგებოდა. ზამთარში თვალები გვეთბრებოდა, ქვეშაგები ჩვენ არა გვქონდა. საბძელში, ბურდოში ვწვებოდით. ზედ ერთს ზედსაცმს ტყავს ვიხურავდით"[1].

როცა პავლეს შვილები შეეძინა, ძმები გაიყარნენ. სანდრო რაზიკაშვილი ასე გადმოგვცემს დედის ნაბობს: „—სულ ცარიელტარიელნი გამოგვრეკეს... ერთი ქვაბი, ორი ხის ჯამი, ორი ხის კოვზი, ერთი ძველი ფარდაგი მოგვცეს და ისე გამოგვისტუმრეს. პირველად ძალიან გაგვიჭირდა ცხოვრება. მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ. სასოწარკვეთილებას არ მივეცით თავი და მხნედ შევუდექით შრომას".

ვაჟა ფშაველას მამა იყო განვითარებული. ლაპაზი, ლონიერი კაცი. გამოწვრილი ჰქონდა ქართული ჟურნალ-გაზეთები. იძენდა ახალ წიგნებს და სიამოვნებდა შვილებთან საუბარი, საინტერესო თხზულებების კითხვა. ზეპირად იცოდა თურმე „ეეფხისტყაოსანი", დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ზოგიერთი ლექსი. უყვარდა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ გმირთა თაეგადასავალი. სამშობლოს წარსული. შეევრმეტყველი კაცი ყოფილა.

„დანაშაულობისათვის სიტყვით სასტიკად შვილების დასჯელი, უმისოდ ჩვენი ტოლი და ამხანაგი იყო, გვებაასებოდა ათას საგანზე. საბაასო საგანს თვითონვე გამოსძებნიდა. უყვარდა დიდებულ, გამოჩენილ ისტორიულ პირებზე ლაპარაკი. დავით აღმაშენებელი უყვარდა ყველაზე მეტად ჩვენს მეფეებში. აღტაცებით იტყოდა ხოლმე: „იცით, დავით აღმაშენებელს წიგნის კითხვა როგორ უყვარდა: ნადირობის დროსაც კი,—არ ვიტყვი ლაშქრობაში,—როცა სადმე მოსახვევში გეზზე იდგა და ნადირს უცდიდა, ცალ ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში მშვილდ-ისარიო"... უცხოელებთაგანი — ნაპოლეონი და გამბეტა. მწერალთაგანი — ვიქტორ ჰიუგო... ერთხელ პარლამენტში ვიქტორ ჰიუგო სიტყვას ამბობდა და მთელმა პარლამენტმა დაუყვირა: „გაჩუმდიო!"—თქვენ გაჩუმდით. — მიუგო ჰიუგომ და განაგრძო თავისი სიტყვა, — არა გაქვთ ნება, ბოლომდის არ მოისმინოთ ჩემი სიტყვაო"... აი, ინისთანა ბოლრა უნდა გაზარდოს დედამ!". ეპიტეტი „ბოლრა" დიდებულ ადამიანების სამკაულად ჰქონდა მამაჩემს შენახული მათ დიდბუნებოვანობის, შეუდრეკელობის, მძლავრობის, ენერგიის სიდიადის".

პავლე რაზიკაშვილმა პირადი გამჭრიახობითა და ნიჭით გაიკაფა ცხოვრების გზა. ამასვე უნერგავდა თავის შვილებს. უდაბური

[1] ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა. დოკუმენტები და მასალები. 1937.

მთების სიღრმეში, ფშაური ადათ-წესების სამყაროში, წარმართულ კერპებთან ნაზიარებ მომავალ პოეტს ნაპოლეონის სახელიც ესმოდა, ჰიუგოს რომანებს კითხულობდა. ძველისა და ახლის ამ უცნაურ სინთეზში იბადებოდა დიდი მწერლის მსოფლმხედველობა.

სახლი. რომელშიც ვაჟამ მთელი ცხოვრება გაატარა და ახლა მუზეუმია მოთავსებული, მამამისმა ააგო 60-ან წლებში.

ვაჟას მშობლებს ექვსი შვილი ჰყავდათ: ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. ყველაზე უფროსს გიორგი ერქვა, მისი მომდევნო იყო მართა, შემდეგ ლუკა (ვაჟა ფშაველა), ნიკო (ბაჩანა), თედო და სულ უმცროსი — სანდრო.

„საცხოვრებლად ორი ოთახი და ერთი დარბაზი გვქონდა,— წერს სანდრო რაზიკაშვილი,—ერთი ოთახი განსაკუთრებით მამაჩემს ეკავა, ხოლო მეორე ოთახში დედაჩემი იყო თავის შვილებითა. დარბაზი კი საერთო იყო. სასმელ-საჭმელი სულ ამ დარბაზში გვქონდა. პურსაც კეცებში ამ დარბაზში ვაცხობდით. ამ დარბაზის ძუაზე კერა იყო გამართული. თავში და ბოლოში რკინის ფილები ეწყო, რაზედაც მთელი წიფლის ხეს წავუდებდით, შეეუკეთებდით სხვა შეშასაც და ზედ ამ შეშებზე ორივე მხარეს კეცებს მივაყუღებდით ხოლმე პურისათვის, კერის მაღლა, ჭერში საკომი (საკომლე) იყო ამოჭრილი, საიდანაც ბოლი ადიოდა. ჭერიდან კერაზე ჩამოკიდებული იყო რკინის საკიდული, რაზედაც ყურიან ქვაბებს ვკიდებდით საჭმლის მოსახარშავად. კერას აქეთ-იქით ჩვენ მოვუსხდებოდით: ერთ მხარეს კაცები, ხოლო მეორე მხარეს ქალები. ვინაიდან ეს დარბაზი მეტისმეტად ფარღალალა იყო, უბედურობა იყო ხოლმე დიდი ცეცხლი, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც წინ მუცელზე გვცხელოდა, ზურგები კი გაყინული გვქონდა სიცივისაგან. ამასთანავე იდგა ხოლმე საშინელი ბოლი. ამ კერის თავში გვედგა ხოლმე ერთი დიდი ქილა კაპარით (ბურახით) სავსე და ერთიც საფუარით სავსე ქოთანი პურის გასაფუებლად“.

მოგონებები მკაფიოდ წარმოგვიდგენს მომავალი პოეტის ოჯახური ცხოვრების სურათს: „როგორც მამაჩემი, ისე დედაჩემი ძალიან მშრომელები იყვნენ, — გადმოგვცემს სანდრო რაზიკაშვილი, —ისინი ისე მუშაობდნენ, როგორც დანარჩენი ფშაველები. მამაჩემს თვითონ ეჭირა ხოლმე გუთანი და შვილები კი მეხრეებად ვიყავით ხოლმე. სამკალ-სათიბზედაც თვითონ დადიოდა. დედაჩემმა ხომ დაღალვა არ იცოდა რა იყო. შინაურს საქმეს სულ ის აკეთებდა: პურის გამოცხობა, ძროხების მოწველა, მათი დაბანაკება, საქონლისათვის საჭმელის დაყრა, რძის შედედება, შვილებისთვის ტანისა-

მოსის შეკერვა და მოქსოვა სულ იძის საქმე იყო. როდესაც დაფქული გამოგველეოდა, საფქვავი წისქვილშიაც კი მას მიჰქონდა. ბევრჯელ გათენებისას რომ გამომღვიძებია, მინახავს, დედაჩემი ბუხართან ზის და გააქვს საჩეჩელს წკრიალი, ის მატყლსა სჩეჩდა. ბევრჯელ ღამეს ისე გაათენებდა, რომ ლოგინში არც კი დაწვებოდა, მეტადრე როდესაც მამაჩემის მოლოდინში იყო. მამაჩემი მაშინ მღვდლად იყო ხევსურეთში და იქიდან წამოსული ზოგჯერ გათენებისას მოვიდოდა ხოლმე სახლში, გარედან შემოიძახებდა: „აბა, ვინა ხართ შინა, ოჯახის შვილები, გამომხედეთ კარშიო!“. დედაჩემი გავიდოდა, ჩამოართმევდა ცხენს და თვითონ დააბინავებდა, თანაც ეტყოდა ხოლმე: „კაცო, რას დახვალ ამ შუაღამისას შე ბეჩავო? რომ სადმე გადაიჩეხო მაგ კლდე-ღრეებში, ხომ დაღუპე შენი ცოლშვილი!“ მაგრამ მამაჩემს არ ეშინოდა იმ კლდე-ღრეებისა, როგორც თვითონ მთის შვილსა“.

ერთ მხარეზე ეზოს მდინარე ჩარგლულა ჩამოუდის. როცა ადიდდება, ნაპირებს ანგრევს. ერთხელ ისე აბობოქრებულა, რომ ნაპირზე აყუდებული ბექობი დაუხრამავს და სახლისკენ მიმავალი ვზა სულ მოუსპია. მაშინ თურმე დედა თავის სემინარიელ შვილებს მოელოდა საღდგომოდ. შეშინებულს — ღამით, ბნელაში, ბექზე არ გადაცვივდნენო,—-ახლომახლო ჯაგები დაუჭრია და იმ ბექობის პირზე გაუმწკრივებია.

სახლი გზის პირად იდგა და განუწყვეტლად მიმოდიოდნენ ფშავლები, ხევსურები, თელაველი ვაჭრები თუ ბოშები. ოდესღაც ოთხწლიანი სკოლაც ყოფილა აქ. ვაჟა ასწავლიდა თურმე პატარა თანასოფლელებს. სახლის წინ მოწყობილი იყო დიდი საგრილობელი, სადაც ზაფხულობით თითქმის მთელ დროს ატარებდნენ ბავშვები. აქ ჭამდნენ და იძინებდნენ, სტუმარსაც აქ მოასვენებდნენ ხოლმე.

ვაჟასაც უთქვამს, დედა საწოლებს მთვარიან ღამეში ბაღში გვიშლიდა, იფნის ხის ქვეშო.

ვაჟას მშობლებმა არაჩვეულებრივი მზრუნველობა გამოიჩინეს შვილებისადმი. არც ერთი ვაჟი არ დაუტოვებიათ უსწავლელი, თავს არ ზოგავდნენ მათი კეთილდღეობისათვის. იმდროინდელი ფშავისათვის ეს იშვიათი მოვლენა იყო.

ვაჟა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ თბილისის საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში, ბოლოს, გორის საოსტატო სემინარია დაამთავრა. ცოტა ხანს ერწოში (ტოლათ სოფელში) მუშაობდა მასწავ-

ლებლად. როცა აქედან „ნიღილისტობისა და სოციალისტობისა-თვის“ მოხსნეს, კვლავ ჩარგალს დაუბრუნდა, მერე რუსეთში მოახერხა გამგზავრება და თავისუფალ მსმენელად შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ორი წელი დაჰყო იქ; ხელმოკლეობის გამო. უძაღლესი სასწავლებელი ვერ დაამთავრა.

რუსეთიდან დაბრუნებული ერთ ხანს მშობლებთან ცხოვრობდა. მაგრამ მალე სოფ. ოთარაშენში, თავად ამილახვრის ოჯახში შინა მასწავლებლად მოეწყო. აქ მას შეუყვარდა ამილახვრიანთ გაზრდილი ობოლი ქალი კეკე, რომელიც ცოლად შეირთო.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ჩარგალში დამკვიდრდა. ვაჟა საოჯახო საქმეებში შველოდა მშობლებს: მისი მეუღლეც მალე შეეჩვია იქაურობას და მხარში ამოუდგა მათ.

ვაჟა ფშაველა ვერ ურიგდებოდა სახელმწიფო სამსახურს, ოვალთმაქცობასა და ძალმომრეობაზე დაფუძნებულ ბიუროკრატიულ რეჟიმს, ამიტომ მუშაობის დაწყების ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. ცოლის შერთვის შემდეგ, ვაჟამ ერთხელ კიდევ მოსინჯა ეს სარბიელი. მასწავლებლად გაემწესა სოფელ დიდთონეთში, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ, როცა სამკვდრო-სასიცოცხლოდ აიმხედრა იქაური მოხელეები, სამუდამოდ დაუბრუნდა საყვარელ ჩარგალს და თანასოფლელთა მსგავსად, საკუთარი მარჯვენით არჩენდა წვრილშვილს. ხან გუთანი ეჭირა ხელში, ხან კალამი.

დიდიდან პატარამდე რაზიკაშვილების ოჯახში ყველა შრომობდა. ძმები შეუდარებელნი იყვნენ თიბვა-მკაში, მეტადრე ბაჩანა და თედო გამოირჩეოდნენ თურმე: მკაში მათ ვერავინ ჯობდა. „როდესაც სამკალად ჩვენს ყანას მივესეოდით,—გადმოგვცემს სანდრო რაზიკაშვილი,—ერთი ყიჟინი იდგა ხოლმე. ხუთ მკელს ერთი ჩვენი და მართა გვიკონავდა ძნასა. რასაც სხვები ერთ კვირაში მომკიდნენ, ჩვენ ერთ დღეში ვმკიდით. მკის დროს სადილსა და საშხარს იქვე, ყანის პირზე მდგომ კაკლის გრილში ვჭამდით. საღამოზე, ყანის მკას რომ მოვრჩებოდით და შინ დავბრუნდებოდით, მაშინვე ხინკლის გაკეთებას შევუდგებოდით. ხინკალს მოყვებოდა ლხინი და თამაშობა დაირა-ფანდურზე. ვაჟას რომ სათამაშოდ გადმოვიყვანდით, ის ერთს კი დასჭყივლებდა და ჩეჩნურად დაუვლიდა ხოლმე“.

დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ძმები გაიყვნენ. თედო ქართლში, სოფ. ხელთუბანში წავიდა მასწავლებლად და იქვე დასახლდა. ბაჩანა ხევსურეთში მსახურობდა, უფროსი ძმა — გიორგი თიანეთში იყო ვექილად, ჩარგალში ვაჟაღა დარჩა ცოლ-შვილით.

სახლ-კარი და სახნავ-სათიბი მიწები ძმებმა გაუყოფლად მას დაუტოვეს... მთელი ოჯახი ვაჟას დააწვა მხრებზე... განსაკუთრებით გაუჭირდა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. მისი ქალი თამარი წერს: „მამას ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა და დაღონება უნახავს, ხშირად კაპარიც არა ჰქონია, რომ დაელია დაღალულს. ბევრჯერ თვითონაც ფეხშიშველი ყოფილა და ცოლშვილიც ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილი ჰყოლია. მამამ მკა და თიბვა ჩქარი იცოდა, თვითონ აიკიდებდა ტვირთს... მუშაობისას თავზე თეთრი ცხვირსახოცის წაკვრა იცოდა. ცალ მუხლზე დაჩოქილი მკიდა. როცა დედაჩემი მოკვდა, მამა ყოველთვის გვიკეთებდა საჭმელს, კომბოსტოსა და პამიდორის წნილსაც თვითონ აკეთებდა... გვეტყოდა: აბა, დაფაცურდით. კარგი მაჟალო მოიტანეთ, ბზეში ჩავყაროთ, ზამთარში გამოგვადგებაო... ადამიანს არაფერი უნდა ეზარებოდესო, — ამბობდა, — შრომა დაგაფასებთ, სიზარმაცე კი შეგარცხვენთო“.

ამაყი, უშიშარი და გულკეთილი პოეტი მუდამ ხალხთან იყო. არასოდეს დაკლდებოდა ხატობას და სხვა ფშაველებივით მონაწილეობდა ლაშარ-ღელეობაში, ცაბაურთობაში, კოპალას ქვაზე, მარიამობასა და ამაღლებაზე. სადაც ყაბახს დგამდნენ და მთელ დღეს თოფს ესროდნენ. როცა ხევისბერი ლუდით სავსე ჭიქას ასწევდა, ვაჟაც ფეხზე ამდგარი და ქუდმოხდილი გამოსცლიდა საკარგყმოს.

პირველი ცოლიდან ვაჟას ოთხი შვილი დარჩა: ლევანი, თამარი, გულქანი და მარიამი. როცა წამოიზარდნენ, ისინიც მხარში ამოუდგნენ მამას.

ვაჟას უყვარდა ნადირობა. ჩარგლელახე თევზის ჭერა— ნეწსიკაობა. როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე. წყალი რომ შეიმღვრეოდა, აფხუშმდე აჰყვებოდა სათევზაოდ (არაგვი ოთხი კილომეტრითაა სახლს დაშორებული). განთქმული მოცურავე და მსროლელი იყო. ბევრჯერ აუღია ყაბახი.

ვაჟა სულ მუდამ იმის ცდაში იყო. სოფლისთვის რაიმე სასიკეთო გაეკეთებინა. არაგვის პირზე, ჩარგლის კარს, გოგირდოვანი წყლები გამოდის. ვაჟამ ეს საჭყურნალო წყლები მთავრობას ხელიდან გამოგლიჯა და ოცნებობდა, რომ იგი ხალხის ჯანმრთელობისათვის გამოეყენებინა. ჩარგალში ოქროსფერი ბრეწყვიალა ქვიშის ნარევი უპოვნია. პარკებში ჩაუყრია, დაუნომრავს და წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გაუგზავნია შესამოწმებლად. იმედი ჰქონდა, ჩარგალში ოქროს მადნები აღმოჩნდებოდა და ხალხს სარგებლობას მოუტანდა. კლდესავით უდრეკი პოეტი დაჩაგრულთა ქომაგი და მოსარჩლე იყო. მუდამ შველოდა გა-

ჭირვებულს. ქვრივ-ობოლს. ქალაქიდან ისე არ ჩამოვიდოდა, რომ მათთვის საჩუქარი არ ჩამოეტანა.

ვაჟამ პირველმა ჩამოიტანა სოფელში წისქვილის ქვები და ბეგობარ გლეხს უთხრა: შენ წისქვილისთვის სახლი ააგე, ქვები მე ჩამოვიტანე და სოფელს ცალკე წისქვილი ავუშენოთო. მთელი სოფელი მადლიერი იყო, შორს აღარ უხდებოდათ საფქვავის წაღება... თანასოფლელებს ვაჟა ასწავლიდა ჯიშიანი ხეხილის დამყნას; მის დამყნილ ვაშლის ხეს დღესაც უჩვენებენ ჩარგალში და „ლუკას ვაშლს“ ეძახიან. აქ ჰყვარებია ზაფხულობით დასვენება.

პოეტს სძულდა მეფის მოხელეები. ჟინვალს ზევით მეფის კაცს არ გააჭაჭანებდა — ეს ადგილი ფშავისთვის არის განკუთვნილიო, — იტყოდა თურმე, ამიტომაც თუშ-ფშავ-ხევსურთ შორის მას დიდი პატივისცემა ჰქონდა. უყვარდათ ვაჟა, სწამდათ მისი და ენდობოდნენ. ვაჟამ სოფელში შემოიღო მედიატორული სასამართლოები და ყოველგვარ დავას მთავრობის ჩაურევლად არჩევდა.

1905 — 1907 წ. წ. რევოლუციის დროს ვაჟა სათავეში ჩაუდგა თუშ-ფშავ-ხევსურებს. დარწმუნებული იყო, რომ რევოლუცია თავისუფლებას მოუტანდა საქართველოს, ჩარგლელი მღვდლის გიგო სონღულაშვილისთვის უთქვამს: „აბა, მღვდელო, აიღე შენი შესამოსი და ჯვარი, უნდა გამომყვე, სადაც მე წავალ... ჟინვალს, მაღაროსკარს, შუაფხოს, უკანაფშავს, ერთი სიტყვით, ყველგან, სოფლის მოსამართლეებს და მამასახლისებს უნდა მენდლები ავყარო და შენ კიდევ ხალხი ერთგულებაზე უნდა დააფიცოო“.

ვაჟამ ისარგებლა ხალხის აჯანყებით და მამულები ჩარგლის მცხოვრებლებს გაუნაწილა. პოეტს უბის წიგნაკშიც აღუნიშნავს იმათი გვარები, ვისაც მიწები გადასცა.

ვაჟამ შეადგინა ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია, რომელიც მიმართული იყო მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ხალხის ძალაუფლების დასამყარებლად.

ბრძოლის ცეცხლით გულანთებული პოეტი არ ეპუებოდა მეფის მოხელეებს. რეაქციის წლებში ვაჟა პოლიციას ემალებოდა. დევნილი გლეხებიც მასთან ერთად ჩასაფრებულან კართანის კლდის გამოქვაბულში. აქვე იმალებოდნენ ქართლიდან გამოქცეული თედო რაზიკაშვილი და მისი ქვისლი — წითელრაზმელი გაგნიძე.

1904 წელს ვაჟამ ცოლად შეირთო თამარ გიორგის ასული დიდებაშვილი. თამარი ნაკითხი ქალი იყო, ზეპირად იცოდა ვაჟას პოემები... მან ნამდვილი დედობა გაუწია პატარა ობლებს... ვაჟას ამ ქორწინებაზე ხალხს ლექსიც გამოუთქვამს.

ფშავლებში ვაჟას ჰყავდა ახლო მეგობრები. ესენი იყვნენ ფოცხვერა ბაჩიაშვილი, მახარე ზურაბაშვილი, გოგოთურ გურასპაული, თეიმურაზ მთიბალაშვილი. ამათ ოჯახში ვაჟა ხშირად დადიოდა სტუმრად, უყვარდა მათთან პურის ჭამა, დროს ტარება.

მაგრამ ფშავშიც ყოფილან ფარსადანები. ერთხელ, ხატობას, ერთ ფშაველს ამხანაგისთვის უთქვამს:

— ეგ აჯანყებს ხალხს, უნდა მოვკლათო.

ვაჟას გაუგონია ეს სიტყვები. იმ დღეს სიტყვა არ დასცდენია. მეორე დღეს კი ხალხი შეუკრებია და ასე მიუმართავს მათთვის:

—თქვე თხის ტყავებო, ვინ მიპირებდით მოკვლას. აბა, თუ ბიჭები ხართ, გამოდით. ჩვენ. ქართველებმა ხანჯლით სიკვდილი გულში ვიცით და არა ღალატით. მე თქვენთვის ვცდილობ, — ბეჩაობას გადაგარჩინეთ, თვალი აკიხილეთ, თქვენ კი ღალატით მემუქრებით?

ისეთი სიტყვა სთქვა იმ კრებაზე ვაჟამ,—ამბობენ მისი თანასოფლელები, — რომ ყველამ ცხვრებივით თავი ძირს დახარა, სიტყვის ამოღება ვერ გაბედაო.

ვაჟა ფშაველა პოეზიის სამყაროში დაიბადა და აღიზარდა. თვითონვე წერს: „ღვიძლი ბიძა დედაჩემისა პარასკევა, პირველი მოლექსე იყო ფშავში. იმან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობსო“.

ვაჟას დედამ მრავალი საგმირო ლექსი იცოდა ზეპირად, ბევრი ზღაპარი და ლეგენდა, რასაც თავისუფალ დროს უამბობდა შვილებს.

პავლე რაზიკაშვილის ლექსები დღესაც ახსოვთ ფშავში.

ვაჟას უფროსი ძმა გიორგი მოწაფეობის დროს კარგ ლექსებს წერდა ფშაურ კილოზე; ბაჩანა გამოჩენილი პოეტი იყო, ბევრი პოპულარული ლექსის ავტორი. ასევე ნიჭიერად წერდა თედო რაზიკაშვილი. დედ-მამა თავს ბედნიერად თვლიდა, რომ მათი შვილები პოეზიის გზას გაჰყვნენ.

ვაჟას მძიმე პირობებში უხდებოდა წერა, განსაკუთრებით ზამთარში. ოთახი ბნელი და ნესტიანი იყო. ფანჯრებში, მინის ნაცვლად, გაბოლილი ქაღალდი იყო გაკრული. ღამით მბჟუტავი ლამფა ენთო და ისე წერდა. თამარ რაზიკაშვილი გადმოგვცემს: „როცა დავწვებოდით და კაცის ხმა მისწყდებოდა, მამას მაშინ უყვარდა წერა. მამა გაივლ-გამოივლიდა, ხან ერთ კედელს

შიაჩერდებოდა. ხან მეორეს. ხან ფანდურს დაუკრავდა, კიდევ გაივლიდა. მივიდოდა მაგიდასთან და დასწერდა. ხანდახან, როცა ნავთი გადგეთავდებოდა ზამთარში, არყის ანაყარი ქერქი იყო ჩვენი ჭრაქი. როცა ნავფხელში ხეს წყალი შეუვიდოდა, მაშინ კარგად იყრებოდა, დაგრეხავდა, იმას ანთებდა და იმ ხის შუქზე წერდა და კითხულობდა. ხშირად ბუხრის სინათლეზე, ბევრჯერ მახსოვს, მუხლზე დაიდებდა წიგნსა და პატარ-პატარა ქაღალდებს დასდებდა. ზედ და ისე სწერდა.

მამას არ უყვარდა, როდესაც მის მაგიდას ვინმე ხელს ახლებდა. ოუ მივეკარებოდით და ნაწერებს ავრეედით, ვაი, ჩვენ ტყავს! როცა ის წერდა. დღისით ბუზიც ვერ გაფრინდებოდა, კარებს ვერ გავაღებდით, ხშირად გორაზე იცოდა ჯდომა ჩვენი სახლის გვერდით".

ვაჟას ამაგდარი მეუღლე — თამარი, ბევრ საინტერესო ეპიზოდს გადმოგვცემს პოეტის შემოქმედებითი ცხოვრებიდან. მისი სიტყვით, ვაჟა შუაღამემდე, გათენებამდე წერდა, — „გამოვიღვიძებდი, ვხედავ, ვაჟა ისევ წერს. — ამბობს თამარი, — დაიძინე! გავუჯავრდებოდი. — მუზა დამეკარგება, — მეტყოდა ვაჟა, ჩემს გაჯავრებას ყურადღებას არ აქცევდა. წერის დაწყებამდე ჩონგურს დაუკრავდა დინჯად და წყნარად. ჩამოჰკრავდა და დაამღერებდა. შემდეგ კი შეუდგებოდა წერას. ზოგჯერ მე დამიძახებდა, დაუკარიო.—მეტყოდა. — როგორღა დასწერ. ლუკავ, ხელი შეგეშლება, ვეტყოდი.

— შენ დაუკარი. ეგ მე ვიციო. თქვენს ჟივილ-ხივილს სჯობია ეგ ფანდური ააჩხარუნოო!".

წერის დროს ვაჟას ღვინო ედგა მაგიდაზე. ცოტ-ცოტას სვამდა... ზოგჯერ ბუხრის წინ. სამფეხა სკამზე წერდა. ზოგჯერ კი ტახტზე წამოწოლილი. უბის წიგნაკში ინიშნავდა რაღაცას".

ბევრჯერ წერაში დასთენებია... ზოგჯერ მუშაობას თავს გაანებებდა და ფიცხლად წერას შეუდგებოდა.

„ერთხელ, შუა მკაში დამანება თავი, — იგონებს თამარი, — დავბრუნდი სახლში და რას ვხედავ? ზის ვაჟა ბუხრის წინ და წერს.

— რა ჰქენი, კაცო. — ვეუბნები ვაჟას, — ძნას, მარხილს თავი გაანებე და საწერზე დასჯექი? — ვაჟას თავიც არ აუღია, ხელით მაწიშნა: დადექ. დედაკაცო! რა დროს ძნა და მარხილიაო...

მახსოვს, ერთხელ, წერის დროს ისე დაგვიტია ვაჟამ მთელ ჯალაბობას, რომ წყალგაღმა გადავედით და მთელი დღე საქონლის ბაკში გავატარეთ. შეღამებისას, ვხედავ, მოდის ლუკა სანთლით ხელში და ბექზე გადმომდგარი გვეძახის: — სად დაიკარგენით, შინ რატომ არ მოდიხართო.

— შენი კვნესა მე, რაც მე მანდ არ გადმოვიდე! — წავიბუტ-ბუტე ჩემთვის. ბავშვებს კი დავუტიე: ხმა გაკმინდეთ-მეთქი"[1].

გაზაფხულობით ვაჟას წერა უყვარდა თავის ეზოში, იფნის ხის ქვეშ, საიდანაც კარგად მოჩანს ჩარგლის მშვენება—მაღალი მთები, ახავერდებული იალაღები, ცინცხალი ნაკადულები, ყვავილოვანი მინდორ-ველი.

ვაჟას სახლი ფშაველთა თავისებური ლიტერატურული საკრებულო იყო. კვირა-უქმე დღეებში, — გადმოგვცემს სანდრო რაზიკაშვილი, — როგორც ჩვენი ბიძაშვილები, ისე სხვა სოფლის ახალგაზრდობა სულ ჩვენს სახლში იყრიდა თავს. ვაჟა, ბაჩანა და თედო უკითხავდნენ მათ სხვადასხვა წიგნებს და თავიანთ ნაწარმოებებს. ძალიან უყვარდათ ჩემი ძმების დაწერილი ლექსები და პოემები, ხოლო „ვეფხის ტყაოსანს" ზეპირად სწავლობდნენ და ფანდურზედაც დამღეროდნენ.

საზოგადოდ, მთაში უფრო საგმირო ლექსების კითხვა უყვარდათ. ზოგიერთს ჩვენსას წაკითხული წიგნები არ აკმაყოფილებდა, ჩემი ძმები უცოდინარებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, რის გამოც ჩვენს სოფელში ახალგაზრდა არ იყო, წერა-კითხვა არ სცოდნოდა".

ყოველთვის, როცა ვაჟა რაიმე ახალს დასწერდა, პირველად თავის ცოლს, შვილებსა და ძმებს წაუკითხავდა. აინტერესებდა მათი აზრი, თან ხელმეორედ წაკითხვაში თავის ნაწარმოებს ხვეწდა, ასალაშინებდა, ავსებდა.

ვაჟა ხშირად ეპაექრებოდა ხალხურ მოლექსეებს — ჩონქარას, მერცხალას. უთქვამს: ქორწილში, ხატობაში თუ სხვა ლხინის დროს შემომისხდებიან ფშავლები და დამიწყებენ ლექსობას; მეც ძალაუნებურად უნდა ავყვე და ბევრჯერ ისინი მჯობნიანო.

ვაჟა ფშაველას უმთავრესი თხზულებები ჩარგალშია დაწერილი. აქ, მის ბნელ, პატარა ოთახში, მბეჟეტავი ლამპის შუქზე, იესებოდა ფურცლები „გველის მჭამელისა" და „ბახტრიონის" უკვდავი სტრიქონებით. მთის ჯანსაღი სურნელით სავსე ლექსები და პოემები თბილისში ჩამოჰქონდა. უბეში უყვარდა ხელნაწერების ჩაწყობა, გულთან ახლოს. მხარზე ხურჯინი ეკიდა — ქალაქიდან ზამთრის მარაგით უნდა დაბრუნებოდა არწივთ საბუდარს.

რედაქციები მოუთმენლად მოელოდნენ მას. მკითხველი გულისფანცქალით ფურცლავდა მის წიგნებს. „ვაჟა ფშაველა კი მუ-

---

[1] ლიტერატურულ მუზეუმის მასალებიდან.

დამ ყუჩი და თავდაჭერილი იყო, განდიდებას განშორებული". იგი ვერც აღტაცებულ ქებას გამოჰყავდა წონასწორობიდან, ვერც შურიან ძაგებას. მთრთოლვარე გული პოეზიით იყო აღვსილი და იქ მდაბალი გრძნობებისათვის ადგილი არ რჩებოდა.

80-ანი წლებიდან ვაჟა ქართული პოეზიის პარნასზე იდგა. 1886 წელსაა დაწერილი „ფშაველის სიმღერა", „ერთხელც იქნება მოვკვდები", „არაგვს", „ქეიფი", „მაცნე". მისი ლექსები მოახლოებული ბრძოლის გუგუნია. მათში ელვარებს გამარჯვების იმედი. ვაჟას ლექსები და პოემები საიერიშოდ ამზადებდა ხალხს, გმირული სულით ავსებდა, წებისყოფას უკაჟებდა, თავისუფლებისათვის გაღებულ მსხვერპლს საოცნებოდ უსახავდა, ღალატს სირცხვილით დაღავდა, თავდადებას შარავანდით ჰმოსავდა. ნათელი მომავლისაკენ ეძახდა მებრძოლთ:

დამისხი, დამალევინე,
ეგ ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი!
ეგება გულის ვარამი
ჩავკლა მაგ ჯიხვის რქაშია.
თვალთ-წინ დამიდგეს ლამაზი,
ერეოლა მამკიდოს ტანშია.
დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,
გადავერიო ზღვაშია.
თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს
ვერ მააწონებთ კარგს ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკეაშია!

ვაჟას შემოქმედებითი სამყაროს ღერძი ჯანსაღი პატრიოტიზმია. პოეტი შეუპოვრად იბრძოდა სამშობლოს ბედნიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

ვაჟა ფშაველას შემოქმედება გასხივოსნებულია უაღრესად მაღალი მორალით; მისმა ლექსებმა და პოემებმა ზნეობრივი სიწმიდითაც მოხიბლა მკითხველი. ვაჟას გმირების რეალისტური ხასიათები განასახიერებენ რაინდულ თავდადებას, მეგობრობას, მართლმოყვარეობას, ოჯახურ ერთგულებას, პირმტკიცობას...

ვაჟას პოეზიის ეს აქტუალური მოტივები ბუნებრივი უშუალობითაა გადატანილი ღრმა ფილოსოფიური კოლიზიების სამყაროში, რაც დიდ დამაჯერებლობას აძლევს მათ.

ვაჟა ფშაველას შემოქმედების საკაცობრიო შინაარსი ჩასმულია მთის ბროლის ჩარჩოში, გარშემო მობნეული აქვს პირიმზე, დეკა და ღვიანი, — ეს არის მისი თავისებური ენა, ფშაური ზეპირსიტყვიერების სამკაულები, ჯადოქრული თქმები... უამისოდ, ვაჟას პოეზიის ორიგინალობა არ იქნებოდა ესოდენ დიადი.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობას საამოდ ამჩნევია მშობლიური კუთხის ნიშან-კვალი. ამიტომ ურჩევდა ილია ჭავჭავაძე, არ მოსცილებოდა ჩარგალს. „ივერიის“ რედაქციაში, როცა ვაჟას „გველის მჭამელი“ წაიკითხეს, ლაპარაკი აღძრულა, ვაჟა საზღვარგარეთ გავგზავნოთ განსავითარებლად, ევროპული განათლების მისაღებადო. ილიამ თურმე ხელები გაასავსავა, — ვაი, შენ, ჩემო თავო! ეგ არ გამაგონოთ, სამუდამოდ დავკარგავთ ამ დიდის ნიჭის პატრონსო: ევროპაში ფილოსოფიას გამოეკიდება და ამ დიდებულს ჩანგს კაჩხაზედ ჩამოჰკიდებსო. დაანებეთ თავი, იყოს თავის ფშავში და განაგრძოს თავის შემოქმედებაო“.

1913 წელს ვაჟა ფშაველას დიდი ლიტერატურული საღამო გაუმართეს ქუთაისში. იმავე წელს განზრახული იყო მისთვის სამწერლო მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლის იუბილეს გადახდა.

1915 წლის თებერვალში ვაჟა ავად გახდა ჩარგალში, გაცივდა; როცა ოდნავ მომჯობინდა, 1915 წლის აპრილში თბილისს ჩამოვიდა სამკურნალოდ. 23 მაისს ქართველმა საზოგადოებამ პოეტს დიდი საიუბილეო საღამო გაუმართა. სიტყვაკაზმული საზოგადოების სახელით ავადმყოფს მიართვეს დაფნის გვირგვინი წარწერით: „ქართული პოეზიის არწივს“. იუბილეს შემდეგ ვაჟა უფრო ცუდად შეიქნა, პლევრიტი მარცხენა მხრიდან მარჯვენაზეც მოედო. 5 ივნისს პოეტს ქირურგმა გ. მუხაძემ ოპერაცია გაუკეთა. 12 ივნისს მდგომარეობა გაუარესდა და იგი წმ. ნინოს სახელობის ქართულ ლაზარეთში მოათავსეს (ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა). პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ბიულეტენები ვაჟას ჯანმრთელობის შესახებ. საქართველოს ყველა კუთხიდან მოსდიოდა რედაქციებს წერილები, აინტერესებდათ პოეტის მდგომარეობა.

თბილისში ძლიერი სიცხეები დაიჭირა. ავადმყოფი მშობლიურ ჩარგალში ითხოვდა წაყვანას, ფულიც გაუგზავნია,—არაგვისკარს, მჟავე წყლებთან, ჩარდახი გააკეთეთ, იქ უნდა წავიდე სამკურნალოდო. ფასანაურამდე როგორმე მიმიყვანეთ და იქიდან ჩარგლამდის ავაღწევო.

ვაჟას მთისაკენ მიუწევდა გული. ერთხელ შიო მღვიმელისა და თავისი ძმის, სანდროსთვის უთხოვნია — მამადავითის ეკლესიას-

თან. კლდეში რომ წყარო გამოდის, ის მომიტანეთო... მეორე დღეს, როცა ეს ამის წყალი დაულევია, ვაჟას მადლობით უთქვამს:

— აი. ყოჩაღ, ბიჭებო. გიშველათ ქიშმიშელამ! ძლივს ჩემი გემოს წყალი არ დავლიეო...

სნეულს ამთა ელანდებოდა, იხვეწებოდა: „თუ ღმერთი გწამთ, ლოგინი იატაკზე გამიშალეთ და გარშემო ყვავილები დამაყარეთ, იქნებ მაშინ მაინც წარმოვიდგინო ჩემი ძვირფასი მთა“.

26 ივლისს ვაჟა განსაკუთრებით იგონებდა ჩარგალს. თითქოს თავსაც უკეთ გრძნობდა, მაგრამ მეორე დღეს, საღამოს გარდაიცვალა.

28 ივლისს, დილით, ქაშვეთის ეკლესიაში გადაასვენეს; კუბოს ამკობდა დაფნის გვირგვინი, წარწერით: „ვაჟა ფშაველას ქართველი ერისაგან“.

პოეტს სურდა სამარადჟამოდ შერთვოდა ჩარგლის გრილ მიწას. სამკურნალოდ რომ მიდიოდა, მეზობლებს უთხრა: ვიცი მოვკვდები და სარაყდრის გორაზე დამმარხეთ, რომ მკვავე წყალსაც გადავხედო და ჩემს საყვარელ არაგვსაც. მაგრამ სამშობლომ მისი გული დედაქალაქის მხურვალე მკერდს მიაბარა. 2 აგვისტოს ძვირფასი ცხედარი დიდუბის პანთეონში დაასაფლავეს. გულდათუთქული ხალხი დიდხანს არ დაშლილა და მწუხარედ დასცქეროდა დიდებული კაცის საფლავს, თითქოს ყურს უგდებდა მის მშვიდ ხმას:

ვნუგეშობ ამით! მიწას მიწურად
და ცას ციურად მივეთავაზი,
არ მიბობღნია დაბლა ქვემძრომად,
მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი:
ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაკერე
სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი,
და ამ ჩემს მღერას ყურს რომ უგდებენ
ქართლელ-კახელი, იმერ-აფხაზი...

ვაჟა ფშაველას შემოქმედება უსაზღვროდ უყვარს საბჭოთა მკითხველს.

1935 წელს აღინიშნა ვაჟას გარდაცვალების 20 წლისთავი. მთავრობის დადგენილებით, 16 ოქტომბერს პოეტის ნეშტი დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს. ახალ საფლავთან 18 ოქტომბერს ხალხმრავალი მიტინგი შედგა. აქ გამოცხადდა მთავრობის გაღაწყვეტილება, რომ ილიასა და აკაკის გვერდით აღმართულიყო ვაჟას ძეგლი. იმავე საღამოს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ვაჟა ფშაველას ხსოვნის საღამო.

ვაჟა ფშაველას იუბილე ფართოდ აღინიშნა რესპუბლიკის ყველა რაიონში, ჩატარდა ვაჟასადმი მიძღვნილი დილა-საღამოები, დუშეთის საშუალო სკოლას მიენიჭა ვაჟა ფშაველას სახელი. იმავე წელს სოფელ ჩარგალში დაარსდა ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმი. მისი მოწყობა დაევალა საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე.

სახლ-მუზეუმს სათავეში ჩაუდგა ვაჟა ფშაველას უმცროსი ვაჟი, ლიტერატორი ვახტანგ რაზიკაშვილი.

პირველ წლებში მუზეუმი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მასალების შეგროვებას. ვაჟა ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისა და სამუზეუმო ჩვენებისათვის აუცილებელი იყო თანამედროვეთა მოგონებების, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერა, საარქივო მასალების გამოვლინება და შეძენა, მემორიალური ნივთებისა და ავტოგრაფების შეგროვება.

სახლ-მუზეუმს დიდად დაეხმარა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, რომელმაც რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო ფშავსა და დუშეთში, აურაცხელი მოგონებები ჩაიწერა და საინტერესო ფოტოსურათები და ავტოგრაფები შეიკრიბა.. ამ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა ვაჟას სახლ-მუზეუმიც.

სახლ-მუზეუმის დირექტორმა ვახტანგ რაზიკაშვილმა თავი მოუყარა ვაჟას დროინდელ ფშაველ ბოლექსეთა ნაწარმოებებს, თანამედროვე მოლექსეთა შემოქმედებას. მანვე ჩაიწერა ფშავ-ხევსურული ანდაზები, გამოცანები და ლეგენდები. ბაჩანასა და ვაჟას დაუბეჭდავი ლექსები. ამ ჩანაწერებს (20 ფორმა) მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა.

მემორიალური ნივთებიდან საყურადღებოა ვაჟას რკინის ტახტი, ხის პატარა მაგიდა, საწერი მოწყობილობა, ხანჯალი, ქუდი, ქოთანი. ჩაფი, სპილენძის ქვაბი, კიდობანი, თოფი, ნაჯახი, ვაჟას მიერ მოკლული ირმის რქები...

ამასთან ერთად, სახლ-მუზეუმმა შეიძინა ვაჟა ფშაველას, მისი ოჯახის წევრებისა და მეგობარ-ნაცნობების ფოტოსურათები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც დაბეჭდილია ვაჟა ფშაველას თხზულებები.

1946 წლის დამდეგს სახლ-მუზეუმი გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტს, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პოეტის სახლ-კარს და დაიწყო ზრუნვა

სტაციონარული ექსპოზიციის მოსაწყობად. ამ მიზნით აუცილებელი იყო პოეტის სახლის მთლიანად განთავისუფლება და შეკეთება.

ვაჟა-ფშაველას ოჯახისთვის იქვე, მუზეუმის ეზოში, აშენდა საცხოვრებელი სახლი. ეს სახლი ორსართულიანია და ოთხი ოთახისაგან შედგება.

1948 წლისათვის ვაჟას სახლი მთლიანად განთავისუფლდა და საექსპოზიციოდ გადაეცა ორი ოთახი. ვაჟას სამუშაო ოთახი, რომლის ფართობიც 16$^1/_2$ კვ. მეტრს შეადგენს, და დარბაზი 25$^1/_2$ კვ. მ. ფართობით. შეკეთდა აივანი და სახურავი, გამოიცვალა იატაკი.

მუზეუმის ეზოს გაუკეთდა დამბები, რომლებიც მას მდ. ჩარგლულასაგან იცავს. ჩარგლისკარიდან სახლ-მუზეუმამდე გაყვანილ იქნა სამანქანო გზა. აღდგენილია ვაჟას დროინდელი გომური და საბძელი. კეთილმოწყობილია ვაჟას წყარო, რომელსაც ლუკაანთ წყაროს ეძახიან სოფელში. ამ სამუშაოების ჩატარებაში მუზეუმს ერთსულოვანი დახმარება გაუწია ჩარგლის, მაღაროსკარისა და სხვა სოფლების მოსახლეობამ.

სამშენებლო-სარემონტო მუშაობის პარალელურად დაიწყო ვაჟა ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სტაციონარული ექსპოზიციის მოწყობა.

გამოფენისათვის მზადების პერიოდში შეძენილ იქნა ვაჟა ფშაველას (ხეში გამოკვეთილი) ბიუსტი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი), ბარელიეფები, გიორგი სააკაძის პორტრეტი, ამოკრებილ იქნა და გაფორმდა ტექსტები, დაიხატა ვაჟა ფშაველას დიდი პორტრეტი, ფშავ-ხევსურეთის რუკა, ფშაველთა ტიპები, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ტანსაცმელი, საკრავები, ვაჟას სახლის მაკეტი; დამზადდა დიაგრამები და მასალები თანამედროვე ფშავ-ხევსურეთზე; დაიხატა სურათები: ჩარგლის საერთო ხედი, ვაჟას საყვარელი გმირები—თამარ მეფე, ერეკლე მეორე, დავით გურამიშვილი; „მამა წერა-კითხვას ასწავლის პატარა ლუკას"; „პატარა ლუკა სამწყემსურში"; მოეწყო სამეცნიერო მივლინებები თელავში, დიდ თონეთში, ტოლათსოფელში, გორში.

ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიცია საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1948 წლის 15 აგვისტოს. გამოფენის გახსნის წინ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკები, კოლმეურნეები, მოსწავლეები, წარმოდგენილ იქნა ვაჟა ფშაველას

„ბახტრიონის“ ინსცენირება. ეს სახალხო ზეიმი კინოფირზეა აღბეჭდილი.

სტაციონარულ ექსპოზიციაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაშუქებულია ვაჟა ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება.

გამოფენაზე გამოყენებულია მხატვრული სურათები, ილუსტრაციები, მემორიალური ნივთები, ტექსტები, ქანდაკება, ფოტოსურათები.

ამრიგად, გამოფენა მიზნად ისახავს ჩარგალში მოსულ დამთვალიერებელს ამომწურავად გააცნოს დიდი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. ამ მიზნის განხორციელება ძნელია მუზეუმის საექსპოზიციო ფართობი არ კმარა ვაჟა ფშაველას მეტად რთული პიროვნული და შემოქმედებითი ბიოგრაფიის ასახსნელად. მით უმეტეს, რომ მუზეუმის განკარგულებაში თავმოყრილი არაა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ყველა ექსპონატი. ამის გამო, ცხადია, სახლ-მუზეუმის ექსპოზიცია დამთვალიერებელს ვერ მისცემს ვაჟა ფშაველაზე სრულ წარმოდგენას, მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ, ჩვენი ფიქრით. სახლ-მუზეუმს არც უნდა ჰქონდეს ეს პრეტენზია. ჩარგალში მისულ დამთვალიერებელს ჩვეულებრივ ვაჟა ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა კი არ აინტერესებს. არამედ სურს საკუთარი თვალით იხილოს პოეტის კერა, დაათვალიეროს მისი სოფელი, სახლი, ეზო-ყურე, მიმოიხილოს პოეტის საყვარელი ადგილები და გაიგოს, რა ურთიერთობაშია ისინი ვაჟა ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან.

ამ ამოცანებიდან გამომდინარე. ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმი აუცილებლად განსხვავდება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგისა და სხვ. მემორიალურ-მუზეუმებისაგან. იგი მემორიალურ-ყოფითი მუზეუმების მწკრივს მიეკუთვნება და ამიტომ მის სახლში ყველაფერი ძველებურად უნდა იქნას დაცული.

სახლ-მუზეუმს დამუშავებული უნდა ჰქონდეს ვაჟა ფშაველას სამახსოვრო ადგილების მარშრუტი. დამთვალიერებელს უნდა შეეძლოს ნახვა — სად მუშაობდა, წერდა, დადიოდა, ისვენებდა დიდი პოეტი, და, რაც მთავარია, როგორ პირობებში ქმნიდა თავის უკვდავ თხზულებებს.

ეგნავე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი ლანჩხუთის რაიონის სოფ. პრჩეულში

ეგნატე ნინოშვილის მშობლიური სოფელი არჩეული (ფიხათ ჩიქვეთი) სამი კილომეტრითაა დაშორებული სადგურ ჯუმათს.

გზა სოფელ ნიგვზიანის მწვანით დაბურულ ლამაზ ეზოებს მიჰყვება, ტყიან გორაკებს ჩასდევს და პატარა მდინარე უკანღელეზე გადადის.

კვანტუხელის ქედს რომ მიატანთ, დაინახავთ ერთსართულიან გურულ ოდას, რომელშიც ეგნატე ნინოშვილი ცხოვრობდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ეგნატეს მშობლები სოფელ ყელადან გადმოსახლებულან აქ. მომავალ მწერალს ‘დედა ახალგარდაცვლილი ჰყოლია და, ვინ იცის, რამ აიძულა ღარიბი ყმა-გლეხის ოჯახი, რომ ბებეთის ქედის ძირში მოენახა თავშესაფარი.

ჩიქვეთი ერთი ბეწო სოფელი იყო. უკანღელეს, თურმე, შამბნარი ფარავდა.

ახლანდელი მუზეუმის შენობის დასავლეთით ახალ მოსახლეებს ისლის ქოხი აუშენებიათ.

ეგნატე ნინოშვილის მამას—თომა ინგოროყვას, ჰყავდა ოთხი და და ორი ძმა (ალექსი და თარხანი). მრავალრიცხოვან ოჯახს პატარა ქოხში („სამზადში“) ცხოვრება უჭირდა. ჯერ ისევ ეგნატეს ბავშვობისას მათ დიდის წვალებით აუგიათ სამოთახიანი ოდა იმ ადგილზე, სადაც ახლა სახლ-მუზეუმია. ერთ ოთახში თომა და პატარა ეგნატე ცხოვრობდნენ, მეორეში — ალექსი თავისი ოჯახით, მესამეში — ეგნატეს მამიდები.

ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ მისმა აღმზრდელმა ბიძამ—ალექსიმ, სახლი ძველი ქოხის ადგილზე გადაიტანა და ნაწილობრივ გადააკეთა. უკანასკნელად იქ ცხოვრობდა მწერლის ბიძაშვილი —ეგნატე ალექსის ძე ინგოროყვა.

მუზეუმის დაარსების პერიოდში დაზუსტდა, სად იდგა და როგორ გამოიყურებოდა სახლი მწერლის სიცოცხლეში. 1949-1950 წლებში ეს პატარა ოდა, სადაც ე. ნინოშვილი გარდაიცვალა, წინანდელ ადგილზე გადაიტანეს. 1950 წელს ამ სახლში გაიხსნა ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიცია. აიგო სახლ-მუზეუმთან მისასვლელი ხიდი, შეკეთდა გზა სად-

გურ ჯუმათიდან მუზეუმამდე და ნინოშვილის საფლავამდე (ყოფილ სოფელ ჩანჩეთში, რომელიც ახლა არჩეულის შემადგენლობაში შედის).

1950 წელს მწერლის კარ-მიდამოს შეემატა ახალი ნაგებობა— ოთხოთახიანი ოდა, სადაც მოთავსდა მუზეუმის დირექცია, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, არქივი და ექსპოზიციის ნაწილი. ამრიგად, ნინოშვილის მშობლიური სახლი დაცულია, როგორც მემორიალური ნაკრძალი, რომელმაც დამთვალიერებელს ნათელი წარმოდგენა უნდა მისცეს მწერალ-რევოლუციონერის მძიმე ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე.

გამშვენიერდა მწერლის ეზო-ყურე. წაბლის, თუთის, ვაშლისა და მსხლის ხეებს ეშსი და ლაზათი შესძინა პალმებმა, დაფნამ, ჩაის ბუჩქებმა. ყვავილნარმა. ეგნატეს დამყნილი მსხალი ახლაც დგას სახლის ეზოში.

ნინოშვილის ოდესღაც ღარიბული სახლ-კარი მიმზიდველად გამოიყურება აქაური ბუნების ფონზე. მთაგორაკებს ფოთლოვანი ტყის გვირგვინი ადგას, ჩუმ ხეობას გრილი ნიავი დასთამაშებს და ბუყდროებაში გარინდული მწერლის სავანე წარუშლელ მოგონებებს აღძრავს. ამ ეზოში ჩაიქროლა ეგნატეს უზრუნველი ბავშვობის ხანმოკლე დრომ. აქ ისმენდა მთრთოლვარე გულით ხალხურ ლექსებსა და ზღაპრებს, ამ ტკბილად მოჟღერტულე ღელეში თევზაობდა ტოლ-სწორებთან ერთად, ამ მთის კალთებზე მწყემსავდა სოფლის ნახირს ფეხშიშველი ობოლი ბიჭი, აქვე უცნაურად დაიწყო მისი სწავლა-განათლება: „შვიდი თუ რვა წლისა ვიქნებოდი, — წერს იგი, — როცა ჩემმა მამიდამ ერთ დილას წამიყვანა მდინარეზე, ჩაშადგმევინა ფეხი შიგ და დამაწყებინა ან-ბანის კითხვა ფანქრით დაწერილ ნაგლეჯ ქაღალდზე".

ეგნატეს ძალიან უყვარდა მშობლიური სოფელი და სახლ-კარი. არასოდეს ჰქონია სხვა თავშესაფარი; ცხოვრებისაგან შეწუხებული, ხელისუფალთაგან დევნილი, დაავადმყოფებული მწერალი მხოლოდ აქ პოულობდა შვებას, აქედან ემზადებოდა ახალი იერიშისათვის, აქ ეძლეოდა შემოქმედებითს თავდავიწყებას და ჭლექისაგან ფილტვებგაცოვეცილიც არ ეშვებოდა კალამს. ხელი უთრთოდა, და რადგან ასე წერა აღარ შეიძლებოდა, მომვლელებს ჰერზე თოკი დაამაგრებინა, — მარყუჟი გამოაბითო, — სთხოვა. მარყუჟში აკანკალებული ხელი გაუყარა და წერა განაგრძო.

დღესაც ბევრს ახსოვს წელში ოდნავ მოხრილი, ავადმყოფობით სახეგაყვითლებული, ტკბილმოუბარი კაცი, ხალხის სამსახურში რომ იფერფლებოდა. ხალხიც სათუთი სიყვარულით ინახავს მის ხსოვნას.

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის დაარსებას დიდი სიხარულით შეხვდა მთელი რაიონი. მოსახლეობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო კარ-მიდამოს კეთილმოწყობაში, ფონდის შექმნაში, გამოფენის გამართვაში.

ნინოშვილის სახლ-მუზეუმის გამოცდილებიდან სერიოზული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ექსპოზიციის მოწყობას წინ უსწრებდა რამდენიმე წლის ინტენსიური მუშაობა ფონდის შესაქმნელად. მუზეუმის დირექციამ (დირექტორი მიხ. ვადაჭკორია) ფართოდ ჩაბა ამ საქმეში ეგნატეს ნაცნობ-მეგობრები, მისი თანამედროვეები, მწერლის მშობლიური სოფლის მოსახლეობა. დაუკავშირდა რესპუბლიკის სიძველითსაცავებს, მოაწყო მივლინებები იმ ადგილებში, სადაც მწერალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (თბილისი, ბათუმი, ზესტაფონი, მახარაძე). დიდძალი ლიტერატურა შეიძინეს მუზეუმისათვის ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა და წარმოება-დაწესებულებებმა. ლანჩხუთის მონადირეთა კავშირმა სახლ-მუზეუმს გადასცა 1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყების მონაწილის —როსტომა მეჯიხურის სახელით ცნობილი გლეხის ჯიხურიდან სასროლი თოფი.

ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მჭიდროდაა დაკავშირებული მასობრივ-საგანმანათლებლო და შეგროვებითი მუშაობა. მუზეუმის პროპაგანდა ხელს უწყობს ფონდის გამდიდრებას. ვამოფენის დასათვალიერებლად მოსულ პირებს თანამშრომლები ესაუბრებიან მასალების შეგროვებაზე და ამ გზითაც არა ერთი და ორი ექსპონატია აღმოჩენილი. სახლ-მუზეუმს შემოღებული აქვს საგანგებო აღრიცხვა—ვინ რა უსახსოვრა და რით დეხმარა ე. ნინოშვილის სახლ-მუზეუმს.

მოფიქრებულმა შეგროვებითმა მუშაობამ სასიამოვნო ნაყოფი გამოიღო: მცირე დროის მანძილზე სახლ-მუზეუმის ფონდში თავი მოიყარა სხვადასხვა ადგილზე გაბნეულმა ორი ათასამდე ექსპონატმა. მათ შორის ბევრი უნიკალური მემორიული ნივთი და დოკუმენტია. ასეთია ე. ნინოშვილის საწერი მაგიდა, რომელზედაც მას, გადმოცემით, დაუწერია „ჯანყი ვურიაში". ეს მაგიდა იდგა გრიგოლ გურიელის ოჯახში; ეგნატესავე პატარა მაგიდა, რომელიც მას თავის მშობლიურ სახლში ედგა და ა. შ.

გაკვირვებას იწვევს, როგორ შეძლო მუზეუმმა 6—7 წლის განმავლობაში შეექმნა მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ამჟამად 8.000-ზე მეტ წიგნს ითვლის. აქ არის ეგ. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემები ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. წიგ-

ნები ეგ. ნინოშვილზე, „ცისკრის“, „ივერიის“, „კვალის“ და სხვა ძველი ქართული ჟურნალ-გაზეთების ნომრები. ამ საქმეშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოების დახმარებამ.

მუზეუმმა ჯერ კიდევ ორგანიზაციის პერიოდში დაიწყო ნინოშვილის თანამედროვეთაგან მოგონებების ჩაწერა, დღემდე ჩაწერილია 60-დე მოგონება 30 ფორმის მოცულობით. მუზეუმის თანამშრომლები მთხრობელთა ყურადღებას ამახვილებენ ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილ ან სადავო საკითხებზე. მოგონებები შეეხება ნინოშვილის კარ-მიდამოს, ოჯახს, პედაგოგიურ მოღვაწეობას, გლეხებთან ურთიერთობას, მოხელეებთან ბრძოლას, მისი შემოქმედების გმირთა პროტოტიპებს, მწერლის ნაცნობ-მეგობრებს, მისი სახელის უკვდავყოფასთან დაკავშირებულ მომენტებს და ა. შ.

მოგონებების მეცნიერული დამუშავების გზით, მუზეუმის თანამშრომლებმა ახლებურად გადაწყვიტეს ნინოშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ზოგიერთი საინტერესო საკითხი. გამოარკვიეს, რომ მწერალი დაიბადა სოფელ ყელაში.

ფიქრობდნენ, რომ ე. ნინოშვილმა 1881 წ. დაანება თავი პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუზეუმმა დაადგინა, რომ მწერალი შემდეგშიც განაგრძობდა დროგამოშვებით მასწავლებლობას და ა. შ.

ლ. ჯორბენაძე, ე. ნინოშვილის მეგობრის სიმონ ჯორბენაძის ძეუღლე, ბევრ საყურადღებო დეტალს იგონებს ნინოშვილის ცხოვრებიდან. ის ამბობს: „ჩემი მეუღლე ხალხს გაზეთის ნაცვლად ნინოშვილის ნაწერებს უკითხავდაო. გაზეთს გაშლიდა, ზედ ერთს ალაგას ეგნატეს გამოუქვეყნებელი მოთხრობის ხელნაწერი ჰქონდა დაფენილი და იმას კითხულობდაო. ეს გაუგია ბოქაულს და უთქვამს: „აწი გაზეთის ხალხში წაკითხვა არ გაბედო, თორემ მასწავლებლობა ოხრად დაგრჩებაო“

„ეგნატე ინგოროყვა ჩემი მამიდაშვილია“,—გადმოგვცემს 85 წლის ბარბალე ბარამიძე, — ჩვენს ბებუას ნიკოლოზი ჰქვიოდა. ეგნატეს დედას—ნინოს, ორი ძმა ჰყავდა: ესე და გლახუნი. ეგნატე ჩვენსას ხშირად დადიოდა. დიდხანს არ გაჩერდებოდა, სოფლის ჩინოვნიკებთან შეხვედრას ერიდებოდა“.

ო. ე. ბარამიძის სიტყვით ე. ნინოშვილი ხშირად მღეროდა თურმე:

მინდა, მინდა გადავფრინდე
იმ აღელვებულ ზღვაშიო,
ან მოვკვდე და ან გავიდე
აკრძალულ ქვეყანაშიო.

ძვირფას მასალას შეიცავს ე. ნინოშვილის ყოფილი მოწაფეებს ლ. სალუქვაძის, ო. ვასაძის, დ. ტუღუშის, ჯ. ტუღუშის, ზ. რუსიძის, ა. მოისწრაფიშვილის, ე. ბარამიძის მოგონებები. მუზეუმმა შეძლო ნინოშვილის თხზულებათა ზოგიერთი გმირის პროტოტიპის გამოვლენა და მათგან მოგონებების ჩაწერა. ასეთი მოგონებები ძვირფას ცნობებს შეიცავს მწერლის შემოქმედების შესასწავლად.

სახლ-მუზეუმმა მრავალი მნიშვნელოვანი მეცნიერული თემა დაამუშავა. საინტერესოა მიხ. ვადაჭკორიას — „ეგნატე ნინოშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა", „ე. ნინოშვილის დაბადების თარიღი და ადგილი", „აკაკი წერეთელი და ე. ნინოშვილი", „ე. ნინოშვილის პროტოტიპები", — თინათინ ლომიძის — „ქალთა ტიპები ე. ნინოშვილის შემოქმედებაში", „ნინოშვილის გმირები ქართული თეატრის სცენაზე"; გარდა ამისა, მიხ. ვადაჭკორიას მზად აქვს ნაშრომი — „ე. ნინოშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა" (25 საავტორო ფორმის მოცულობით).

მუზეუმის თანამშრომელთა მეცნიერული კვლევის საილუსტრაციოდ დავასახელებთ ერთ ფაქტს: მოგონებათა საშუალებით მიხ. ვადაჭკორიამ გამოარკვია, რომ ე. ნინოშვილი 1879 წელს მოწაფეებს ხელნაწერიდან უკითხავდა აკაკი წერეთლის პოემას — „ორი ქართველი", რომელიც აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში დათარიღებულია 1892 წლით. ავტორს ბევრი არგუმენტი მოაქვს მოგონების სასარგებლოდ და ასკვნის: „აკაკის ამ ნაწარმოებს ეგნატე 1892 წლამდე იცნობდა. ამას აშკარად ამტკიცებს ნინოშვილის „წერილი დაღესტნიდან", რომელიც 1891 წლის ივნისშია დაწერილი. ეგნატე ამ წერილში საქართველოსა და დაღესტნის ისტორიულ წარსულს ეხება და აღნიშნავს: „ქართველი გმირები ხშირად ატოვებინებდნენ საქართველოში ქურდულად შეშოპარულ ლეკის ბელადებს სიცოცხლეს. თუ ლეკებს „ალი ფოლადები" ჰყავდათ, ჩვენ, სამაგიეროდ, „ოთია ბესხები" და „ადამ ბებერიშვილები" ვეყავდა.

...ვფიქრობთ, აკაკის პოემის — „ორი ქართველის", დაწერის თარიღი გადასინჯვასა და დაზუსტებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით, ე. ნინოშვილის „წერილი დაღესტნიდან" და ო. ვასაძის მოგონებას მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია.

მოგონებების ასე საფუძვლიანად შესწავლა და ლიტერატურულ ფაქტებთან შეპირისპირება უდავოდ სამაგალითოა.

მოგონებების მოშველიებით დადგინდა, რომ გოგია უიშვილის პროტოტიპი იყო გოგია ხუხუნაშვილი, სიმონასი — სიმონა დარჩია,

ქრისტინელი—მენიკი ორაგველიძე, იასონ უქმაძისა—ბედია კომახიძე და ა. შ.

ივანე როყვას გადმოცემით, 1887 წელს თავადმა გურიელმა ტყე დაისაკუთრა და შეშის გამოსატანად არავის უშვებდა. ეგნატეს რჩევით გლეხები ჯანყდნენ, მსახურები ტყიდან გამორეკეს და ტყეს ჩეხვა დაუწყეს. სეფე კვერენჩხილაძეს კარგად ახსოვს ეგნატეს სიტყვები: „თავადაზნაურობა მოისპობა, ყველა გათანასწორდება, მდიდარი და ღარიბი აღარ იქნებაო". ხალხს ეუბნებოდა თურმე: „მომავალში მთავრობის არჩევა კენჭის ყრით იქნება და ამ კენჭის ყრაში ყველა მიიღებს მონაწილეობასო".

მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი ღირსებაა ისიც, რომ იგი არკვევს მწერლის შემოქმედების მიმართებას რეალურ სინამდვილესთან. ახლა აუარებელი ფაქტითაა დადასტურებული ნინოშვილის სიუჟეტების რეალურობა.

ნაყოფიერი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად, სახლ-მუზეუმმა ნინოშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ვრცელი გამოფენა მოაწყო 1950 წელს.

გამოფენა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 18 იანვარს. იმავე წელს ლანჩხუთში დაიდგა ე. ნინოშვილის ძეგლი (მოქანდაკე ნ. ქუთათელაძე). ხოლო მწერლის ეზოში ათასობით მშრომელმა მოიყარა თავი საზეიმო მიტინგზე.

ე. ნინოშვილის სახლის აივნიდან სიტყვები და ლექსები წარმოთქვეს სიმონ ჩიქოვანმა, ა. გომიაშვილმა, უჩა ჯაფარიძემ, ი. იმედაშვილმა, ი. ნონეშვილმა, ს. ეულმა, გრ. ცეცხლაძემ...

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოეშურებიან სტუმრები ხალხისთვის თავდადებული მწერლის სახლ-კარის სანახავად. მოდიან მეშვები, კოლმეურნენი, მოსამსახურეები, მოსწავლეები...

„ეგ. ნინოშვილი ჩვენი საყვარელი მწერალია, — წერს სტუდენტი ც. ბოლქვაძე. — დიდი ხანია. მინდოდა მენახა მისი სახლ-მუზეუმი და ახლა, როცა ვდგავარ ოთახში, სადაც იგი გარდაიცვალა, თვალი ცრემლით მევსება... რა სიღარიბეში, რა ტანჯვაში უცხოვრია ამ შესანიშნავ ადამიანს".

პოეტი ირაკლი აბაშიძე წერს: „ეგ. ნინოშვილის სახლ-მუზეუმი მშვენივრადაა მოწყობილი, ისევე ძლიერი მღელვარებით განგვაცდევინებს მწერლის სახელს, როგორც ბავშვობაში".

უყვართ ნინოშვილის შემოქმედება მოძმე ხალხთა შვილებსაც. ისინი მღელვარებით ეცნობიან დაუდგრომელი ეგნატეს მშფოთვარე ცხოვრებას. „ქართველი ხალხის საამაყო შვილის—ეგნატე ნინოშვილის ხსოვნა ძვირფასია რუსი ადამიანისათვის. რუსებს ეგნ. ნინო-

შვილიც ისევე გვიყვარს. როგორც ჩვენი პროგრესული მწერლები". — წერს დ. გულიაევი.

დამთვალიერებლებს განსაკუთრებით ახარებთ ეგნატეს თანამედროვეებთან შეხვედრა. მუზეუმის ეზოში ხშირად ნახავთ ეგნატეს თანასოფელსა და მის ნამოწაფარს, მოხუც კოლმეურნეს ლ. სალუქვაძეს. იგი მწერლის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს უამბობს სტუმრებს...

მეტად გულთბილი ურთიერთობა აქვს მუზეუმს დამთვალიერებლებთან. ბევრი მათგანი რამოდენიმეჯერ მოდის მუზეუმის სანახავად. ქ. მახარაძის ეგნ. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეები ხშირად არიან აქ. 1958 წელს მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა, მუზეუმს სახსოვრად გადასცეს მოსწავლეთა მიერ ფაიფურსე შესრულებული ნინოშვილის სურათი... ინახულეს ეგნატეს საფლავი, გვირგვინით შეამკეს ის.

იშვიათად როდი შეხვდებით მუზეუმის გზაზე თბილისელ, ბათუმელ, ქუთაისელ, სოხუმელ, გორელ პიონერებს, მხიარული ჟრიამულით რომ ავსებენ სოფელს.

1954 წლის 23 მაისს ე. ნინოშვილის გარდაცვალების 60 წლისთავზე, მწერლის სახლს მრავალი სტუმარი ეწვია; ჩამოვიდა მწერალთა დელეგაცია — ლეო ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ა. ბელიაშვილი, კ. კალაძე, ს. ჭილაია, თ. ჯანგულაშვილი, ბ. ჩხეიძე, — მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები. ყვავილებით შეამკეს რევოლუციონერი მწერლის საფლავი, სიტყვები წარმოთქვეს: გ. ქიქოძემ, ს. ჭილაიამ, ვ.მგელაძემ. მახარაძის რაიონის მშრომელთა სახელით სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცეს ეგნ. ნინოშვილის მაგიდა.

იმავე ღღეს ე. ნინოშვილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა ლანჩხუთის კულტურის სახლში. სადაც სიტყვით გამოვიდნენ გენრონტი ქიქოძე, აკაკი ბელიაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ბორის ჩხეიძე.

1957 წელს მუზეუმში მოეწყო ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა, სადაც განსაკუთრებით კარგად იყო ნაჩვენები ილიასა და ეგნატეს ურთიერთობა.

1958 წლის შემოდგომაზე მუზეუმმა დაამთავრა ნინოშვილის სახლის შეკეთება და აღდგენა. მწერლის დაბადების 100 წლისთავზე გაიხსნა სტაციონარული გამოფენა, რომელიც ფართოდ ასახავს ნინოშვილის ცხოვრების გზასა და მხატვრულ შემოქმედებას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ედიტორისაგან.	1
ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი წინანდალში	3
[illegible] ერისთავის სახლ-მუზეუმი ქისტაურში	33
[illegible] წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი სხვიტორში	53
ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	69
ეკა უშაველას სახლ-მუზეუმი ჩარგალში . . .	91
ევგენტე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი ლანჩხუთის რაიონის სოფ. არჩეულში	113

რედაქტორი გ. ზურაბიანი
კორექტორი: ეკ. მაიხურაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XI 1959 წ. ანაწყობის ზომა 6×10.
ქაღალდის ზომა 60×92 1/16. ნაბეჭდი თაბახი 7,75
უე 06656. ტირაჟი 3.000. შეკვ. № 93.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
ქ. თბილისი ტაბიძის ქ. 3/5
Типография Изд-ва АН ГССР. Тбилиси, ул. Г. Табидзе, 3/5